

დიდი იმედები

B2



სამოქალაქო ავიაინდუსტრიის ახალი ლიდერი

B6



უილ სმითი - ქალების რისხვა

B8

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ორშაბათი, 21 თებერვალი, 2005 წელი. №39 (899) | ფასი 50 თეთრი



სენატორები ჯონ მაკკეინი და ჯო ლიბერმანი.

# ამერიკელ სენატორთა დემარში რუსეთის წინააღმდეგ

ნინო გომართელი

*"რუსეთი დემოკრატიის მინიმალურ სტანდარტებსაც კი ვერ აკმაყოფილებს," – მიაჩნიათ ამერიკელ სენატორებს, რაც შეერთებული შტატების სენატში, "დიდ რვიანში" რუსეთის წევრობის შეჩერების შესახებ რეზოლუციის პროექტის შეტანის საფუძველი ხდება.*

24 თებერვალს, ბრატისლავაში ნატო-ს წევრი ქვეყნების მეთაურთა სამიტი გაიხსნება, სადაც ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტები ერთმანეთს შეხვდებიან. წინასწარვე ცნობილია, რომ საუბარი საკმაოდ დაძაბული იქნება, მით უმეტეს, ორ ქვეყანას შორის ბოლო დროს საგრძნობლად გამწვავებულ ურთიერთობებს თუ გავითვალისწინებთ. "დემოკრატ" ჯო ლიბერმანისა და "რესპუბლიკელ" ჯონ მაკკეინის მიერ მომზადებულმა რეზოლუციის პროექტმა კი, რომლითაც ისინი რუსეთის ხელისუფლებას დემოკრატიისა და პოლიტიკური თავისუფლების შელახვაში ადანაშაულებენ და "დიდ რვიანში" მისი წევრობის შეჩერებას მოითხოვენ, ამ დაძაბულობას კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი.

ეროვნული უსაფრთხოების საკითხში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მრჩევლის სტივენ ჰედლის განცხადებით, პრეზიდენტი ბუში ისედაც აპირებდა, რუსეთის ლიდერთან სერიოზული საუბარი ჰქონოდა. **"აშკარაა, რომ ბოლო დროს, რიგ მოვლენებს ჰქონდა ადგილი, რომლებმაც ბევრი საკითხი წამოსწია და შეშფოთება გამოიწვია. მე დარწმუნებული ვარ, რომ პრეზიდენტი ბუში ამ ყველაფერს პუტინთან შეხვედრისას განიხილავს,"** – ხაზგასმით აღნიშნა მან.

გაგრძელება A3 გვერდზე

# რუსეთი - გზა იზოლაციისკენ

*24 თებერვალს პრეზიდენტები ბუში და პუტინი სლოვაკეთში ხვდებიან ერთმანეთს. რუსეთში ავტორიტარიზმის გაძლიერება და უკრაინის ნარინჯისფერი რევოლუცია, როგორც ჩანს, ორ პრეზიდენტს შორის თაფლობის თვის დასრულების მაუწყებელია. რუსეთის საგარეო პოლიტიკის გაღრმავებულ პრობლემებს შეფასებებს აძლევს საერთაშორისო და თავდაცვის პოლიტიკის საბჭოს თავმჯდომარე სერგეი კარაგანოვი.*

სერგეი კარაგანოვი

ორი წლის წინათ რუსებს შეეძლოთ, მსოფლიოსთვის კმაყოფილების გრძნობით ემზირათ. მაშინ დიპლომატიურ არენაზე იმაზე უკეთ გამოვიყურებოდით, ვიდრე ამის უფლებას ეკონომიკური და სამხედრო ძლიერება გვაძლევდა. ეს დრო უკვე წარსულს ჩაბარდა.

გასულ წელს რაღაც-რაღაც წარმატებებს მივაღწიეთ. მათ შორის აღსანიშნავია ის, რომ თითქმის დაიფარა საგარეო ვალი, რომელიც ქვეყნის ეკონომიკურ სუვერენიტეტს ზღუდავდა. თუმცა, მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებზე ჩვენი გავლენა შემცირდა, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ძლიერი მხარეები უცვლელი დარჩა. არადა, რუსეთი უნდა იყოს დაფასებული პარტნიორი მთელ რიგ საკითხებში - ახლო აღმოსავლეთის პრობლემატიკით და ტერორიზმთან ბრძოლით დაწყებული და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების შეზღუდვის მიზნით გაწეული ძალისხმევით დამთავრებული. მაგრამ რუსეთმა ვერ მოახერხა, რომ ამ საკითხებისთვის შესამჩნევი "კვალი" დაეტყო. ევროპასა და ამერიკას შორის მზარდმა განხეთქილებამაც კი ვერ შეძლო რუსეთის ავტორიტეტის დაცემის შეჩერება.

მოვლენების ასეთი განვითარება გაოცებას იწვევს. პრეზიდენტი პუტინი კვლავ ეფექტურად ირჯება საერთაშორისო არენაზე. ამის მიუხედავად, 2004 წელს რუსეთმა რამდენიმე აშკარა მარცხი განიცადა, რამაც შელახა მისი რეპუტაცია და ავტორიტეტი მსოფლიოში.

მეზობელი ბელორუსის პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ ყურად არ იღო რუსეთის გაფრთხილებები და მაინც ჩაატარა რეფერენდუმი, რომლითაც მან სიცოცხლის ბოლომდე დაიკანონა პრეზიდენტობა. ამის შემდეგ რუსეთმა მთელი თავისი საგარეოპოლიტიკური ყურადღება უკრაინას მიაპყრო - მხოლოდ იმისთვის, რომ იქაც მარცხი განეცადა.

შორეულ აღმოსავლეთში ადრე გაცემულ შეპირებებზე უარის თქმის საზღაური კი ის არის, რომ როგორც ჩანს, რუსეთი იძულებული გახდება, სასაზღვრო ტერიტორიებთან დაკავშირებით, ჩინეთის მიერ შემოთავაზებული პირობები მიიღოს. ამ გაჭიანურებული დავის მოგვარება მისასალმებელია, მაგრამ ეს არ უნდა ხდებოდეს ტერიტორიების დათმობის ხარჯზე, რაც უკვე, თავისთავად, პრეცედენტია.

გაგრძელება A3 გვერდზე




იხილეთ B3 გვერდზე

## ეკონომიკა

### საგადასახადო განმარტებები

მოგების გადასახადი

A4

### საკანონმდებლო ინიციატივების ექსპერტიზა

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი

ღია საზოგადოება - საქართველო

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი

გაზეთი "24 საათი"

A6

## სამართალი

### საზარელი მკვლელობა ჩელიაბინსკის მხარეში

ჩელიაბინსკის მხარეში საზარელი მკვლელობა მოხდა: ბოროტმოქმედმა ნაჯახით დაჩეხა და გაგუდა სამი ახალგაზრდა ქალი და სამი ბავშვი, რომელთაგან ყველაზე პატარა 7 თვის იყო. სასაკლაოზე მკვლელმა ყველანაირი კვალი მოსპო, სამაგიეროდ, რატომღაც ეზოში დატოვა მკვლელობის იარაღი – ნაჯახი.

A7

**იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"**

**ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.**

A7-A8

## ამინდი

| | 21/2 | 22/2 | 23/2 |
|---|---|---|---|
| თბილისი | 12 | 12 | 12 |
| ქუთაისი | 12 | 13 | 16 |
| ბათუმი | 13 | 14 | 18 |
| სოხუმი | 9 | 11 | 12 |
| ფოთი | 13 | 13 | 18 |
| თელავი | 11 | 10 | 9 |
| ზუგდიდი | 12 | 13 | 16 |
| გორი | 7 | 9 | 9 |
| ახმეტა | 11 | 10 | 9 |
| ჭიათურა | 9 | 11 | 12 |
| გაგრა | 9 | 9 | 12 |
| სამტრედია | 12 | 13 | 17 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8299 |
| ევრო | 2.3895 |
| გირვანქა სტერლ. | 3.4660 |
| რუბლი | 0.0655 |


| A | | B | |
|---|---|---|---|
| ამბები | A2 | რევიუ | B2 |
| პოლიტიკა | A3 | რევიუ | B3 |
| ეკონომიკა | A4 | სპორტი | B4 |
| ბანკი | A5 | სპორტი | B5 |
| პროექტი | A6 | მეცნიერება | B6 |
| სამართალი | A7 | სხვადასხვა | B7 |
| პროექტი | A8 | სხვადასხვა | B8 |


## ახალი აეროპორტი და მისი დირექციის "არატენდერული" საქციელი

ნიკა მარიამიძე

*ხელისუფლების მიერ ახალი აეროპორტის აშენებისთვის გამოცხადებული ტენდერი გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. ოთხშაბათს, ანუ ზეგ დილით, სატენერო კომისიამ სამი განაცხადიდან საუკეთესო წინადადება უნდა შეარჩიოს. ტენდერში მონაწილე გერმანული კომპანია "ტაკომი", რომლის მიერ ტენდერში წარდგენილი პროექტის შესახებაც აეროპორტის დირექტორმა ტელევიზიით საკმაოდ ვრცლად ისაუბრა, უკვე პრესკონფერენციას მართავს და მომავალი აეროპორტის პროექტს საზოგადოებას აცნობს, ხოლო მისი კონკურენტი ქართული კომპანია "პალადი-პალასის" წარმომადგენლებს კი ამ პრესკონფერენციიდან, უბრალოდ, აძევებს.*

ქართული კომპანია "პალადი-პალასის" გენერალური დირექტორი კახა გაგოშაშვილი უკმაყოფილოა აეროპორტის დირექციის მიერ გამოქვეყნებული სატენდერო წინადადებით და ეჭვობს, რომ ეს ტენდერი საგანგებოდ, მასში მონაწილე გერმანული კომპანია "ტაკომ"-ის შვილობილი "გლორია პილდენ"-ისთვის იყო გათვალისწინებული. ამ ეჭვის საბაბს კი კომპანიის გენერალურ დირექტორს ის აძლევს, რომ მისი თქმით, ტენდერი არ იყო გამოცხადებული საერთაშორისო ნორმების დაცვით და მისი პირობები სატენდერო წინადადების იმ მთავარ მახასიათებლებს იმეორებს, რაც "გლორია პილდენმა" წარადგინა.

გაგრძელება A4 გვერდზე

## სოფელი თუ უბრალოდ საზოგადოებრივი კავშირი?

მაია მოსიაშვილი

თბილისიდან 7 კილომეტრში არის დასახლება, რომელიც დღემდე შსს-ს აგარაკების სახელით არის ცნობილი. უკვე წლებია, რაც იქ ხალხი მუდმივად ცხოვრობს. გაჭირვებამ ისინი სხვადასხვა ქალაქებიდან და სოფლებიდან ამ ადგილზე გადმოხვეწა და მათ სხვა საცხოვრისი არ გააჩნიათ. ათასზე მეტკომლიანი დასახლების დღევანდელი მისამართი ასეთია: გარდაბნის რაიონი, კრწანისის საკრებულო, საზოგადოებრივი კავშირი "მთისძირი".

მთისძირელები არც სამოქალაქო და არც საჯარო რეესტრში არიან დაფიქსირებული. მათი შვილები კრწანისის საშუალო სკოლაში სწავლობენ, თუმცა სრულწლოვანები პირადობის დამადასტურებელ მოწმობებს ვერ იღებენ, იმ უბრალო მიზეზით, რომ მათი საცხოვრებელი ოფიციალურად არ არსებობს და შესაბამის ცნობას ვერავინ აძლევს.

"მთისძირში" საერთოდ არ აქვთ წყალი და იქაურები მას ცისტერნებით ყიდულობენ. უწყლობის გამო იქ მიწას ვერ ამუშავებენ, მხოლოდ საქონელს ზრდიან და იმასაც გაჭირვებით, რადგან არ აქვთ საძოვრები.

ძველი ხელისუფლების დროს მთისძირელები ხშირად მართავდნენ საპროტესტო აქციებს, თუმცა უშედეგოდ. ახალი ხელისუფლება კი ერთი წლის წინ დახმარებას დაჰპირდა. ითქვა, რომ მათ სოფლის სტატუსს მისცემდნენ და ეტაპობრივად პრობლემებსაც მოუგვარებდნენ.

გავიდა ერთი წელი... მთისძირში კი არაფერი შეცვლილა.

გაგრძელება A2 გვერდზე

ფოსტა

## შალვა ნათელაშვილის ერთი უპასუხისმგებლო გამონათქვამის გამო

ბატონო შალვა! წერილს, რომლსაც თქვენი ერთი უპასუხისმგებლო გამონათქვამის გამო ვაქვეყნებ, ჩემი სურვილის წინააღმდეგ ვწერ, გეოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომლების ძალდატანებით. იგულისხმება ზურაბ ნოლაიდელის მიმართ აგდებულად გამონათქვამი, რომელიც თურმე რომელიღაც ინსტიტუტის ლაბორანტი იყო.

კოლეგები, განსაკუთრებით ახალგაზრდა ლაბორანტები, რომლებმაც წარჩინებით დაამთავრეს უმაღლესი სასწავლებლები და ჩვენთან ინსტიტუტში, უაღრესად მცირე ხელფასის მიუხედავად, დარგის უსაზღვროდ დიდი სიყვარულის გამო მოვიდნენ, მიიჩნევენ, რომ თქვენმა - ხალხის სამსახურში მდგომი პარტიის ლიდერის გამონათქვამმა, მათ დაუმსახურებელი წყენა მიაყენა.

ბატონო შალვა, იმ სამსახურს, სადაც ზურაბ ნოლაიდელმა უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ დაიწყო მუშაობა, ეწოდება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის ბათუმის სტაციონარი. იგი გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში ჩამოყალიბდა. ვეჭვობ, რომ ჩამოყალიბების მიზანი გაგაგებინოთ, მაგრამ ჩამოყალიბების ზოგიერთი დეტალი ალბათ, გასაგები იქნება.

მას შემდეგ, რაც დედამიწის გარშემო ხელოვნური თანამგზავრების გაყვანა განხორციელდა, შესაძლებელი გახდა ძნელად მისაღწევ ადგილებში (ზღვებისა და ოკეანეების ფსკერი, მაღალმთიანი ზონა და სხვ.) არსებული ბუნებრივი რესურსების ძიება. ყოფილ საბჭოთა კავშირსა და სოციალისტური ორიენტაციის მქონე ქვეყნებში შემუშავდა სამეცნიერო პროგრამა "ინტერკოსმოსი", რომელიც ხელოვნური თანამგზავრებით შავი ზღვის შელფურ ზონაში არსებული ბუნებრივი რესურსების ძიებას ისახავდა მიზნად. არ ვიცი, საშუალო სკოლის ფიზიკასთან და გეოგრაფიასთან რა დამოკიდებულებაში ხართ, მაგრამ ინფორმაციას თანამგზავრსა და დედამიწის ზედაპირს შორის თითქმის მთელი ატმოსფეროს გავლა უწევს, რომლის დროსაც, ატმოსფეროში არსებული გაჭუჭყიანების გამო, იგი დეფორმაციას განიცდის. დეფორმაციის გამოსარიცხად აუცილებელია ატმოსფეროს გამაჭუჭყიანებელი აეროზოლების ოპტიკური თვისებების ცოდნა. უკვე გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომებიდან გამომდინარე, "ინტერკოსმოსის" პროგრამების შემდგენლებმა ჩათვალეს, რომ მისი გამოკვლევა ყველაზე უკეთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტს შეეძლო. საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის თხოვნით, საქართველოს მაშინდელმა მთავრობამ გეოგრაფიის ინსტიტუტს გამოუყო ფართი ბათუმში ლაბორატორიული კვლევების ჩასატარებლად. დღიდან დაარსებისა, 1991 წლის დამლევამდე, კვლევით სამუშაოს საკავშირო მეცნიერებათა აკადემია აფინანსებდა. მე, ამ წერილის ავტორს, წილად მხვდა პატივი, რომ კვლევითი პროცესისთვის მეხელმძღვანელა. ლაბორატორიაში კვლევით სამუშაოს ერთად ასრულებდა სხვადასხვა დარგის (გეოგრაფი, ფიზიკოსი, მათემატიკოსი) 4-6 ახალგაზრდა თანამშრომელი, რომლებსაც, როგორც წესი, მხოლოდ ლაბორანტის თანამდებობაზე ვღებულობდით. მათ შორის იყო ზურაბ ნოლაიდელიც.

თუ დაინტერესდებით და მოისურვებთ ბათუმის სტაციონარში მიღებული შედეგების გაცნობას, შეგვიძლია ლაბორატორიაში მიღებული მეცნიერული შედეგების დოკუმენტური ნაწილიც გაგაცნოთ, მაგრამ ვფიქრობ, ეს ძნელად აღქმადია, ამიტომ უმარტივესად გეტყვით:

ლაბორატორიის ხუთმა თანამშრომელმა სამეცნიერო მიმართულებით, რომელიც სრულიად ახალი იყო მათთვის (საქართველოს უმაღლესი სასწავლებლები შესაბამის სპეციალისტებს დღესაც არ ამზადებს), წარმატებით დაიცვა სამეცნიერო ხარისხი. სხვათა შორის, მიმაჩნდა, რომ ზურაბ ნოლაიდელიც ამ დარგის ერთ-ერთი წარმატებული სპეციალისტი გახდებოდა და მივეცი წინადადება, სადისერტაციო თემაზე ემუშავა, მაგრამ მან პოლიტიკაში მოღვაწეობა აირჩია.

თქვენგან აგდებულად ნახსენებ ლაბორატორიაში შეიქმნა ე.წ. ატმოსფერული აეროზოლების ოპტიკურ-მეტეოროლოგიური მოდელი, რომელმაც გამოცდა გაიარა თანამგზავრზე "ინტერ-კოსმოსი 21" და შემდეგ გამოიყენებოდა ორბიტალურ სადგურზე "სალუტ-7".

ბათუმის სტაციონარში შექმნილი მოდელი გადაეგზავნა მსოფლიოში კოსმოსური კვლევის ძირითად ცენტრებს, მათივე თხოვნით, მათ შორის - აშშ-ს აერონავტიკისა და კოსმოსური კვლევის ნაციონალურ სამმართველოს (NASA).

ბატონო შალვა, ვერ გეტყვით, ამჟამად როგორ იყენებენ კომოსური კვლევის სფეროში გეოგრაფიის ინსტიტუტის ბათუმის სტაციონარში მიღებულ შედეგებს, 15 წელია, ჩვენი ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (თუ არ ვცდები, სხვა ბიბლიოთეკებშიც) უცხოური გამოცემები ნაკლებად შემოდის, მაგრამ შემიძლია ერთი მაგალითის მოტანა. რამდენიმე წლის წინ ჩვენი ინსტიტუტის ბიბლიოთეკამ მიიღო 1993-1994 წლებში გამოცემული ჩვენი დარგის ჟურნალი "Journal of Applied Meteorology". ერთ-ერთ ნომერში (1993 წლის N 10) აშშ-ისა და კანადის სამი ცნობილი სპეციალისტის სტატიას წავაწყდი. ავტორები გვთავაზობდნენ აეროზოლების ახალ ოპტიკურ-მეტეოროლოგიურ მოდელს, რომლის გამოყენების დიაპაზონი უფრო ფართო იყო ბათუმის სტაციონარში დამუშავებულ მოდელთან შედარებით. მოდელის გამოცდას კი ატარებდნენ ისეთ კერძო შემთხვევებში, როცა, როგორც მათი, ასევე ჩვენი მოდელის გამოყენება იყო შესაძლებელი. ამ ორი მოდელის შედარების შედეგებს საკმარისად მიიჩნევდნენ მოდელის ვარგისიანობის დასამტკიცებლად.

მეცნიერების წინსვლას მიღებული დიდი თუ მცირე შედეგები განაპირობებს. ამ შედეგების მიღებას კი შეიძლება მეცნიერის მთელი სიცოცხლე დასჭირდეს და მისი აბუჩად აგდება დიდი ცოდვაა როგორც ღმერთის, ისევე ხალხის წინაშე.

*საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის ბუნებრივი პროცესების მათემატიკური მოდელირების ლაბორატორიის გამგე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*
***კუკური თავართქილაძე***

## ახალი რექტორის ძველი „ცოდვები"

*შაბათს, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში განათლების მინისტრმა კახა ლომაიამ ახალი რექტორი, პროფესორი გიორგი ონიანი წარადგინა. ონიანს უნივერსიტეტში ახალგაზრდა ნიჭიერ ადამიანად ახასიათებენ, მაგრამ ის, თავის დროზე, განათლების რეფორმის კანონპროექტის წინააღმდეგი იყო. უფრო მეტიც, ონიანი სტუდენტებს აქციებში მონაწილეობისკენაც კი მოუწოდებდა. სწორედ ამიტომ, განათლების მინისტრის ზემოაღნიშნული დანიშვნა სკანდალურ ხასიათს იძენს.*

ბექა სისაური
*ქუთაისიდან*

რექტორობისათვის ორი კანდიდატი - ომარ ლანჩავა და გიორგი ონიანი იბრძოდა. ომარ ლანჩავა წლების მანძილზე უნივერსიტეტის პრორექტორი გახლდათ. სწორედ მის დროს მიაღწია უნივერსიტეტში არსებულმა კორუფციამ განსაკუთრებულ მასშტაბებს. ომარ ლანჩავაც ამ პროცესში, ნებსით თუ უნებლიეთ, ჩართული აღმოჩნდა. რაც შეეხება გიორგი ონიანს, მისი კორუმპირებლობის შესახებ არავინ საუბრობს, სამაგიეროდ კი, მიუთითებენ, რომ იგი განათლების რეფორმის წინააღმდეგ გამოდიოდა. კერძოდ, 2004 წლის 15 სექტემბერს უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომა შედგა, რომლის დღის წესრიგში პირველ პუნქტად "საქართველოში უმაღლესი განათლების შესახებ" კანონპროექტის განხილვა იყო შეტანილი. აღნიშნული საბჭოს სხდომის ოქმიდან ირკვევა, რომ საბჭოს წევრების უმეტესობამ პროექტი უარყოფითად შეაფასა. მაგალითად, იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა გოლეთიანმა და დოცენტმა კუჭუხიძემ მას ანტიეროვნული უწოდეს. ხოლო ამჟამინდელმა რექტორმა შემდეგი რამ განაცხადა: **"ჩვენ მხოლოდ გულსტკივილს გამოვთქვამთ და მეტი არაფერი. განათლების სამინისტროში პროექტის შემდგენელი ჯგუფი სხვანაირად ფიქრობს. უნდა ვიფიქროთ, როგორ გადავირჩინოთ თავი. პირველი ეს არის მიტინგებში მონაწილეობა. გარდამავალი დებულება ძალიან ავტორიტარულ სტილშია დაწერილი. მმართველის ინსტიტუტი კი შეუფერებელია ჩვენი დემოკრატიული ეპოქისათვის. ჩვენ უნდა დავდოთ კონკრეტული წინადადებები, რომ მეხი ავიცილოთ თავიდან."**

ქუთაისის უნივერსიტეტში არსებულ სხვადასხვა დარღვევებს სარასამთავრობო ორგანიზაცია "საჩინო" იკვლევდა, მისი ხელმძღვანელ ზურაბ ხურციძეს მიაჩნია, რომ ონიანის მამიდა, უნივერსიტეტის მთავარი ეკონომისტი, კორუფციულ საქმიანობაში იყო ჩართული.

**"გიორგი ონიანი, როგორც მათემატიკოსი, კარგი პროფესორია. მაგრამ, ამავე დროს, გააჩნია უარყოფითი მხრეებიც. იგი თავის დროზე მოწინააღმდეგე იყო განათლების რეფორმის კანონპროექტისა. მიაჩნდა, რომ ეს პროექტი ქვეყანას დაღუპავდა. ონიანის მამა კათედრის გამგეა. როგორც სტუდენტები აცხადებენ, ისიც კორუმპირებულია. მამიდამისი კი მთავარი ეკონომისტია და უნივერსიტეტში გავრცელებულ ტოტალურ კორუფციაში მისი წვლილიც ურევია. ბუნებრივია, რომ ონიანი საკუთარი მამიდისა და მამის ინტერესებს გვერდს ვერ აუვლის, ამიტომაც გაუჭირდება უნივერსიტეტში არსებული კორუფციული გარემოს შეცვლა,"** - აცხადებს ზურაბ ხურციძე.

ქუთაისში დანანებით აღნიშნავენ, რომ უნივერსიტეტში რექტორობის კანდიდატად ვერ მოიძებნა პიროვნება, რომლის რეპუტაციაც შეუბღალავი იქნებოდა. ამას ისიც დაემატა, რომ უნივერსტეტმა აკრედიტაციის გავლა მხოლოდ მას შემდეგ მოახერხა, რაც სასწავლებლიდან 2000 სტუდენტი გარიცხეს. ქუთაისში ეჭვი ეპარებათ, რომ წერეთლის სახელობის უნივერსიტეტი, პროგრამულ აკრედიტაციასაც ვერ გაივლის. **"უნვერსიტეტმა პირველ ეტაპზე აკრედიტაცია ვერ მიიღო, იმიტომ, რომ სტუდენტთა რაოდენობა მკვეთრად იყო გაზრდილი. უნივერსიტეტი სამ-ოთხ სტუდენტზეა განსაზღვრული, რეალურად კი იქ 7000-ზე მეტი სტუდენტი სწავლობდა. ამიტომაც 2000 სტუდენტი გარიცხეს და ამ გზით მიაღწიეს აკრედიტაციის მიღებას. აღნიშნულ სტუდენტებს სწავლის თანხა სრულად არ ჰქონდათ დაფარული, თუმცა თანხის გადახდის შემთხვევაში, უნივერსიტეტს უფლება არა აქვს, ისინი არ აღადგინოს. მაშინ გამოდის, რომ უნივერსიტეტი განათლების სამინისტროს ატყუებს,"** -განმარტავენ "საჩინოში".

რაც შეეხება ახალ რექტორს გიორგი ონიანს, იგი განათლების რეფორმისადმი წინააღმდეგობას უარყოფს და აცხადებს, რომ მხოლოდ რამდენიმე პუნქტს არ ეთანხმებოდა: **"რეფორმის მოწინააღმდეგე არასდროს ვყოფილვარ. იყო მომენტი, როდესაც რეფორმის თაობაზე გვქონდა მსჯელობა და გარკვეული პუნქტების გამო მოსაზრებები გამოვთქვი, რაც შემდგომ გათვალისწინებული იქნა კანონმდებლების მიერ. კერძოდ, ეს შეეხებოდა 65 წელს გადაცილებული ლექტორ-მასწავლებლების უფლების შეზღუდვას. რეფორმის ძირითად ნაწილს კი ვეთანხმებოდით და ეს არაერთგზის გვითქვამს ყველა დონეზე."** იგი საპროტესტო მიტინგებში მონაწილეობის მოწოდებასაც უარყოფს: **"მსგავსი არაფერი მითქვამს. პირიქით, ამის შესახებ სხვამ განაცხადა და მე ვუპასუხე, რომ მიტინგების ფორმა არ არის ის, რომლითაც განათლების სამინისტროს უნდა ვესაუბროთ."** თუმცა ზემოთ მოყვანილი ამონაწერი ოქმიდან საწიაღმდეგოს ამტკიცებს. რაც შეეხება მისი ოჯახის წევრებისა და ახლო ნათესავების კორუმპირებულობას, ონიანი ამას მოგონილს უწოდებს: **"მამაჩემის კორუმპირებულობა მტკნარი წყლის სიცრუეა. მამიდას რაც შეეხება, იგი ჩემი ოჯახის წევრი არ არის. მისი კორუმპირებულობის შესახებ მე არანაირ დოკუმენტს არ ვფლობ, თუმცა პირდაპირ დაქვემდებარებაში ახლო ნათესავი არ უნდა იყოს და მე შესაბამის გადაწყვეტილებას მივიღებ."**

უნივერსიტეტის აკრედიტაციასთან არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით ონიანს მიაჩნია, რომ იმ შემთხვევაში, თუკი გარიცხული 2000 სტუდენტიდან უმეტესობა დავალიანების დაფარვას შეძლებს, სტუდენტებს უნივერსიტეტში აღადგენს და დამატებითი ფართის მოძიებას შეუდგება, რათა აკრედიტაციისთვის პრობლემები არ შეექმნას.

## სოფელი თუ უბრალოდ საზოგადოებრივი კავშირი?

პირველი გვერდიდან

თითქმის მთელი თებერვალი იქაურები ქვემო ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულის კარზე იდგნენ და მასთან შეხვედრას ითხოვდნენ.

**"15 დღეა რწმუნებულთან დავდივართ და არ გვიღებს. არადა ჩვენთან კატასტროფული მდგომარეობაა. 29 იანვარს ჩავატარეთ საზოგადოებრივი კავშირის საერთო კრება, რომელმაც კავშირის თავმჯდომარეს ნუგზარ კუჭავას უფლებამოსილება შეუწყვიტა და ხალხმა მას კარები აუჭედა. მიუხედავად ამისა, კუჭავას საზოგადოების ბეჭედი აქვს და თვითნებურად მიწებსა და საცხოვრებელ სახლებს ყიდის. ის შეკრულია გარდაბნის რაიონის გამგებელთან, რომელიც დაგვემუქრა კიდეც - გაჩუმდით, თორემ ყველანაირ პირობებს შეგიზღუდავთო,"** - ამბობენ მთისძირელები.

კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც ისინი სასწრაფოდ ითხოვენ მათი დასახლების სტატუსის გარკვევას, "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის" მილსადენია, რომელიც იქვე, 800 მეტრში გადის.

**"თუ ფულადი კომპენსაცია არ იქნება, "ბი-პი"-მ წყლის პრობლემა მაინც მოგვიგვაროს. მათ საკომპენსაციო რუკაზე ჩვენი დასახლება მოხვედრილია, მაგრამ იმის გამო, რომ იურიდიულად სოფლის სტატუსი არ გვაქვს, ვერაფერს გვიკეთებენ,"** - აცხადებს ხალხი.

ნახევართვიანი "ალყის" შემდეგ მთისძირელებმა პრეზიდენტის რწმუნებულთან ზურაბ მელიქიშვილთან შეღწევა მოახერხეს. "24 საათმა" რწმუნებულს კომენტარი სთხოვა. მელიქიშვილი არ უარყოფს, რომ პრობლემა არსებობს და ადგილობრივი ხელისუფლება აქამდე, ფაქტობრივად, იგნორირებას უკეთებდა ამ ხალხის მოთხოვნებს.

**"ამ დასახლებისთვის სოფლის სტატუსის მიცემა არც ისე ადვილი საქმეა. მე უკვე მივწერე პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსს ირაკლი ჩუბინიშვილს წერილი, სადაც სპეციალური კომისიის შექმნას ვითხოვ. კომისიაში უნდა შევიდნენ შინაგან საქმეთა, თავდაცვის და იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლები, ასევე - გარდაბნის რაიონის ხელმძღვანელობა. აქ ყველაფერია გასათვალისწინებელი - ისიც, რომ დასახლება პოლიგონის და სამხედრო ნაწილის მიმდებარეა, გასარკვევია შსს-ს პოზიციაც. მნიშვნელოვანია, რომ სოფლად აღიარების შემთხვევაში, მათთვის თანხა უნდა გამოიყოს რაიონის ბიუჯეტიდან, სოფელს დასჭირდება მიწისა და საძოვრების გამოყოფა და ასე შემდეგ,"** - ამბობს რწმუნებული. მისივე მტკიცებით, უკვე ერთ კვირაში კომისია ადგილზე ჩავა და კონკრეტულ მონახაზსაც გააკეთებს.

მოკლედ

### ისრაელსა და საქართველოს შორის სამხედრო სფეროში თანამშრომლობა გაგრძელდება

საქართველოს სახელმწიფო მინისტრი გიორგი ბარამიძე დარწმუნებულია, რომ ისრაელსა და საქართველოს შორის სამხედრო სფეროში თანამშრომლობა გაგრძელდება. ამავდროულად, ბარამიძეს მიაჩნია, რომ თუ ისრაელი უარს იტყვის საქართველოსთან სამხედრო სფეროში თანამშრომლობაზე, გამოიძებნებიან სხვა ქვეყნები, რომლებიც საქართველოს დაეხმარებიან.

როგორც ცნობილია, ამ დღეებში რუსეთის მასმედიამ გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმად, რუსეთის მოთხოვნის გამო, ისრაელმა უარი თქვა საქართველოსთვის სამხედრო ტექნიკის მიწოდებაზე. რუსული მხარის შეფასებით, ისრაელის მიერ საქართველოსთვის გადაცემული სამხედრო ტექნიკა შესაძლოა, ჩეჩენ ტერორისტებს ჩაუვარდეთ ხელში.

გია ბარამიძეს ამგვარი ლოგიკა მიუღებლად მიაჩნია. სახელმწიფო მინისტრი თავად რუსებს ადანაშაულებს გარკვეულ საშიშ ქმედებებში. ბარამიძის თქმით, რუსეთი ერთ-ერთი სახელმწიფოა, რომელიც ირანს ბირთვული ტექნოლოგიების შემუშავებაში ეხმარება, სირიას კი საკმაოდ თანამედროვე სარაკეტო კომპლექსებით ამარაგებს.

"ისრაელში მოიძებნებიან ფირმები, რომლებსაც საკმაოდ დიდი სურვილი აქვთ, ქართულ მხარესთან სამხედრო სფეროში ითანამშრომლონ", - განაცხადა გიორგი ბარამიძემ, რომელიც თანამშრომლობის ერთ-ერთ გამოვლინებად თბილისის 31-ე საავიაციო ქარხანაში ისრაელისა და ქართული მხარეების მონაწილეობით "სუ-25" ტიპის თვითმფრინავის მოდერნიზაციას მიიჩნევს.

***ინტერ-პრესი***

ორი სიტყვით

**თბილისი.** ქართველი იუნკერების დაღუპვიდან 84-ე წლისთავთან დაკავშირებით, გუშინ პარლამენტის შენობის წინ აქცია გაიმართა. ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ საქართველოს თავდაცვის ეროვნული აკადემია და ორგანიზაცია "საქართველოს ლეგიონები". ***ინტერ-პრესი***

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიტიკურმა გაერთიანება "ახალმა მემარჯვენეებმა" 7-პროცენტიანი საარჩევნო ბარიერის შესამცირებლად, ჯერჯერობით, 70 დეპუტატის ხელმოწერა შეაგროვეს, რაც პარლამენტში საკითხის ინიცირებისთვის საკმარისი არ არის. "მრეწველები-ახლები" საარჩევნო ბარიერის 5 პროცენტამდე დასაწევად ხელმოწერების შეგროვებას მომავალ პლენარულ კვირასაც გააგრძელებენ. ***ინტერ-პრესი***

მოკლედ

### პარლამენტი კოტე კუბლაშვილის კანდიდატურას განიხილავს

პრეზიდენტის მიერ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პოსტზე წარდგენილი კოტე კუბლაშვილის კანდიდატურის განხილვას საპარლამენტო კომიტეტები დღეიდან დაიწყებენ.

კუბლაშვილის კანდიდატურას პარლამენტის ბიუროს სხდომაზეც განიხილავენ. ამასთან, ბიუროს სხდომა მომავალი კვირის პლენარული სხდომების დღის წესრიგსაც განსაზღვრავს.

კონსტიტუციის მიხედვით, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს პარლამენტი პრეზიდენტის წარდგინებით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, არანაკლებ 10 წლის ვადით ირჩევს.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ხელშეუხებელია. მისი პასუხისმგებლობაში მიცემა, დაკავება და დაპატიმრება, ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა შესაძლებელია მხოლოდ პარლამენტის თანხმობით. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა.

***ინტერ-პრესი***




მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# რუსეთი - გზა იზოლაციისკენ

პირველი გვერდიდან

მეტიც, 2004 წელს ჩიხში შევიდა ევროკავშირთან რუსეთის მოლაპარაკებები. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ გადაუწყვეტელი რჩება "კალინინგრადის პრობლემა" - საკითხი ანკლავისა, რომელიც, ევროკავშირში ლიტვისა და პოლონეთის შესვლის შემდეგ, რუსეთისგან მთლიანად არის მოწყვეტილი. ამაში მხოლოდ რუსეთი არ არის დამნაშავე, მაგრამ ასეა თუ ისე, მოლაპარაკებები, პრაქტიკულად, ახლა ისევ ნულიდან არის დასაწყები.

დასავლეთთან რუსეთის ურთიერთობებში, უფრო ფართო გაგებითაც, "აციება" იწყება. ამას ჯერ კატასტროფას ვერ ვუწოდებთ, თუმცა, რასაც დასავლეთის საინფორმაციო საშუალებები რუსეთსა და მის ხელმძღვანელობაზე წერენ, არც ისე ადვილი წასაკითხია. თითქმის მთელი ინფორმაცია მიწოდებულია ნეგატიური რაკურსით, ჩვენ უკვე დაგვცინიან კიდეც.

ბელარუსში და უკრაინაში განვითარებულმა მოვლენებმა გამოიწვია ის, რომ ევრაზიული ეკონომიკური თანამეგობრობის პროექტი სულ უფრო არარეალურად გამოიყურება. რუსეთის მიერ გამოჩენილი სისუსტეებისა და არაკომპეტენტურობისგან ჩვენმა დსთ-ელმა პარტნიორებმა საკუთარი დასკვნები გამოიტანეს.

შეიძლებოდა ეს ჩამონათვალი კიდევ გამეგრძელებინა, მაგრამ ჭრილობებზე მარილს აღარ მოგაყრით, ეს ჩემი ჭრილობაც არის. რუსები უიმედობამ არ უნდა შეიპყროს, მაგრამ თუ წარუმატებლობის მიზეზებში არ გავერკვევით და საგარეო პოლიტიკაში ძირეული ცვლილებები არ მოვახდინეთ, ახალი დამარცხებებისთვის ვიქნებით განწირულნი და ყოველგვარ გავლენასა და სტატუსს დავკარგავთ, თუ კიდევ უფრო უარესი არ დაგვატყდა თავს.

მთავარი მიზეზი იმისა, რაც მოხდა, რუსეთის საგარეო პოლიტიკის სისტემატური ინტელექტუალური სისუსტეა. დანარჩენი სამყაროს ჩვენეული ცოდნა და აღქმა უარესდება; ხშირ შემთხვევაში, საგარეო პოლიტიკის პროგნოზირებისა და დაგეგმარების არანაირი სისტემა არ გაგვაჩნია.

მაგალითად, უკრაინაში განცდილი მარცხის თავიდან აცილება შეიძლებოდა, თუ დროულად შევაფასებდით სიტუაციას და მხარს დავუჭერდით კანდიდატს, რომლის გამარჯვებაც, პრაქტიკულად, ეჭვს არ იწვევდა. მაგრამ ჩვენ უკრაინის საკითხი დილეტანტებს მივანდეთ, რომლებსაც შორს მიმავალი ეკონომიკური ინტერესები გააჩნდათ. ხოლო როდესაც უსიამოვნო სიტუაციის დასაფარად პუტინს მოუხმეს, რიგითი წარუმატებლობა უკვე სრულ ფიასკოში გადაიზარდა.

რეალურად, რუსეთის საგარეო პოლიტიკა პუტინის პიროვნებასთან არის გაიგივებული: პრაქტიკულად ყველა გადაწყვეტილებას პრეზიდენტი იღებს და ალასრულებს. საგარეო საქმეთა სამინისტრო, სადაც ქვეყნის საუკეთესო პერსონალია თავმოყრილი, დიპლომატიური დაგეგმარებისგან, მნიშვნელოვანწილად, მოწყვეტილია. უშიშროების საბჭო კი თავს თითქმის ვერაფრით წარმოაჩენს.

კარგი გადაწყვეტილებებიც კი არაკომპეტენტურად იგეგმება. ამიტომ, შეცდომის რისკი იზრდება. საგარეო პოლიტიკურ ქმედებაზე პასუხისმგებლობა, ხშირად, პირველივე შემხვედრ "კომისიის წევრს" ეკისრება. ასეთი მიდგომის გამო ჩაიფუშა იური კოზაკის გეგმა დნესტრისპირეთის პრობლემის მოგვარებასთან დაკავშირებით, იგივე მიზეზით არის შექმნილი სასაცილო მდგომარეობა აფხაზეთში - საქართველოს სეპარატისტულ რეგიონში.

ჩამოყალიბების პროცესში მყოფი რუსეთის პოლიტიკური სისტემის ფუნდამენტური სისუსტე სულ უფრო მკაფიოდ ვლინდება მისთვის დამახასიათებელ მეტისმეტ ცენტრალიზაციაში, ცალკეულ პერსონებზე (და არა სტრუქტურებზე) დაყრდნობაში, ხელმძღვანელობის დაბალ ხარისხში. რუსეთის მმართველი ელიტა სულ უფრო ნაკლებად შეესაბამება ქვეყნის პოტენციალსა და მოთხოვნილებებს.

იმ დროს, როდესაც წარუმატებლობები მატულობს, ჩვენ ვბუზღუნებთ და სხვებს ვადანაშაულებთ, ან ვთხზავთ დიდი სახელმწიფოების "განეიტრალების" წარმოსახვით გეგმებს. ჩვენს ასეთ ქმედებებს სხვები, ჯერჯერობით, ყურადღებას არ აქცევენ. მათ რუსეთი ტაქტიკური მოსაზრებების გამო სჭირდებათ. მაგრამ გარე სამყაროს მიერ რუსეთის პოლიტიკისა და მომავლის შეფასება აშკარად უარესობისკენ იცვლება.

ეს მხოლოდ ჩვენი საგარეო პოლიტიკით და ეკონომიკურ საკითხებში არათანმიმდევრულობით როდია გამოწვეული. ცოტა ვინმეს თუ სჯერა, რომ რუსეთის გაძლიერება თითქმის საბჭოური პოლიტიკური სისტემის შექმნით შეიძლება, რომელსაც ამ სისტემის მხოლოდ ერთი კომპონენტი - კომპარტია და იდეოლოგია აკლია. შედეგად, ბოლო წელიწადნახევარში სხვა ქვეყნებში შეიცვალა რუსეთის აღქმა: მომძლავრებული პარტნიორიდან და შესაძლო მოკავშირედან სუსტ ოპონენტად გადავიქეცით.

ნაციონალურ სტრატეგიასთან დაკავშირებით, რუსეთს სჭირდება სერიოზული დისკუსია, როგორც ელიტის, ისე მოსახლეობის ფართო ფენებს შორის. ასევე საჭიროა საგარეო პოლიტიკის დაგეგმარების და კოორდინირების ეფექტური მექანიზმი. ერთიანი პოლიტიკური პროგრამა სერიოზულ ცვლილებებს მოითხოვს. დღეს ეს პროგრამა, გათვლილი ერთ, ცალკე აღებულ ქვეყანაში კაპიტალიზმის აშენებაზე, ძალიან ჰგავს იმ პოლიტიკურ პრინციპებს, რომლებმაც საბჭოთა კავშირის დაშლა გამოიწვიეს.

ჯერჯერობით კი რუსეთი მიდის იმისკენ, რომ მომავალში ვენესუელის ან ნიგერიის გადიდებულ ვარიანტად იქცეს, ანუ, იმის ნაცვლად, რომ ევროპის ან ევრაზიის ერთ-ერთ ზესახელმწიფოდ ჩამოყალიბდეს, გახდეს ნავთობით მდიდარი ქვეყანა, რომელსაც ფუნქციონირება არ შეუძლია.

## ფოტორეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო „მწვანე ტალღის" ეთერში FM 107.4 ყოველ სამშაბათს და შაბათს 11-დან 12 საათამდე უსმინეთ გადაცემას დილის სასამართლო. გავასამართლოთ სხვადასხვა მოვლენები,ისტორიული პირები და ლიტერატურული პერსონაჟები. გამოიტანეთ თქვენი ვერდიქტი,რადგანაც 12 ნაფიცი მსაჯული იქნებით თქვენ.

### თანამედროვე ქართული სტუდენტობის სასამართლო პროცესი





| | |
|---|---|
| ბრალდებული | თანამედროვე ქართული სტუდენტობა [illegible] |
| ადვოკატი | [illegible] 1978-ში [illegible] |
| ბრალდება | ქართულ სტუდენტობას ბრალი ედება [illegible] |
| ბრალდებულის პოზიცია | [illegible] |
| ვერდიქტი | ნაფიც მსაჯულთა გადაწყვეტილებით(7 ხმა 5-ის წინააღმდეგ), თანამედროვე ქართული სტუდენტობა გამოცხადდა უდანაშაულოდ [illegible] |

12 ნაფიცი მსაჯული :

1. [illegible] (უდანაშაულოა)
2. [illegible] (უდანაშაულოა)
3. [illegible] (უდანაშაულოა)
4. [illegible] (უდანაშაულოა)
5. ირაკლი (უდანაშაულოა)
6. ლიკა (დამნაშავეა)
7. [illegible] (დამნაშავეა)
8. [illegible] (უდანაშაულოა)
9. [illegible] (დამნაშავეა)
10. [illegible] (დამნაშავეა)
11. [illegible] (დამნაშავეა)
12. [illegible] (უდანაშაულოა)

# ამერიკელ სენატორთა დემარში რუსეთის წინააღმდეგ

პირველი გვერდიდან

მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის თანამშრომლობის სფეროების ჩამოთვლის შემდეგ კი, მრჩეველმა დაძაბულობის მთავარ მიზეზებზეც მიანიშნა: **"წინა შეხვედრებზე, ბუშმა თავისუფლებისა და დემოკრატიის აუცილებლობაზე პუტინს ხაზგასმით მიუთითა."**

"დიდი რვიანიდან" რუსეთის გაძევებაზე საუბარი კი ახალი არ არის. **"დიდი რვიანის" წევრობის უმთავრესი პირობა დემოკრატიული პრინციპების დაცვაა. სწორედ ამიტომ, რუსეთი მისი წევრი არ უნდა იყოს,"** – ერთი კვირის წინ განაცხადა ამერიკელმა მილიარდერმა ჯორჯ სოროსმა. ავსტრიული გაზეთისათვის "პრესე" მიცემულ ინტერვიუში იგი ამბობდა: **"რუსეთში დემოკრატია აღარ ფუნქციონირებს. აღარ არსებობს დამოუკიდებელი მასმედიის საშუალებები, ისევე - როგორც პოლიტიკური ოპოზიცია და ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი სასამართლო ორგანოები. ეს რუსეთისათვის უკან გადადგმული ნაბიჯია და საჭიროა სასწრაფო რეაქცია როგორც აშშ-ს, ასევე ევროპის მხრიდან."**

მსგავსი მკაცრი რეზოლუციის გამოჩენის კიდევ ერთი მიზეზი, შესაძლოა, სულ რამდენიმე ხნის წინ, სენატში განხილულ საკითხში ვეძიოთ - "რუსეთში დემოკრატიის უკან დახევა." განხილვას კი საკმაოდ უარყოფითი ფონი ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის კონდოლიზა რაისის გამოსვლამ შეუქმნა.

**"ჩვენ ძალზე დიდი ყურადღებით ვაკვირდებით რუსეთის პროგრამებს. რაღაც საკითხები უმჯობესდება, თუმცა უკან დახევასაც აქვს ადგილი. ამჟამად, რუსეთის პროგრამაში ეკონომიკური რეფორმების სფეროში უკან დახევის ჯერი დადგა, თუმცა წინსვლა არც დემოკრატიის სფეროში შეინიშნება,"** – აღნიშნა მან.

რეაგირებამ მართლაც არ დააყოვნა და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული რეზოლუციის პროექტი, შეერთებული შტატების სენატში განსახილველად შაბათს შევიდა.

პროექტს ხელს აწერენ როგორც "რესპუბლიკელები", ისე "დემოკრატები". სენატორები პრეზიდენტ ჯორჯ ბუშისაგან პუტინის დასჯას მოითხოვენ, სანამ ეს უკანასკნელი **"დემოკრატიული მმართველობის ფუძემდებლური ნორმების, უწინარეს ყოვლისა, სიტყვის თავისუფლებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპების ერთგულების დემონსტრირებას არ მოახდენს."**

რეზოლუციის პროექტის ავტორები, პრეზიდენტობის ორ ყოფილ კანდიდატთან ერთად, "რესპუბლიკელი" სენატორები - კონრად ბერნსი, გორდონ სმიტი და საქსბი ჩემბლისი, ასევე "დემოკრატები" - ევან ბაი და რიჩარდ დურბანი არიან.

მათი აზრით, რუსეთის ხელისუფლება არღვევს ადამიანთა უფლებებს, არ ძალუძს მოაგვაროს პოლიტიკური პროცესი ჩეჩნეთში, სადაც ფედერალური ჯარები მშვიდობიანი მოსახლეობის უფლებებს არღვევენ.

**"2003 წელს მე ვსაუბრობდი რუსეთში დემოკრატიული ძალებისა და საბაზრო კაპიტალიზმის წინააღმდეგ "მცოცავ გადატრიალებაზე." დღეს გადატრიალება აღარ ცოცავს, ის ნავარდობს,"** – აცხადებს რეზოლუციის პროექტის კომენტირებისას სენატორი მაკკეინი.

**"ბატონი პუტინი კიდევ წინ მიიწევს, 89 რეგიონში მან გუბერნატორთა საყოველთაო არჩევნები გააუქმა, დაასუსტა დამოუკიდებელი მასობრივი საინფორმაციო საშუალებები და ოპოზიციაში მდგომ ბიზნესმენთა რეპრესიებს განაგრძობს,** – აკონკრეტებს ძირითად პრეტენზიებს მაკკეინი, - **ეს არის კრემლის კონტროლის ძველი ტრადიციების აღდგენა, რასაც შეერთებული შტატები არ უნდა შეურიგდეს და ვერც შეურიგდება."** არანაკლებ პრინციპულია რეზოლუციის კიდევ ერთი ავტორი ჯოზეფ ლიბერმანი: **"ჩვენ რუსეთის ანტიდემოკრატიულ უკუსვლას ღიად უნდა დავუპირისპირდეთ,** – აცხადებს იგი და იქვე ამატებს, - **აღნიშნული რეზოლუციის მიღებით, სენატი რუსეთში დემოკრატთა სრული მხარდაჭერის დემონსტრირებას მოახდენს და თავისუფლების განმტკიცებით, ამერიკის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს."**

"დიდ რვიანში" ხმის უფლების ჩამორთმევა რუსეთს სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის, თუმცა, ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროში დარწმუნებული არიან, რომ მსგავსი რამ არ მოხდება – არც სენატი და არც შეერთებული შტატების ხელისუფლება აღნიშნულ ინიციატივას მხარს არ დაუჭერს.

**"მსოფლიოს წამყვან შვიდ სახელმწიფოს რუსეთის გარეშე ძალზე გაუძნელდება. მეტიც, შეუძლებელიც კი გახდება ისეთი აქტუალური პრობლემების გადაწყვეტა, როგორიცაა საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლა, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების გამორიცხვა, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის ეკონომიკური გახლეჩვის მოგვარება, ტრანსნაციონალურ დანაშაულთან ბრძოლა,"** – განაცხადა რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტის ხელმძღვანელმა კონსტანტინ კოსაჩოვმა და იქვე მიანიშნა, რომ რუსეთის "დიდი რვიანიდან" გარიცხვის საკითხის სენატში დაყენება პირველად არ ხდება.






თიბისი ბანკი TBC Bank NEWS



## ამ დღეებში "თიბისი ბანკი" ახალ სათაო ოფისში გადადის

თბილისში ამჟამად რამდენიმე მნიშვნელოვანი არქიტექტურული ძეგლის რესტავრაცია მიმდინარეობს ბიზნეს-კომპანიების დაფინანსებით. უახლოეს დღეებში შედგება პირველი ასეთი რესტავრირებული არქიტექტურული ნაგებობის ოფიციალური გახსნა, როდესაც საზოგადოებას მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე, ყოფილი ცენტრალური უნივერმაღის აღდგენილი შენობის დათვალიერების საშუალება მიეცემა.

ამ არქიტექტურული ძეგლისათვის პირვენდელი იერსახის დაბრუნების იდეა სააქციო საზოგადოება "თიბისი ბანკს" ეკუთვნის და სარესტავრაციო სამუშაოების განხორციელება და დაფინანსებაც სწორედ მან ითავა.

ამ ეტაპზე ნაგებობის შიდა ინტერიერის მოსაპირკეთებელი ბოლო სამუშაოები მიმდინარეობს, რომლის დასრულებისთანავე რესტავრირებულ შენობაში ბანკის სათაო ოფისი განთავსდება.

სარეკონსტრუქციო სამუშაოები ორი წლის წინათ, ზაფხულში დაიწყო. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა, დასრულდა შენობის ფასადის რესტავრაცია, მოიხსნა ხარაჩოები, დამონტაჟდა შენობის ღამის განათება და დედაქალაქის ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ არქიტექტურულ ძეგლს ძველი იერსახე დაუბრუნდა.

**"ერთადერთი დეტალი, რაც ჩვენ შენობაზე დავამატეთ - საათია. ბანკი ფულთან და დროსთან ასოცირდება, ამასთან მისი აუცილებელი მოთხოვნაა სიზუსტე. ამიტომაც რესტავრირებულ შენობაზე დავამონტაჟეთ ქუჩის საათი, რომელიც სატელიტზე სწორდება. დედაქალაქში არ მეგულება ანალოგიური სიზუსტის ქუჩის საათი. მათი უმეტესობა ელექტრონულია, ზოგიერთი კი ტელევიზიების დროზეა ორიენტირებული",** - ამბობს "თიბისი ბანკის" ვიცე-პრეზიდენტი **ვანო ბალიაშვილი.**

"თიბისი ბანკის" ხელმძღვანელობა რესტავრაციის საკითხს პროფესიონალურად მიუდგა და სარეკონსტრუქციო სამუშაოები არქიტექტორების მიერ მომზადებულ პროექტზე დაყრდნობით განახორციელა. კერძოდ, შენობის რესტავრაცია-ადაპტაციის და ნაწილობრივ რეკონსტრუქციის პროექტი ბანკის დაკვეთით, არქიტექტორ გაგა კიკნაძის მიერ, ძეგლთა დაცვის დეპარტამენტთან შეთანხმებით მომზადდა, პროექტის საინჟინრო ნაწილი "ქალაქპროექტმა" დაამუშავა, ხოლო შენობის გასამაგრებელი სამუშაოები სეისმომედეგობის ინსტიტუტის რეკომენდაციებზე დაყრდნობით განხორციელდა.

## ყველაზე პოპულარული ბანკი

პოპულარული ბანკის პოპულარული ნაბიჯი - ასე აფასებენ სპეციალისტები "თიბისი ბანკის" მორიგ ინიციატივას. ბანკის ხელმძღვანელობა ტრადიციებს არ ღალატობს და ფინანსური მაჩვენებლის ზრდის პარალელურად მომხმარებელზეც ზრუნავს. კომფორტი, საიმედოობა და დაბალი ტარიფები - "თიბისი ბანკის" სავიზიტო ბარათად იქცა.

"თიბისი ბანკი" საქართველოს საფინანსო ბაზარზე 12 წლის წინათ გამოჩნდა და საკმაოდ მალე შეძლო მნიშვნელოვანი პოზიცია დაეკავებინა. დღეს ექსპერტები აღნიშნავენ, რომ თავის დროზე საერთაშორისო საბანკო სტანდარტებზე გადასვლა და კლიენტების მოთხოვნილებაზე ორიენტირება ბანკის წარმატებული საქმიანობის განმსაზღვრელი უპირველესი ფაქტორები აღმოჩნდა. ბანკის მიერ არჩეული პოლიტიკის წარმატებზე მეტყველებს კლიენტურის სწრაფი ზრდაც. ყველაზე პოპულარული და კომფორტული ბანკის იმიჯის დამკვიდრებას დიდ ძალისხმევა დასჭირდა, თუმცა მისი შენარჩუნება უფრო რთული აღმოჩნდა.

**"რამდენიმე წელია, "თიბისი ბანკის" ერთგული კლიენტი ვარ, ეს ალბათ მისმა ოპერატიულობამ და მომსახურების დონემ განაპირობა. ვაფასებ, რომ "თიბისი ბანკი", პოპულარულობასთან ერთად, იმიჯის შენარჩუნებაზეც ზრუნავს. სანდოობა - ბანკის იმიჯის ყველაზე მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორია. პირადად, ძირითადად, კრედიტით ვსარგებლობ. ძალიან კმაყოფილი ვარ. გარდა ამისა "თიბისი ბანკის" სხვადასხვა მომსახურებით ჩემი მეგობრებიც, მათ შორის "ტელეიმედის" თანამშრომლებიც სარგებლობენ"** - ამბობს ტელეკომპანია "იმედის" წამყვანი **ლევან ჯავახიშვილი.**

## "თიბისი ბანკი" საკრედიტო ბარათების გამოშვებას იწყებს

ეს იქნება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიახლე, რომელსაც უახლოეს ხანებში "თიბისი ბანკი" შესთავაზებს მომხმარებელს. საკრედიტო ბარათი - ეს არის პლასტიკური ბარათი, რომელიც საშუალებას გაძლევს, გაანაღდო თანხა ანგარიშზე არსებული ნაშთის ზემოთ, ანუ ბარათის საშუალებით აითვისო ბანკიდან თანხა, რომელიც რეალურად კრედიტს წარმოადგენს.

დღეისათვის საქართველოში გამოშვებული ყველა ვიზა და მასტერქარდი ბარათი არის სადებეტო ბარათი, რომელიც საშუალებას გაძლევს, გაანაღდო მხოლოდ ის თანხა, რომელიც არსებულ საბარათე ანგარიშზე გაქვს. ასეთ ბარათებზე, თუ კლიენტს ხელფასი ყოველთვიურად ერიცხება, შეიძლება კრედიტის, ანუ ოვერდრაფტის დაშვება. ამ შემთხვევაში ოვერდრაფტი ერთი თვის ვადაში მთლიანად უნდა დაიფაროს. ამ სქემას ჰქვია სადებეტო ბარათი + ოვერდრაფტი.

საკრედიტო ბარათის შემთხვევაში კლიენტს ბანკი განუსაზღვრავს საკრედიტო ლიმიტს, რომელიც მოქმედებს პლასტიკური ბარათების მოქმედების განმავლობაში. ლიმიტის დამტკიცების შემდეგ, კლიენტს როცა უნდა, მაშინ გამოიყენებს ამ კრედიტს ან შეუძლია საერთოდ არ გამოიყენოს.

საკრედიტო ლიმიტის თანხა 200-დან 5000 აშშ დოლარამდე იქნება, ხოლო ვადა 1 თვიდან 24 თვემდე. წლიური საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება რეალურად გამოყენებული თანხის 24%-ის ოდენობით.

ერთ-ერთი მთავარი უპირატესობა, რაც საკრედიტო ბარათს გააჩნია ჩვეულებრივ სესხთან შედარებით, ისაა, რომ ამ ბარათის მფლობელს კრედიტის უზრუნველყოფა (ანუ გირაო) არ მოითხოვება. საკრედიტო ბარათით სარგებლობა შეეძლებათ პირებს, რომელთა ყოველთვიური შემოსავალი მინიმუმ 400 აშშ დოლარია.

საკრედიტო ბარათის მკვეთრი უპირატესობაა მისი საშეღავათო პერიოდი, რომლის განმავლობაში კრედიტს პროცენტი არ ერიცხება. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ლიმიტის ერთხელ დამტკიცების შემთხვევაში, არსებობს შესაძლებლობა 2 წლის განმავლობაში კრედიტი ნებისმიერ დროს იქნეს გამოყენებული.

საკრედიტო ბარათის მფლობელის მიერ სესხის დაფარვა ხდება არა მთლიანად, არამედ თვეში მხოლოდ კრედიტის 10%-ის ოდენობით. ამავდროულად მომხმარებელს გექმნება კარგი საკრედიტო ისტორია, რის საფუძველზე საკრედიტო ლიმიტი მომავალში ავტომატურად გაეზრდება.

"თიბისი ბანკის" საკრედიტო ბარათის გამოყენებას მოსახერხებელს ხდის ბანკომატების დიდი ქსელი, რომელიც გამართულად მუშაობს; ამასთან, ბარათის კონტროლი შეიძლება ინტერნეტით, მობილურით, ბანკომატით, ბანკში დარეკვით, ელ-ფოსტით. მას შემდეგ, რაც "თიბისი ბანკის" ბანკომატიდან შესაძლებელი გახდა ანგარიშზე თანხის შეტანა და კომუნალური გადარიცხვები, საკრედიტო ბარათის მფლობელს შეეძლება კრედიტის დაფარვა ასევე ბანკომატის გამოყენებით.

"თიბისი ბანკის" საკრედიტო ბარათის პოტენციური მფლობელები არიან "თიბისი ბანკში" ან სხვა ბანკებში კარგი საკრედიტო ისტორიის მქონე ფიზიკური პირები, ასევე პირები, რომლებსაც ხელფასი ერიცხებათ სს "თიბისი ბანკში" ან სხვა ნებისმიერ ბანკში, ან გააჩნიათ საშუალოზე დიდი ბრუნვა სს "თიბისი ბანკის" ანგარიშზე. საკრედიტო ბარათით, ბუნებრივია, ისარგებლებენ ბანკის კლიენტი კომპანიების დამფუძნებლები, მენეჯმენტის წევრები, თანამშრომლები, ასევე ნებისმიერი მსხვილი კომპანიის თანამშრომლები, მიუხედავად იმისა, ხელფასი ბანკში ერიცხებათ თუ არა.

# ახალი აეროპორტი და მისი დირექციის "არატენდერული" საქციელი

პირველი გვერდიდან

**"სატენდერო განაცხადში არ იყო მკაფიოდ ჩამოყალიბებული პირობები, არ იყო მოთხოვნილი პროექტის ფინანსური უზრუნველყოფა და მისი ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლები. სატენდერო განაცხადში ტელეფონიც კი შეცდომით იყო მითითებული, ხოლო ფაქსი და ელექტრონული ფოსტა საერთოდ არ ყოფილა,"** – განაცხადა კახა გაგოშაშვილმა "24 საათთან" საუბრისას. მისი აზრით, ეს საკმარისი საფუძველია ეჭვისთვის, რომ ტენდერი საგანგებოდ, რომელიმე კონკრეტული კომპანიის გამარჯვების უზრუნველსაყოფად, იმ ფორმით გამოცხადდა, რომ მოგვიანებით ამ კომპანიამ შეძლოს და საკუთარი ტექნიკურ-ეკონომიკური პირობები დააწესოს.

"პალადი-პალასის" წარმომადგენლებს ეჭვს ისიც უძლიერებს, რომ სატენდერო კომისიის თავმჯდომარე, ახალი აეროპორტის აშენების პერსპექტივაზე საუბრისას, სწორედ გერმანული "გლორია-პილდენის" მიერ წარმოდგენილ პროექტს აღწერს. **"საიდან ასეთი ნდობა, როცა ამ გერმანული კომპანიის შესახებ ინფორმაციის მოძიება ინტერნეტითაც კი შეუძლებელია,"** – ინტერესდება გაგოშაშვილი.

სხვათა შორის, ინტერნეტში განთავსებული ინფორმაციის თანახმად, "ტაკომი" მობილური კავშირგაბმულობის კომპანიაა, რომელიც მობილურ ტელეფონებს ინტერნეტის საშუალებითაც ყიდის. რაც შეეხება მის შვილობილ "გლორია პილდენს", ამ კომპანიის შესახებ ინფორმაცია ინტერნეტში მართლაც არ აღმოჩნდა.

ამდენად, გაგოშაშვილს აინტერესებს, ვისთვის აპირებს თბილისის საერთაშორისო აეროპორტი, 35-მილიონ დოლარიანი სესხი აიღოს მსოფლიო ბანკისგან, რომელიც, მისი თქმით, **"მერე ჩვენმა შვილებმა და შვილიშვილებმა უნდა გადაიხადონ. და ეს მაშინ, როცა "პალადი-პალასის" პროექტს საკუთარი ინვესტორი ჰყავს და მას ხელისუფლებისთვის გაცილებით უფრო მომგებიანი პირობების წარდგენა შეუძლია."**

კერძოდ, გაგოშაშვილის თქმით, "პალადი-პალასის" მიერ მოძიებული ინვესტორი, **"იტალიური კონსორციუმი "ექსენი"** (უფრო ზუსტად - Consortium Costruzioni e Servizi S.p.A. e EXEN S.p.A, რომელიც, საკუთარ ვებსაიტზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, რომის, მილანის და ვენეციის აეროპორტების ურთულეს სამშენებლო სამუშაოებს ასრულებდა, თუმცა, სატენდერო კომისია ამ "მცირედი დეტალებით" არ დაინტერესებულა), **პროექტს საკუთარი თანხებით აფინანსებს და ხელისუფლებას აძლევს საშუალებას, მოლაპარაკების გზით გამოძებნონ ინვესტიციის დაბრუნების ისეთი მოდელი, რომელიც ყველაზე უფრო მისაღები იქნება ისეთი ეკონომიკური შესაძლებლობების მქონე ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა."**



*გიორგი ბერიძე და კახა გაგოშაშვილი წარადგენენ აეროპორტს, რომელიც შესაძლოა, თბილისში არასოდეს აშენდეს.*

რაც შეეხება "პალადი-პალასის" მეორე, თურქ ინვესტორს - სამშენებლო გაერთიანება URBAN Construction-ს - "პალადი-პალასის" გენერალური დირექტორის თქმით, ის ქართველი არქიტექტორის გიორგი ბერიძის მიერ შეთავაზებული პროექტით მხოლოდ მას შემდეგ დაინტერესდა, რაც საქართველოს ხელისუფლებამ ახალი აეროპორტისთვის ტენდერი გამოაცხადა.

**"ამ ტენდერის გამოცხადების შემდეგ "ექსენმა" და "ურბან კონსტრაქშენმა", ქართულ მხარესთან ერთად, ამ და სხვა მსგავსი პროექტების განხორციელების მიზნით, ჩვენი ჩანაფიქრის განხორციელება დავაჩქარეთ და ერთობლივი საწარმო -"პალადი-პალასი" ჩამოვაყალიბეთ,** - ყვება კომპანიის ისტორიას "პალადი-პალასის" მიერ ტენდერზე წარდგენილი პროექტის ავტორი, არქიტექტორი გიორგი ბერიძე, - **"ექსენი" ამ პროექტს ადრეც იცნობდა, რადგან მე იგი 2004 წელს ვენეციის ბიენალეზე წარვადგინე."**

როგორც გიორგი ბერიძესთან საუბრისას გაირკვა, ამ პროექტზე მუშაობა არქიტექტორმა 2003 წელს დაიწყო, რადგან აშკარა იყო, რომ თბილისში ახალი აეროპორტი, ადრე თუ გვიან, საჭირო გახდებოდა. მისი თქმით, ხელისუფლება და ავიაკომპანიები გრძნობდნენ ამის აუცილებლობას და მათი მხრიდან შესაბამისი წინადადებებიც არაერთხელ გაჟღერებულა. **"პროექტი თითქმის მზად გახლდათ, როცა ვენეციის ბიენალეში მონაწილეობა გადავწყვიტე. ეს იმდენად პრესტიჟული ბიენალეა, რომ აქ, როგორც წესი, მხოლოდ უმაღლეს დონეზე შესრულებული პროექტები მონაწილეობენ,"** – აღნიშნავს ბერიძე.

როგორც არქიტექტორი აკონკრეტებს, "ექსენი" მშენებლობისას უმაღლეს ტექნოლოგიებს, "ჰაიტეკს" იყენებს. **"აქ იქნება დიდი ჩამოსაფრენი დარბაზი, რომელიც ძალიან ეფექტურ პირველ შთაბეჭდილებას შექმნის. პროექტში საბაჟო კონტროლის, მცველთა ოთახებისა თუ სხვა სათავსოებისთვის შესაბამისი ტერიტორიები უკვე გათვლილი და გათვალისწინებულია,"** – აცხადებს არქიტექტორი.

ამასთან, "პალადი-პალასის" გენერალური დირექტორის ინფორმაციის თანახმად, კომპანია აპირებს, გამოაცხადოს შიდა ტენდერები, სამუშაოები ნაწილებად დაყოს და მათგანის შესრულება ტენდერის საფუძველზე შერჩეულ ქართულ სამშენებლო კომპანიებს ანდოს. **"ამ გზით ჩვენ რამდენიმე ათას კაცს დავასაქმებდით,"** - ვარაუდობს გაგოშაშვილი, რომელსაც გერმანული კომპანიის მიმართ აეროპორტის ხელმძღვანელობის მხრიდან გამოჩენილი მოჭარბებული ყურადღება აშკარად აღიზიანებს.

სხვათა შორის, საინტერესოა კიდევ ერთი დეტალი, რომელზეც გაგოშაშვილი ამახვილებს ყურადღებას. მისი თქმით, სატენდერო პირობების გამოცხადების თარიღიდან მხოლოდ 20 დღე იყო გამოყოფილი ასეთი მასშტაბური პროექტის მომზადებისა და დახვეწისათვის. **"შესაბამისად, ჩნდება ეჭვი, რომ უკვე არსებობდა რომელიღაც კომპანიის კონკრეტული პროექტი, თავისი წინასწარ შეთანხმებული პირობებით, და ეს ტენდერი მხოლოდ ფარსი იყო. ჩვენი პროექტი რომ დიდი ხნით ადრე არ გვქონოდა მომზადებული, შეუძლებელია, რომ ის ამ ვადაში შეგვექმნა. ამ შემთხვევაში კი, ტენდერის ერთპიროვნული გამარჯვებული მისი გამოცხადებიდანვე ცნობილი იქნებოდა,"** – მიიჩნევს "პალადი-პალასის" ხელმძღვანელი.

სხვათა შორის, მისი ინფორმაციით, ტენდერის ვადები "არქიტექტორთა კავშირმაც" გააპროტესტა და მათაც იგივე პრეტენზია ჰქონდათ. კერძოდ, მიიჩნევდნენ, რომ ასე მოკლე ვადაში ასეთი პროექტის მომზადება, უბრალოდ, შეუძლებელია.

ერთი სიტყვით, ტენდერი, რომელმაც მასში მონაწილე ერთ-ერთი კომპანიის აღშფოთება ჯერ კიდევ მის დამთავრებამდე გამოიწვია, ჩანს, მართლაც იმსახურებს შენიშვნებს. თუ "პალადი-პალასის" წარმომადგენლების აღშფოთება მხოლოდ კონკურენტული გაღიზიანება კი არა, საფუძვლიანი პრეტენზიებია, შესაძლოა, სატენდერო კომისიას სერიოზული მუშაობა დასჭირდეს სატენდერო წინადადებაში დაშვებული ხარვეზების გამოვლენა-გამოსწორებისთვის, რისთვისაც მას არც ისე დიდი დრო რჩება. მთავარია, ეს ხარვეზები დამატებით საბაბად არ იქცეს იმისთვის, რომ ტენდერი დროში გაიწელოს.

---

საგადასახადო განმარტებები

# მოგების გადასახადი

*(გაგრძელება. დასაწისი N33)*

*მოგების გადასახადში მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ და მკაფიოდ განვსაზღვროთ ერთობლივი შემოსავლის ცნება და მასში შესატანი შემოსავლები, გამოსაქვითი დანახარჯების ცნება და ყველა ის ხარჯი, რომელსაც კოდექსი გამოსაქვით ხარჯებში შესატან ხარჯებს უწოდებს. სხვანაირად რომ ვთქვათ, მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ რა წარმოადგენს საწარმოს შემოსავალს და რომელი ხარჯების გამოკლების უფლებას გვაძლევს საგადასახადო კოდექსი.*
*ყოველივე ამის შემდეგ დგინდება დასაბეგრი მოგება, რაც, როგორც აღვნიშნეთ, შემოსავლებს და ხარჯებს შორის სხვაობას წარმოადგენს. ხოლო დასაბეგრ მოგებას კი ერიცხება მოგების გადასახადი.*

**მუხლი 173. ერთობლივი შემოსავალი**

1. რეზიდენტის ერთობლივი შემოსავალი შედგება მის მიერ საქართველოში და საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებული შემოსავლებისაგან.

2. არარეზიდენტის ერთობლივი შემოსავალი შესდგება საქართველოში არსებული წყაროებიდან მიღებული შემოსავლისაგან.

3. ერთობლივ შემოსავალს განეკუთვნება ნებისმიერი ფორმით ან/და საქმიანობით მიღებული ყველა შემოსავალი, კერძოდ:

ა) **ხელფასის სახით მიღებული შემოსავალები;**

ბ) **ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები, რომლებიც დაკავშირებული არ არის დაქირავებით მუშაობასთან;**

გ) **სხვა შემოსავლები, რომლებიც დაკავშირებული არ არის დაქირავებით მუშაობასთან და ეკონომიკურ საქმიანობასთან.**

**მუხლი 175. ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავალი, რომელიც დაკავშირებული არ არის დაქირავებით მუშაობასთან**

1. ეკონომიკური საქმიანობით მიღებულ შემოსავლებს, რომლებიც დაკავშირებული არ არის დაქირავებით მუშაობასთან, განეკუთვნება სამეწარმეო და არასამეწარმეო ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები.

2. სამეწარმეო ეკონომიკური საქმიანობით მიღებულ შემოსავლებს მიეკუთვნება:

**ა) საქონლის/მომსახურების მიწოდებით მიღებული შემოსავლები;**

**ბ) სამეწარმეო საქმიანობისთვის გამოყენებული აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავალი;**

აქტივებში იგულისხმება ყველა ის საგანი რომელიც გამოყენება სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების პროცესში, ეს შეიძლება იყოს ჩარხი-დანადგარების, სხვადასხვა ელექტრო-მოწყობილობების, ავტომანქანები და ა.შ.

**გ) სამეწარმეო საქმიანობის შეზღუდვის ან საწარმოს დახურვის შედეგად მიღებული შემოსავლები:**

შესაძლებელია სამეწარმეო საქმიანობის შეზღუდვა ან საწარმოს დახურვა აღმოჩნდეს შემოსავლის მიღების საფუძველი, მაგალითად - დახურვის შედეგად აქტივების რეალიზაციით მიღებული შემოსავლები, სხვადასხვა მარაგების ან პროდუქციის ნაშთების რეალიზაციით მიღებული შემოსავლები და ა.შ.

**დ) ძირითად საშუალებათა რეალიზაციით მიღებული თანხები, რომლებიც შემოსავალში შეიტანება ამ კოდექსის 183-ე მუხლის მე-7 ნაწილის მიხედვით;**

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 183-ე მუხლი ეხება საამორტიზაციო ანარიცხებს და გამოქვითვებს ძირითად საშუალებათა მიხედვით.

ძირითადი საშუალებები განიცდის ცვეთას (ამორტიზაციას), ისინი მუშაობის პროცესში კარგავენ თავდაპირველ თვისებებს, დროთა განმავლობაში ძირითადი საშუალებები ასევე განიცდიან მორალურ ცვეთასაც. მაგალითისათვის შეიძლება მოვიტანოთ პერსონალური კომპიუტერი, რომლის მონაცემებიც ყოველდღიურად უმჯობესდება და გაყიდვაში გამოდის სულ უფრო ახალი და ახალი, გაუმჯობესებული კომპიუტერები, აქედან გამომდინარე, მისი ღირებულება (ფასი) მცირდება.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ითვალისწინებს ზემოაღნიშნულ ფაქტორებს და საგადასახადო კოდექსი გადასახადის გადამხდელებს, ეკონომიკური საქმიანობით დაკავებულ პირებს აძლევს უფლებას, მოახდინონ საამორტიზაციო ანარიცხების გამოქვითვები, რასაც არეგულირებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 183-ე მუხლი.

ძირითადი საშუალებები, რომლებიც ამორტიზაციას ექვემდებარება (გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისათვის) ჯგუფდება ამორტიზაციის ჯგუფების მიხედვით (იხილეთ საქ. საგ. კოდექსის 183-ე მუხლის მესამე პუნქტი).

განვიხილოთ შენობა-ნაგებობის მაგალითი: დავუშვათ, რომ ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელ იურიდიულ პირს გააჩნია შენობა, რომელსაც იყენებს ეკონომიკური საქმიანობისათვის და რომლის ღირებულება წლის დასაწყისისათვის შეადგენს 10 000 ლარს. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 183-ე მუხლის მესამე პუნქტის თანახმად, შენობა-ნაგებობები შედის მეოთხე ჯგუფში, რისთვისაც გათვალისწინებულია ამორტიზაციის ნორმა 5 პროცენტის ოდენობით. შესაბამისად, ამ შენობას დაერიცხება ამორტიზაცია 500 ლარი (10 000-ის ხუთი პროცენტი) და მისი ღირებულება წლის ბოლოს იქნება 9 500 ლარი (10 000 – 500).

**ე) კომპენსირებული გამოქვითვები ამ კოდექსის 209-ე მუხლის მიხედვით;**

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 209 მუხლის თანახმად:

- ადრე გამოქვითული ხარჯების, ზარალისა და უიმედო ვალების ანაზღაურებით მიღებული თანხა იმ წლის შემოსავლად ითვლება, რომელშიც მოხდა მისი ანაზღაურება.

სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების პროცესში ადგილი აქვს ისეთ შემთხვევებს, როცა, მაგალითად, დებიტორული დავალიანების (ვალი ჩვენს მიმართ) აუნაზღაურებლობის გამო, თუ მევალე აკმაყოფილებს გარკვეულ კრიტერიუმებს, ჩვენ შეგვიძლია ეს დებიტორული დავალიანება ვაღიაროთ უიმედო ვალად და გამოვქვითოთ ერთობლივი შემოსავლიდან.

შესაძლებელია უიმედო ვალად აღიარებული დებიტორული დავალიანება მევალემ გარკვეული პერიოდის შემდეგ დაგვიბრუნოს, ამ შემთხვევაში იგი ექვემდებარება ერთობლივ შემოსავალში შეტანას მაშინ, როცა მოხდა მისი ანაზღაურება.

- თუ ხდება წინასწარ გამოქვითული რეზერვების შემცირება, შემცირებული თანხა შეიტანება ერთობლივ შემოსავლებში.

მეწარმე სუბიექტს უფლება აქვს, შექმნას რეზერვები და მოახდინოს მისი გამოქვითვა ერთობლივი შემოსავლიდან (შესაბამისად ამით მცირდება გადასახდელი გადასახადების ოდენობა), მაგრამ მაშინ, როცა მეწარმე შეამცირებს რეზერვების ოდენობას, იგი ექვემდებარება ერთობლივ შემოსავალში ჩართვას, ანუ გადასახადებით დაბეგვრას.

**ვ) სხვა სამეწარმეო საქმიანობით მიღებული შემოსავლები.**

3. არასამეწარმეო ეკონომიკური საქმიანობით მიღებულ შემოსავლებს მიეკუთვნება:

**ა) პროცენტების სახით მიღებული შემოსავლები;**

**ბ) დივიდენდები;**

დივიდენდი წარმოადგენს მოგების ნაწილს, რომელსაც იურიდიული პირი სამეურნეო წლის შედეგების მიხედვით ანაწილებს პარტნიორთა შორის.

**გ) როიალტი;**

როიალტი წარმოადგენს სხვადასხვა უფლებების საფასურს, მაგალითად წიაღისეულის მოპოვების ან გადამუშავების უფლების გამოყენების საფასური, სხვადასხვა საავტორო უფლებების, პროგრამულ უზრუნველყოფაზე, პატენტის ნახაზის მოდელის სავაჭრო ნიშნის და ა.შ. უფლების გამოყენების საფასური და სხვა.

**დ) ვალების ჩამოწერით მიღებული შემოსავლები**;

იმ შემთხვევაში, თუ მეწარმე სუბიექტს ჩამოაწერენ ვალს, ანუ მას დავალიანება გაუქრება ბალანსიდან, ეს იმას ნიშნავს, რომ მან მიიღო შემოსავალი, რაც ექვემდებარება ერთობლივ შემოსავლებში ჩართვას.

**ე) აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავალი,** ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ნამეტი შემოსავლის გარდა;

**ვ) ქონების ლიზინგით, უზუფრუქტით, იჯარით, ქირით ან სხვა ამგვარი ფორმით გაცემით მიღებული შემოსავლები;**

**ზ) სხვა ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავალი, გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილითა და ამ კოდექსის 174-ე მუხლით განსაზღვრული შემოსავლისა.**

**მუხლი 176. სხვა შემოსავლები, რომლებიც არ არის დაკავშირებული დაქირავებით მუშაობასთან და ეკონომიკურ საქმიანობასთან**

1. სხვა შემოსავლებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული დაქირავებით მუშაობასთან და ეკონომიკურ საქმიანობასთან, განეკუთვნება ნებისმიერი შემოსავალი ან სარგებელი, გარდა:

ა) **ამ კოდექსის 174-ე და 175-ე მუხლებით განსაზღვრული შემოსავლებისა;**

გარდა ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებისა და ხელფასის სახით მიღებული შემოსავლებისა.

ბ) **პარტნიორთა შენატანებისა, რომლებიც ზრდიან იმ საწარმოს წმინდა აქტივს, რომელთა პარტნიორსაც წარმოადგენენ შენატანების განმახორციელებელი პირები.**

2. პირის მიერ სხვა პირისაგან ქონების ან სარგებლის მიღების შემთხვევაში, ერთობლივ შემოსავლებში შესატანი ქონების ან სარგებლის ღირებულება განისაზღვრება ამ კოდექსის 174-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი წესით.

რაც შეეხება სარგებელს, ჩვენ მასზე უკვე ვისაუბრეთ საშემოსავლო გადასახადის, კერძოდ ხელფასის სახით მიღებული შემოსავლების განმარტებაში.

შემდეგ განმარტებაში ვისაუბრებთ მოგების და საშემოსავლო გადასახადების ერთ-ერთ ძირითად შემადგენელ ნაწილზე, სახელწოდებით გამოქვითვები და ზარალი.

---

# სემეკ-ი თავისას არ იშლის

## "მცირე ლიცენზიანტებზე" ზეწოლა გრძელდება

*ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისია, ენერგოგამანაწილებელ კომპანიებზე, ანუ ე.წ. "მცირე ლიცენზიანტებზე" ზეწოლას კვლავ აგრძელებს. ამჯერად სემეკ-ი "მცირე ლიცენზიანტებისგან" იმ გადაწყვეტილების შესრულებას ითხოვს, რომელიც, უზენაესი სასამართლოს განმარტებით, ლიცენზიანტების მიმართ შეჩერებულია.*

მარიამ ჭაჭაძე

საქმე ეხება 2004 წლის 23 ივნისს სემეკის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, რომლის თანახმად, 21 ენერგომანაწილებელ კომპანიას ლიცენზია გაუუქმდა. ეს გადაწყვეტილება შპს. "პატარა კახმა", სს. "გორგოტა" და ი.ს. "ფერმერმა" გამოცემისთანავე გაასაჩივრეს საოლქო სასამართლოში. ამ უკანასკნელმა ხსენებული ლიცენზიანტების სარჩელი წარმოებაში მიიღო, რამაც გასაჩივრებულ აქტს, ამ სამ კომპანიასთან მიმართებაში, მოქმედების ძალა შეუჩერა. ეს კი მარტივად იმას ნიშნავდა, რომ შპს. "პატარა კახს", სს. "გორგოტას" და ი.ს. "ფერმერს" ჩვეულებრივ რეჟიმში უნდა გაეგრძელებინათ მუშაობა. ეს ფაქტი მოგვიანებით უზენაესმა სასამართლომაც დაადასტურა.

ამ ათიოდე დღის წინათ კი, ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარემ, რბილად რომ ვთქვათ, არაკომპეტენტური ბრძანება გამოსცა, რომლის თანხმადაც, სემეკის სპეციალურად შექმნილ მუშა ჯგუფს დაავალა რამდენიმე "მცირე ლიცენზიანტის," მათ შორის, ზემოთ ხსენებული სამი კომპანიის შემოწმება, თუ რამდენად ასრულებენ ენერგოგამანაწილებელი კომპანიები სემეკის 2004 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილებას.

**"ბატონმა თავაძემ ამ გადაწყვეტილებით ეჭვქვეშ დააყენა და რევიზია მოახდინა საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებისა. რაკი სემეკის 23 ივნისის გადაწყვეტილება სამ კომპანიასთან მიმართებაში შეჩერებულია, ჩვენს საწარმოებს ვერავინ დაავალდებულებდა, რომ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე, სადავო აქტი შეესრულებინათ. ახლა კი, ფაქტობრივად, გამოვიდა ისე, რომ თავაძემ სემეკი და მისი გადაწყვეტილება უფრო მაღლა დააყენა, ვიდრე უზენაესი სასამართლო და მისი გადაწყვეტილება,"** - გვითხრა მალხაზ ძიძიკაშვილმა.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ამ რამდენიმე დღის წინ, ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის საბჭოს წევრებმა ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება შპს. "პატარა კახის", სს. "გორგოტასი" და ი.ს. "ფერმერის" ბაზრის სრულუფლებიან წევრებად აღდგენის თაობაზე, ამ ბრძანების კანონიერება კიდევ უფრო ეჭვქვეშ დგება. შეგახსენებთ, რომ საბჭოს წევრები ამ შემთხვევაში უზენაესი სასამართლოს განჩინებით ხელმძღვანელობდნენ, სადაც ცალსახად არის ნათქვამი, რომ ხსენებულ სამ კომპანიას ლიცენზია გაუქმებული არა აქვს. ალბათ, გულუბრყვილობა იქნება იმის თქმა, რომ სემეკის თავმჯდომარემ საბითუმო ბაზრის გადაწყვეტილების ან უზენაესი სასამართლოს განჩინების არსებობის შესახებ არ იცოდა.

სემეკის თავმჯდომარის ზემოთ ხსენებულ ბრძანებაში, რომელიც 9 თებერვლით არის დათარიღებული, კიდევ ერთი კურიოზია "გაპარული." შესამოწმებელ ენერგოგამანაწილებელ კომპანიებს შორის გია თავაძე იმ კომპანიის შემოწმებასაც ითხოვს, რომელსაც ლიცენზია არა აქვს. მეტიც, შპს. "ლაჟვარდი" უკანასკნელი ორი წელიწადია, ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიისგან ამაოდ ითხოვს ლიცენზიას. შპს. "ლაჟვარდს" სემეკმა ლიცენზიის გაცემაზე დაუსაბუთებელი უარი უთხრა, რაც ამ უკანასკნელმა საოლქო სასამართლოში გაასაჩივრა. მოგვიანებით, უზენაესმა სასამართლომ სემეკს პირდაპირ დაავალა, რომ გამოეკვლია წარდგენილი დოკუმენტაცია და, იმ შემთხვევაში, თუ შპს "ლაჟვარდი" ლიცენზირების პირობებს დააკმაყოფილებდა, მასზე შესაბამისი ლიცენზია გაეცა. მიუხედავად იმისა, რომ უზენაესი სასამართლოს ამ გადაწყვეტილებიდან თითქმის 6 თვეა გასული, შპს. "ლაჟვარდს" ჯერ არ მიუღია ლიცენზია და, შეიძლება ითქვას, ენერგოსექტორის ბაზრის მოთამაშედ ჯერჯერობით არ ითვლება. შესაბამისად, სემეკის 2004 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება მასზე ვერ გავრცელდებოდა. იურისტი მალხაზ ძიძიკაშვილი განმარტავს, **"სანამ შპს. "ლაჟვარდი" ენერგეტიკული სექტორის ლიცენზიანტი არ გახდება, იგი ვალდებული არ არის, მიაწოდოს სემეკს რაიმე სახის ინფორმაცია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კომისია ამოწმებს საწარმოს მხრიდან ლიცენზიის მისაღებად წარდგენილი განაცხადის დანართში ჩამოთვლილი პირობების არსებობას, თუმცა ამასაც კომისიის გადაწყვეტილება სჭირდება და არა თავმჯდომარის ბრძანება."**

ყოველივე ამის ფონზე, ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარის მოთხოვნა, რბილად რომ ვთქვათ, გაუგებარი და არალოგიკურია.

მორიგ შეუსაბამობას, რომელსაც სემეკის თავმჯდომარის 9 თებერვლის ბრძანებაში ვაწყდებით, შპს. "რუსთავმშენ 2000"-ს უკავშირდება, რომელიც ხსენებულ ბრძანებაში, ვიღაცის უვიცობისა თუ დაუდევრობის გამო, შპს. "რუსთავმშენად" არის მოხსენიებული.

ამასაც რომ თავი დავანებოთ, რაც თავისთავად, შესაძლოა 9 თებერვლის ბრძანების გაუქმების მიზეზი გახდეს, შპს. "რუსთავმშენ 2000"-მა სემეკის 2004 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება საოლქო სასამართლოში გაასაჩივრა. **"ამჟამად საქმეს უზენაესი სასამართლო განიხილავს. სანამ ეს უკანასკნელი საბოლოო გადაწყვეტილებას არ მიიღებს, "რუსთავმშენი 2000"-მა ჩვეულებრივ რეჟიმში უნდა გააგრძელოს მუშაობა, ანუ მასთან მიმართებაშიც თავაძის ეს ბრძანება უკანონოა,"** - განმარტავს ძიძიკაშვილი.

ორიოდე დღის წინ, ადვოკატმა მალხაზ ძიძიკაშვილმა გია თავაძის 9 თებერვლის ბრძანება საოლქო სასამართლოში გაასაჩივრა და ამ ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობა მოითხოვა. ამ სარჩელის წარმოებაში მიღების საკითხზე საოლქო სასამართლო ამ დღეებში იმსჯელებს.

---



## საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო
## ა ც ხ ა დ ე ბ ს

**აუქციონი**

1. შპს "შულავერის არამადნეული მასალების ქარხნის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილი. მის. მარნეულის რაიონი, სოფელი არაფლო. საწყისი ფასი 280 000 აშშ დოლარი.

2. შპს "ადამიანის რესურსების განვითარების ცენტრის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილი. მის. თბილისი, კრწანისის რაიონი, კრწანისის ქ. N 6. საწყისი ფასი 100 000 აშშ დოლარი

3. შპს "მელიორატორი XXI"-ის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილი. მის. თბილისი, ორხევი, ახვლედიანის ქ. N21. საწყისი ფასი 120 000 აშშ დოლარი

4. შპს "გამომცემლობა ნაპირი"-ს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილი. მის. თბილისი, ხოშარაულის ქ. N29 საწყისი ფასი 1 750 000 აშშ დოლარი

5. შპს "ვარკეთილის ღვინის ქარხნის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილი. მის. გარდაბნის რაიონი, ვარკეთილის დასახლება. საწყისი ფასი 750 000 აშშ დოლარი

6. სს "ვაზიანი-2000-ის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 388 000 ცალი აქცია / 90% / მის. ქ. თბილისი, ორხევი, ახვლედიანის ქ. N26 საწყისი ფასი 220 000 აშშ დოლარი

7. სს "საქსურსათმანქანის" საწესდებო კაპიტალიდან ამოღებული ბაზალეთის დასასვენებელი კომპლექსი. Mმის. დუშეთის რაიონი, დაბა ბაზალეთი. საწყისი ფასი 35 000 აშშ დოლარი

8. შპს "მერქანი"-ს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილი. მის. ქ. თბილისი, ლილო, იუმაშევის ქ. N12. საწყისი ფასი 90 000 აშშ დოლარი

9. არასაცხოვრებელი ფართი / 571.49 კვ.მ. / და მასზე წილობრივად დამაგრებული 3223 კვ.მ. მიწის ფართობი. მის. აღმაშენებელის გამზ. N 80-82. საწყისი ფასი 250 000 აშშ დოლარი

**განაცხადების მიღების ბოლო ვადა**
**16 თებერვალი, 17.00 საათი**

---------------------------------------------

აუქციონი გაიმართება 17 მარტს,
16.00 საათზე

ობიექტების პრეზენტაცია ჩატარდება 10 მარტს
13.00 საათზე
მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზ. N12

ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:
ტელ. 999104 922255 933575
**www.pivatization.ge**





## საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო
## ა ც ხ ა დ ე ბ ს

**აუქციონი**

1. შპს "აგროფირმა მუხროვანის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილი მის. გარდაბნის რაიონი, მუხროვანი. საწყისი ფასი 290 000 აშშ დოლარი

2. შპს "გამართვა"-ს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილი. მის. თბილისი, ცაიშის ქ. N 38. საწყისი ფასი 70 000 აშშ დოლარი

3. შპს "კულტმშენის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილი. მის. თბილისი, გლდანის საწარმოო ზონა. საწყისი ფასი 85 000 აშშ დოლარი

4. შპს "საქმეორეულის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილი. მის. თბილისი, გრ. რობაქიძის გამზ. VI კვ. კორპ. N18. საწყისი ფასი 57 000 აშშ დოლარი

5. შპს "კრწანისი 2000"-ის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილი. მის. თბილისი, წმ. გიორგის ქ. N22. საწყისი ფასი 20 000 აშშ დოლარი

6. შპს "ბაზა"-ს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილი. მის. თბილისი, ლილო, ჭირნახულის ქ.N2. საწყისი ფასი 50 000 აშშ დოლარი

7. სს "ჰიდროენერგომონტაჟის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 136 000 ცალი აქცია / 90% / მის. თბილისი, ქინძმარაულის ქ. N37. საწყისი ფასი 77 000 აშშ დოლარი

8. სს "მარმარილო"-ს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 112 980 ცალი აქცია / 52,91% /. Mმის. Mმარნეულის რაიონი, სოფ. სადახლო. საწყისი ფასი 113 000 აშშ დოლარი

9. სს "საჩხერეგაზის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 106 538 ცალი აქცია / 96,8% /. მის. ქ. საჩხერე, თამარ მეფის ჩიხი N8. საწყისი ფასი 180 000 აშშ დოლარი

10. სს "საქართველოს ელექტროკავშირის" საწესდებო კაპიტალიდან ამოღებული შენობა და მასზე დამაგრებული მიწის ნაკვეთი. Mმის. . ქ. ფოთი, წმ. გიორგის ქ. N22 საწყისი ფასი 20 000 აშშ დოლარი

11. სს "ბეტონოკონსტრუქცია"-ს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 134128 ცალი აქცია (63.28%), მის. თბილისი, ქინძმარაულის ქ. N37. საწყისი ფასი 135 000 აშშ დოლარი.

12. ილია ჭავჭავაძის გამზ. N34-ში მდებარე შენობა და მასზე დამაგრებული 3145 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, მის. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N34. საწყისი ფასი 1 500 000 აშშ დოლარი

13. საწყობის შენობა (კორპუსი N10) და მასზე დამაგრებული 5242 კვ.მ. მიწა, მის. თბილისი, ბ. ხმელნიცკის ქ N181. საწყისი ფასი 105 000 აშშ დოლარი

14. არასაცხოვრებელი ფართი (463 კვ.მ.) და მასზე წილობრივად დამაგრებული 180 კვ.მ. მიწა, მის. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ქაიროს ქ. N15. საწყისი ფასი 10 000 აშშ დოლარი.

15. დასასვენებელი სახლი და მასზე დამაგრებული 20355 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, მის. გარდაბნის რაიონი, დაბა კიკეთი. საწყისი ფასი 240 00 აშშ დოლარი

16. დაუმთავრებელი ორსართულიანი შენობა და მიწის ნაკვეთი, მის. ქობულეთი, აღმაშენებლის გამზ. N280. საწყისი ფასი 25 000 აშშ დოლარი

**კონკურსი**

შპს "მონიო"-ს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილი, მის. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ჩოლოყაშვილის ქუჩა, პირველი კვარტალი. საწყისი ფასი 250 000 აშშ დოლარი

---------------------------------------------

**განაცხადების მიღების ბოლო ვადა**
**23 მარტი, 17.00 საათი**

---------------------------------------------

აუქციონი და კონკურსი გაიმართება 24 მარტს
16.00 საათზე
ობიექტების პრეზენტაცია ჩატარდება 18 მარტს
13.00 საათზე
მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზ. N12

ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:
ტელ. 999104 922255 933575
**www.pivatization.ge**

BR ბანკი რესპუბლიკა




# ბანკი "რესპუბლიკა" ყველაზე ეფექტური ფინანსური ინსტიტუტი

2004 წელი
აქტივები = 129 028 334
გადახდილი გადასახადები = 2 917 950
წმინდა მოგება = 6 529 776

ბანკი "რესპუბლიკა", თბილისი, გრ.აბაშიძის ქ. 2 ტელ.: (995 32) 294598 ფაქსი: 227566 www.republic.ge

საკანონმდებლო ინიციატივების ექსპერტიზა

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი
CIVIL SOCIETY INSTITUTE

ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"
OPEN SOCIETY - GEORGIA FOUNDATION

რუბრიკა შეიქმნა "სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის" პროექტის "სამოქალაქო საზოგადოება კანონშემოქმედებით პროცესში" ფარგლებში, რომელიც ხორციელდება ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველოს" ფინანსური მხარდაჭერით, პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტთან და გაზეთ "24 საათთან" თანამშრომლობით.

"სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი" აგრძელებს საკანონმდებლო ინიციატივების ექსპერტიზაზე მუშაობას. დღეს გთავაზობთ კანონის პროექტს "იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, რომელიც მომზადებულია ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ. ასევე წარმოგიდგენთ აღნიშნულ პროექტზე დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ მომზადებულ ანალიზს. ანალიზის ავტორია იურისტი ზურაბ ბურდული.

**დაინტერესების შემთხვევაში შეგიძლიათ მოგვმართოთ: სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი; ტელ: 94 16 05; 33 04 17; ელ-ფოსტა: law@civilin.org**

საქართველოს კანონი

# "იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. "იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ" საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, 1996 წ., N19-20 გვ. 39) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

**1. კანონის პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

"იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ საქართველოს კანონი ემყარება საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს და განსაზღვრავს იძულებით გადაადაგილებული პირის - დევნილის სამართლებრივ სტატუსს, დევნილად ცნობის, დევნილის სტატუსის მინიჭების, შეჩერების, შეწყვეტისა და ჩამორთმევის საფუძვლებსა და წესს, დევნილის სამართლებრივ , ეკონომიკურ და სოციალურ გარანტიებს, მის უფლებებსა და მოვალეობებს."

**2. კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

"მუხლი 1. დევნილის ცნება

იძულებით გადაადგილებულ პირად - დევნილად ჩაითვლება საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა, დაეტოვებინა მისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და გადაადგილებულიყო საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში იმ მიზეზით, რომ საფრთხე შეექმნა მის, ან მასთან მცხოვრები ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას უცხო ქვეყნის აგრესიის, შიდა კონფლიქტის ან ადამინის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო, ან ამ კანონის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში."

**3. კანონს დაემატოს $1^1$ მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

მუხლი $1^1$. ტერმინთა განმარტებები

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) სამინისტრო - საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო;

ბ) ტერიტორიული ორგანო - საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს სტრუქტურაში შემავალი ტერიტორიული ორგანო;

გ) დევნილის მოწმობა - საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ იძულებით გადაადგილებულ პირზე გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს პირის დევნილად ცნობასა და დევნილის სტატუსის მინიჭებას ;

დ) დევნილის სტატუსის მაძიებელი - პირი, რომელმაც დევნილის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით განცხადებით მიმართა სამინისტროს და რომლის მიმართაც არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი იმისა, რომ ის შეიძლება ამ კანონის პირველი მუხლის საფუძველზე ჩაითვალოს დევნილად.

ე) დევნილის მუდმივი საცხოვრებელი ადგილი - პირის მიერ საცხოვრებლად არჩეული ადგილი, საიდანაც იგი იძულებული გახდა, გადაადგილებულიყო და არ შეუძლია დაბრუნება ამ კანონის პირველ მუხლში ჩამოთვლილი მიზეზების გამო.

ვ) დევნილის დროებითი საცხოვრებელი ადგილი (დევნილის რეგისტრაციის ადგილი) - დევნილის მიერ დევნილობის პერიოდში არჩეული საცხოვრებელი ადგილი ან ადგილი, სადაც იგი დროებით იქნა განსახლებული.

ზ) ყოველთვიური შემწეობა - საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფულადი თანხა, რომელიც ყოველთვიურად ეძლევა დევნილს დევნილობის პერიოდში;

თ) ერთჯერადი ფულადი შემწეობა - საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც მიეცემა უმწეო მდგომარეობაში მყოფ დევნილს წელიწადში ერთხელ დადგენილი წესით მისი განცხადების საფუძველზე;

ი) დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტი - დევნილთა დროებითი საცხოვრებელი ადგილი, სადაც ორგანიზებულად იქნენ განსახლებულნი დევნილები.

კ) დევნილთა რეგისტრაცია - საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ წინასწარ გამოცხადებულ ვადებში დევნილთა აღრიცხვა-რეგისტრაციისა და ახალი მოწმობის გაცემის პროცედურა.

ლ) დევნილთა ანკეტირება - საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ დევნილის პერსონალური (საიდენტიფიკაციო) მონაცემების აღრიცხვის პროცედურა".

**4. კანონის მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

"მუხლი 2. დევნილად ცნობისა და დევნილის სტატუსის მინიჭების წესი

1. პირი, რომელიც ამ კანონის პირველ მუხლში ჩამოთვლილი მიზეზების გამო დატოვებს მუდმივ საცხოვრებელ ადგილს, დევნილად ცნობისა და დევნილის სტატუსის მინიჭების შესახებ განცხადებით მიმართავს სამინისტროს ან მის ტერიტორიულ ორგანოს.

2. ტერიტორიული ორგანო ვალდებულია განცხადების მიღებიდან 5 დღის ვადაში გაუგზავნოს სამინისტროს პირის განცხადება დევნილად ცნობისა და დევნილის სტატუსის მინიჭების თაობაზე.

3. თუ პირი ამ კანონის პირველ მუხლში აღნიშნული მიზეზების გამო იძულებული გახდა დაეტოვებინა საქართველოს ტერიტორია. იგი უფლებამოსილია აღრიცხვაზე ასაყვანად მიმართოს საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულო დაწესებულებას.

4. დევნილის სტატუსის მაძიებლად შეიძლება რეგისტრირებულ იქნეს პირი, თუ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი იმისა, რომ პირი შეიძლება ჩაითვალოს დევნილად ამ კანონის პირველი მუხლის საფუძველზე.

5. სამინისტრო პირის განცხადების მიღებიდან 10 დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას პირის დევნილის სტატუსის მაძიებლად რეგისტრაციის ან რეგისტრაციაზე უარის თქმის თაობაზე.

6. დევნილის სტატუსის მაძიებლად რეგისტრირებულ პირს ეძლევა დევნილის სტატუსის მაძიებლის ცნობა.

7. დევნილის სტატუსის მაძიებლის დევნილად ცნობისა და დევნილის სტატუსის მინიჭების ან დევნილად ცნობისა და დევნილის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სამინისტრო განცხადების მიღებიდან ერთი თვის ვადაში.

8. პირს, დევნილად ცნობისა და დევნილის სტატუსის მინიჭებისთანავე ეძლევა დევნილის მოწმობა და მასზე ივსება ანკეტა. დევნილის მოწმობისა და ანკეტის ფორმას ადგენს სამინისტრო.

9. ამ კანონის პირველ მუხლში განსაზღვრული მიზეზების გამო, მოსახლეობის მასობრივი და ექსტრემალური გადაადგილების დროს დევნილის სტატუსის მინიჭება ხდება დაუყონებლივ.

10. დევნილის სტატუსის მაძიებლის ცნობა და დევნილის მოწმობა ძალაშია პირადობის დამადასტურებელ საბუთთან ერთად.

11. დევნილს დაოჯახების შემთხვევაში უნარჩუნდება დევნილის სტატუსი. თუ ორივე, ან ერთ-ერთი მშობელი არის დევნილი, ბავშვს შეიძლება მიენიჭოს დევნილის სტატუსი მშობლების თანხმობის საფუძველზე.

12. სამინისტროს უარი პირის დევნილის სტატუსის მაძიებლად ცნობისა და დევნილის სტატუსის მინიჭებაზე შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში უარის მიღებიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს კანონის შესაბამისად.

13. დევნილად ცნობისა და დევნილის სტატუსის მინიჭების, დევნილთა რეგისტრაციის პროცედურა განისაზღვრება ამ კანონის შესაბამისად სამინისტროს მიერ დადგენილი წესით."

**5. კანონის მე-3 მუხლის:**

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ბ) "მუხლი 3. დევნილის სტატუსის მაძიებელი პირის უფლებები და მოვალეობები.:

პირველი და მე-2 პუნქტები ამოღებულ იქნეს.

გ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

3. დევნილის სტატუსის მაძიებელი კანონმდებლობით დადგენილი ნორმებისა და წესის საფუძველზე, უფლებამოსილია:

ა) იცხოვროს დროებით საცხოვრებელ ადგილზე;

ბ) ისარგებლოს უფასო კომუნალური მომსახურებით კომპაქტურად განსახლების ობიექტში;

გ) მიიღოს სხვა სახის დახმარება."

დ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

4. დევნილის სტატუსის მაძიებელი ვალდებულია:

ა) სამინისტროს მოთხოვნისთანავე მიაწოდოს განცხადების განხილვისათვის საჭირო მონაცემები და ინფორმაცია დადგენილი წესით;

ბ) ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მოთხოვნისთანავე გაიაროს სამედიცინო შემოწმება."

გ) მე-5 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

**6. კანონის მე-4 მუხლი ამოღებულ იქნეს.**

**7. კანონის მე-5 მუხლის:**

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"მუხლი 5. დევნილის უფლებები და მათი უზრუნველყოფა დროებით საცხოვრებელ ადგილზე".

ბ) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"1. დევნილის სტატუსის მქონე პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ოდენობით ეძლევა ყოველთვიური და ერთჯერადი ფულადი შემწეობა და სხვა სახის დახმარება."

გ) დევნილობის პერიოდში აძლევენ ერთჯერად და ყოველთვიურ შემწეობას დადგენილი წესითა და ოდენობით".

**8. კანონის მე-5 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3, მე-4, მე-5, მე-6 და მე-7 პუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

3. სახელმწიფო უზრუნველყოფს დევნილს დროებითი საცხოვრებელი ფართობით. სამინისტრო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოების მიერ, დევნილთა დროებითი განსახლებისათვის გამოყოფილი საცხოვრებელი ფართის ფარგლებში ახორციელებს დევნილთა განსახლებას.

4. საბინაო საკითხებთან დაკავშირებული დავები წყდება სასამართლო წესით, ამასთან, საქართველოს შესაბამის ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენამდე დევნილთა კომპაქტური განსახლების ობიექტებიდან არ ხდება დევნილების გამოსახლება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა:

ა) დევნილებთან იდება წერილობითი შეთანხმება;

ბ) გამოიყოფა შესაბამისი საცხოვრებელი ფართობი, რომლითაც არ გაუარესდება დევნილის საყოფაცხოვრებო პირობები;

გ) ხდება სტიქიური ან სხვა მოვლენები, რაც ითვალისწინებს განსაზღვრულ კომპენსაციებს და რეგულირდება საერთო წესით;

დ) დევნილს ფართობი დაკავებული აქვს თვითნებურად, კანონის დარღვევით.

5. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემწეობა და სხვა სახის დახმარება დევნილის სტატუსის მქონე პირს შეუჩერდება, თუ:

ა) პირადი განცხადებით უარი განაცხადა შემწეობისა და სხვა სახის დახმარებების მიღებაზე;

ბ) ჩაიდინა დანაშაული, რის გამოც მის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას, გარდა ყოველთვიური შემწეობებისა.

გ) დევნილის სტატუსი შეუჩერდა.

6. პირს აღუდგება ყოველთვიური შემწეობა და სხვა სახის დახმარება, ხოლო ამ კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისას - სხვა სახის დახმარება, თუ:

ა) განცხადებით მოითხოვა პირადი განცხადებით შეჩერებული ყოველთვიური შემწეობისა და დახმარების აღდგენა;

ბ) წარადგინა სასჯელის მოხდის შესახებ ცნობა;

გ) აღმოიფხვრა დევნილის სტატუსის შეჩერების საფუძველი.

7. სამინისტრო კოორდინაციას უწევს საქართველოს სხვა სამინისტროებისა და უწყებების საქმიანობას დევნილთა უფლებების განხორციელების სფეროში."

**კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის $5^1$ დევნილის ვალდებულებები:**

დევნილი ვალდებულია:

ა) ერთი თვის განმავლობაში აცნობოს სამინისტროს დროებითი საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შესახებ;

ბ) გაიაროს სამინისტროს მიერ წინასწარ გამოცხადებულ ვადებში რეგისტრაცია.".

**10. კანონის მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

მუხლი 6. დევნილის სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის, ჩამორთმევის და აღდგენის საფუძვლები

1. პირს დევნილის სტატუსი შეუჩერდება, თუ:

ა) ამ კანონის საფუძველზე სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში არ გაიარა რეგისტრაცია;

ბ) დასადგენია დევნილად ცნობისათვის წარდგენილი საბუთების სისწორე;

გ) რამდენიმე რეგიონში დევნილად არის რეგისტრირებული;

2. პირს დევნილის სტატუსი აღუდგება, თუ აღმოიფხვრა მისი შეჩერების საფუძველი.

3. პირს დევნილის სტატუსი შეუწყდება, თუ:

ა) პირადი განცხადებით მოეხსნა დევნილის სტატუსი;

ბ) მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე აღმოიფხვრა ამ კანონის პირველ მუხლში ჩამოთვლილი მიზეზები და შესაბამის ტერიტორიაზე აღდგა საქართველოს იურისდიქცია;

გ) მიიღო სხვა ქვეყნის მოქალაქეობა;

დ) გავიდა საქართველოს ფარგლებს გარეთ მუდმივ საცხოვრებლად;

ე) სასამართლომ აღიარა უგზოუკვლოდ დაკარგულად, გამოაცხადა გარდაცვლილად;

ვ) გარდაიცვალა.

4. პირს ჩამოერთმევა დევნილის სტატუსი, თუ იგი მიიღო ყალბი საბუთებისა და ინფორმაციის წარდგენის საფუძველზე ან კანონის მოთხოვნათა დარღვევით.

5. დევნილის სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის, ჩამორთმევის აღდგენის საკითხს წყვეტს სამინისტრო.

6. დევნილის სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის, ჩამორთმევის აღდგენის თაობაზე დავას წყვეტს სასამართლო.

7. პირს დევნილის სტატუსი აღუდგება, თუ სასამართლომ გააუქმა ამ კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის "ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება.

**11. კანონის მე-7 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ამოღებულ იქნეს.**

**12. კანონის მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

მუხლი 8. დევნილთა დახმარების ორგანიზება

დევნილთა განსახლების, რეგისტრაციის, სოციალური და სხვა სახის დახმარების საკითხების გადაწყვეტას ამ კანონით დადგენილი წესით უზრუნველყოფს სამინისტრო შესაბამის აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოებთან ერთად.

**მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.**

*საქართველოს პრეზიდენტი*
*მიხეილ სააკაშვილი.*

# დევნილები - მოსალოდნელი სიახლეები სტატუსისა და შეღავათების შეჩერების საფუძვლებში

ზურაბ ბურდული

I. შესავალი

წარმოდგენილი კანონპროექტი რამდენიმე სიახლეს გვთავაზობს, რომელთაგან წამყვანია "დევნილის სტატუსის მაძიებლის" ცნება, დევნილის სტატუსის დეფინიციის მოდიფიცირება, სტატუსის მინიჭების პროცედურის კონსოლიდება ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში, სტატუსის და მასთან დაკავშირებული შემწეობის შეჩერების ახალი საფუძვლები.

II. მუხლობრივი ანალიზი

**პრეამბულა**

კანონპროექტით შემოთავაზებული პრეამბულა გაცილებით სრულყოფილია და ტექნიკურად გამართული მოქმედ კანონში არსებულ პრეამბულასთან შედარებით.

**მუხლი 2**

კანონპროექტი გვთავაზობს მოქმედი კანონის პირველი მუხლის ("დევნილის ცნება") ცვლილებას, რომლის მიხედვითაც დევნილად ცნობისათვის აუცილებელია, რომ პირის **ოჯახის წევრი** (რომლის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას ექმნება საფრთხე) დევნამდე **ცხოვრობდეს ამ პირთან**.

ვფიქრობთ, ეს საკითხი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია წარმოდგენილ კანონპროექტში და დეტალურ განხილვას მოითხოვს. უპირველეს ყოვლისა, კანონპროექტის განმარტებით ბარათში **არაფერია ნათქვამი** ამ ცვლილების **მიზეზებსა და მიზანზე**. ბარათი მხოლოდ ერთი ფრაზით შემოიფარგლება:

"...**აუცილებელია**, რომ პირის ოჯახის წევრიც ცხოვრობდეს იქ...". შესაბამისად, გვიწევს ამ ცვლილების მიზეზების საერთო ლოგიკით ძიება.

წარმოვიდგინოთ შესაძლო ვარიანტები: დავუშვათ, გაგრაში ცხოვრობს ქართულ-აფხაზური (დედა ქართველია, მამა - აფხაზი) ოჯახი. შვილი სწავლობს სოხუმის უნივერსიტეტში. შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად დედა იძულებულია, დატოვოს გაგრა და გადმოვიდეს ზუგდიდში. ოჯახის სხვა წევრებიც დედასთან ერთად გადმოვიდნენ ზუგდიდში. ვიღებთ შემდეგ სიტუაციას: მეუღლე უფლებამოსილია დევნილის სტატუსზე (რადგან ცხოვრობდა ცოლთან ერთად), ხოლო შვილი, იმის გამო, რომ არ ცხოვრობდა დედ-მამასთან ერთად (და მას პერსონალურად საფრთხე შეიძლება არ შექმნოდა), არაა უფლებამოსილი დევნილის სტატუსზე (?).

ვფიქრობთ, დღეს მოქმედი კანონის პირველი მუხლი შემოთავაზებულ ჩანაწერს არ საჭიროებს და თუ რეალურად არსებული სიტუაცია (დევნილობისას დაოჯახებული წყვილში, არადევნილი მეუღლისთვის სტატუსის მინიჭების შემთხვევები) რაიმე შეუსაბამობას წარმოშობს, ეს კანონის არასწორი განმარტების ან სხვა კანონქვემდებარე აქტის მიზეზით შეიძლება ხდებოდეს.

ამდენად, ოჯახის წევრის ოჯახში აუცილებლად ცხოვრების მოთხოვნამ, როგორც დევნილის სტატუსის მიღებისთვის აუცილებელმა პირობამ შესაძლოა დაარღვიოს ოჯახის მთლიანობის უფლება, რომელიც გაეროს იძულებით გადაადგილების სახელმძღვანელო პრინციპებითაა გარანტირებული.

* აქვე გავამახვილებთ ყურადღებას ერთ პრობლემაზე, რომელიც მოქმედი კანონის პირველი მუხლით დადგენილ დეფინიციას ახლავს. პირი, რომელიც არ იმყოფებოდა იმ ტერიტორიაზე, სადაც წარმოიშვა იძულებით გადაადგილების საფუძვლები, მაგრამ ველარც ბრუნდება უკან დევნის საფრთხის გამო, სამშობლოდ ვერ ხვდება დევნილის დღეს არსებულ დეფინიციაში. სასურველი იქნებოდა, წარმოდგენილი კანონპროექტს გამოესწორებინა ეს ხარვეზიც და საფუძვლად ლტოლვილთა სამართალში აპრობირებული მოდელი გამოეყენებინა, რომელსაც "Refugee sur place" ანუ, "ადგილზე წარმოშობილი ლტოლვილი" ჰქვია.

**მუხლი 3, პუქტები ვ) და ი) -**

სასურველია, თუ შემოთავაზებული ფორმულირებები აწმყო დროში იქნება ასახული და არა წარსულში. მაგალითად: "დევნილთა დროებითი საცხოვრებელი ადგილი, სადაც დევნილები ორგანიზებულად ***არიან*** განსახლებული".

**მუხლი 4, პუქტი 4**

ვფიქრობთ, გაცილებით ლოგიკური იქნებოდა თუ პირველი ფრაზიდან ამოღებულ იქნება სიტყვა "**შეიძლება**" - იმდენად, რამდენადაც პირის დევნილად ჩათვლისათვის საჭირო საფუძვლიანი ვარაუდის არსებობისას აღარ უნდა იყოს სათუო მისი რეგისტრირება დევნილის სტატუსის მაძიებლად.

**მუხლი 5, პუნქტი ბ)**

*შემოთავაზებული ცვლილება ითვალისწინებს მოქმედი კანონის მე-3 მუხლის პირველი და მეორე პუნქტების ამოღებას. კარგი იქნებოდა, თუ განმარტებითი ბარათი შემოგვთავაზებდა ამ ცვლილების მიზეზებს. მით უმეტეს, როცა ზემოხსენებული პუნქტებით (თუნდაც უმნიშვნელო) შეღავათების მოსპობა ხდება.*

**მუხლი 8, პუნქტი 4, ა)**

კანონპროექტი დევნილთა გამოსახლების დასაშვებ შემთხვევებში მოიაზრებს ***დევნილებთან წერილობით შეთანხმებას***. თუმცა, არ აზუსტებს რას შეიძლება ეს შეთანხმება ეხებოდეს. აქაც ვარაუდით შეიძლება დავადგინოთ, რომ შესაძლოა ეს ჩანაწერი იმ ტიპის შემთხვევებზე იყოს გათვლილი, როგორსაც ადგილი ჰქონდა სასტუმროების "აჭარა" და "ივერია" გამოთავისუფლებისას, ანუ **კომპენსაციის** სანაცვლოდ გამოსახლებასთან. თუ ეს ასეა, ვფიქრობთ, საჭიროა აუცილებელი კომპენსაციის ელემენტი აისახოს ზემოაღნიშნულ ფორმულირებაში.

* აქვე, კარგი იქნება თუ ტერმინი "*დევნილი*" მხოლობით რიცხვში იქნება გამოყენებული.

**მუხლი 9**

სასურველია, კანონპროექტმა ზუსტად განსაზღვროს დევნილის მიერ საცხოვრებელი ადგილის შეცვლის თაობაზე სამინისტროსათვის შეტყობინების ფორმა (წერილობით თუ არა, უშუალოდ სამინისტროს თუ მის ტერიტორიულ ორგანოს...). ეს აგვაცილებდა შემდგომ გაუგებრობებს.

**მუხლი 10**

კანონპროექტით გათვალისწინებულია (მოქმედი კანონის მე-6 მუხლის 1 პუნქტის გ) ქვეპუნქტით) დევნილის სტატუსის შეჩერება თუ პირი "...**რამდენიმე რეგიონში დევნილად არის რეგისტრირებული**".

უმჯობესია სიტყვა "რეგიონში" შეიცვალოს სიტყვით "ადგილზე", ვინაიდან რეგიონის ცნება არაა არც დამკვიდრებული და არც განმარტებული სადმე.

აქვე, მე-6 პუნქტის ჩანაწერი ხსნის მე-7 პუნქტის არსებობის აუცილებლობას.

III. ზოგადი შენიშვნები:

ტექნიკური თვალსაზრისით "პრიმა" მუხლების შემოტანას აჯობებს, გაიზარდოს კონკრეტული მუხლების პუნქტების ოდენობა, ხოლო ნუმერაცია თანმიმდევრული იყოს.

P&G

საშუამავლო ბიზნესის განვითარების (CBD) მენეჯერის თანამდებობაზე.

Sales/Customer Business Development Account Manager

www.pg-ca.com
www.go2pg.com
CBD00002125
muradova.n@pg.com
+994 50 350 5855

საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია

ლიცენზიებისა და ნებართვების დანერგვის პროექტი

უფასო სატელეფონო კონსულტაციები ლიცენზიისა და ნებართვის მიღებასთან დაკავშირებით

ლიცენზირების ცხელი ხაზი 93 64 75

ცხელი ხაზი ფუნქციონირებს ყოველ დღე შაბათ-კვირის გარდა, 11-დან 19 საათამდე.

საკონტაქტო ინფორმაცია: მისამართი: გრ. ორბელიანის ქ. №35, თბილისი 0105; ე-მეილი: office@economists.ge

IRIS პროექტი ხორციელდება IRIS- საქართველოს მხარდაჭერით

## სტუდენტები გამოძიებას არ ენდობიან

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესხეთის ფილიალის რექტორის მერაბ ბერაძის დაკავება-დაპატიმრების ფაქტთან დაკავშირებით, ახალციხეში ფართომასშტაბიანი საპროტესტიო აქციები კვლავ იგეგმება. ამ აქციებმა, შესაძლოა, თბილისშიც გადმოინაცვლოს.

ორი დღის წინ, ახალციხის სასამართლომ უფლებამოსილების გადამეტებისთვის დაკავებულ რექტორს წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა. იმავე ღამეს ბრალდებული ორთაჭალის იზოლატორში გადმოიყვანეს. გამოძიება მერაბ ბერიძეს 60 ათასი ლარის არამიზნობრივ ხარჯვაში ედავება. როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესხეთის ფილიალის სტუდენტები, მერაბ ბერიძის პატიმრობიდან გათავისუფლების მოთხოვნით, დღეიდან შიმშილობის დაწყებას გეგმავენ.

"იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი სამსახურები ჩვენს მოთხოვნას არ დააკმაყოფილებენ და ვიღაცის შეკვეთით უკანონოდ დაკავებულ მერაბ ბერიძეს არ გაათავისუფლებენ, აქციები პერმანენტულად გაგრძელდება და სასწავლო პროცესი ჩაიშლება. შესაძლოა შიმშილობის აქციამ თბილისშიც გადაინაცვლოს," - აცხადებენ სტუდენტები, რომელთაგან რამდენიმე აქციის ორგანიზატორობისთვის დააკავეს და მოგვიანებით ხელწერილით გაათავისუფლეს.

*24 საათი*

## თავდაცვის სამინისტროს მაიორები ქრთამის გამოძალვის ფაქტზე დააკავეს

სამართალდამცველებმა ქრთამის გამოძალვის ფაქტზე თავდაცვის სამინისტროს ორი თანამშრომელი დააკავეს. თავდაცვის სამინისტროს ბოლნისის სამობილიზაციო შტაბის მაიორს გურამ საღარაძეს და მარნეულის სამობილიზაციო შტაბის სამმართველოს მაიორს ზაზა გოცირიძეს, დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში, 8-დან 15 წლამდე პატიმრობა ელით.

"გურამ საღარაძემ და ზაზა გოცირიძემ, წინასწარი შეთანხმებით, ერთ-ერთ მოქალაქეს სამხედრო ბილეთის დამზადებისა და პირადი საქმიდან ნასამართლეობის ცნობების განადგურების სანაცვლოდ, ქრთამის სახით 600 ლარი გამოსძალეს. მაიორების დაკავების დროს გამოძალული თანხა ამოღებულია", - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ იოსებ თოფურიძემ.

*24 საათი*

MEDECINS DU MONDE | ECHO Humanitarian Aid Office | EUROPEAN COMMISSION

არასამთავრობო ორგანიზაცია MDM (France)-(Mйdecins du Monde), Gйorgie, Zugdidi (მსოფლიო ექიმები) აცხადებს ტენდერს სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების განსახორციელებლად

ქ. ზუგდიდში მდებარე სამ ობიექტზე: რესპუბლიკური საავადმყოფოს სამშობიარო განყოფილება (1 ობიექტი) და ამავე საავადმყოფოს დაქვემდებარებული კანისა და ვენერული დაავადებების დისპანსერი (2 ობიექტი).

სატენდერო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ვიწვევთ საქართველოში რეგისტრირებულ სამშენებლო ორგანიზაციებს რომლებსაც გააჩნიათ სახელმწიფო ლიცენზია საპროექტო-სამშენებლო სამუშაოების განხორციელებაზე. დაინტერესებულ ორგანიზაციებს შეუძლიათ წარადგინონ განცხადება და ასევე ძირითადი ინფორმაცია მათი მოღვაწეობის შესახებ ქვემოთ მითითებულ მისამართზე. განცხადების საფუძველზე ზემოთ აღნიშნულ ფირმებს/ორგანიზაციებს გადაეცემა საკონკურსო დოკუმენტაცია. საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება ობიექტების მიხედვით შეადგენს 20(ოცი), 40(ორმოცი), 40(ორმოცი) ლარს. განცხადებები მიიღება და საკონკურსო მასალები გაიცემა ამა წლის 24 თებერვალიდან - 10 მარტამდე და წინადადებები მიიღება 26 თებერვლიდან 14 მარტის ჩათვლით.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 70 დღის განმავლობაში.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება.

ზემოხსენებული კონკურსანტები ინფორმირებულნი იქნებიან ინდივიდუალურად ტენდერის გახსნის თარიღის შესახებ.

მისამართი:
ქ. ზუგდიდი; ჩიჩუას ქ. N27; ტელ: 995/ 215 5 19 04(5)
საკონტაქტო პირი: ზვიად ლადუა
ქ. თბილისი; ფალიაშვილის ქ. N24; ტელ: 995/ 32 22 52 29

# საზარელი მკვლელობა ჩელიაბინსკის მხარეში

*ჩელიაბინსკის მხარეში საზარელი მკვლელობა მოხდა: ბოროტმოქმედმა ნაჯახით დაჩეხა და გაგუდა სამი ახალგაზრდა ქალი და სამი ბავშვი, რომელთაგან ყველაზე პატარა 7 თვის იყო. სასაკლაოზე მკვლელმა ყველანაირი კვალი მოსპო, სამაგიეროდ, რატომღაც ეზოში დატოვა მკვლელობის იარაღი – ნაჯახი.*

ჩელიაბინსკის მხარის ქალაქ ვერხნი უფალეიში მასობრივი მკვლელობა მოხდა. რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, ბარაკის ტიპის სახლში აღმოჩენილ იქნა სახლის პატრონის – 24 წლის იულია საფონოვას გვამი. მოპირდაპირე სახლში კი, სადაც საფონოვას თანამოგვარე ცხოვრობდა, კიდევ სამი ცხედარი აღმოჩნდა – ორი ახალგაზრდა ქალისა და სამი ბავშვის, რომელთა შორის ყველაზე პატარა ერთი წლისაც კი არ იყო. შემზარავმა ამბავმა მთელი სამხარეო მილიცია ფეხზე დააყენა და მომხდარიდან მეორე დღესვე გამოძიებამ მკვლელობებში ეჭვმიტანილი დააკავა – 20 წლის სერგეი ვასილენკო, 2004 წელს გამომძალველობისა და მკვლელობის მუქარისთვის განსჯილი და პირობითი სასჯელით გათავისუფლებული.

გამოძიების ვერსიით, 12 თებერვალს ვასილენკო ესტუმრა 27 წლის ოლგა პეტრუშინას, შვიდი თვის ბავშვის დედას. მეზობლებს შორის მისი ბინა ლოთობისა და პროსტიტუციის ბუნაგის რეპუტაციით სარგებლობდა. იმ დღეს კი მასთან მხოლოდ მეზობელი ქალი – 36 წლის სვეტლანა საფონოვა იმყოფებოდა. სამართალდამცველები მომხდარის სურათს ასე აღადგენენ: სავარაუდოდ, ქალებმა ვასილენკოსთან ერთად დალიეს. ამ უკანასკნელმა და საფონოვამ რაღაცის გამო წაიჩხუბეს და სანამ პეტრუშინა გვერდით ოთახში იმყოფებოდა, ვასილენკომ საფონოვა გაგუდა და ლოგინზე დააწვინა, ვითომ ეძინა. თუმცა, დაბრუნებული პეტრუშენკო მიხვდა, რომ ყველაფერი წესრიგში არ იყო და სანამ მწოლიარე საფონოვას გაღვიძებას ცდილობდა, ვასილენკომ მას უკნიდან თავში რამდენჯერმე ჩაარტყა ნაჯახი. ასე მოიშორა მოწმე, მაგრამ სრულიად გაუგებარია, რას ერჩოდა ბავშვებს, რომლებსაც საფონოვასთან, მეზობელ ბინაში ეძინათ. ვასილენკო გავიდა ბავშვებთან, მძინარე ელენა (16 წლის) და იულია(5 წლის) ნაჯახით დახოცა, პეტრუშინას 7 თვის ვაჟი კი ბალიშით გაგუდა. შემდეგ კი მკვლელმა მონდომებით გაანადგურა კვალი, მორეცხა სისხლი და მოსპო სისხლის ანაბეჭდები. მაგრამ როდესაც მკვლელი ამ საქმიანობით იყო დაკავებული, მოპირდაპირე სახლში მცხოვრებმა იულია საფონოვამ ბინაში შემოიხედა. ვასილენკომ მორიგი მოწმე შენიშნა, ხელი სტაცა ნაჯახს და დანას და საკუთარი სახლისკენ გაქცეულ საფონოვას გაეკიდა. გაქცეულს სწორედ მაშინ დაეწია, როდესაც ის სახლის კარების მოჯახუნებას ცდილობდა, მსხვერპლს ჯერ რამდენიმე თითი მოაჭრა, მერე კი სახლში შეათრია და მოკლა. აქაც მორეცხა სისხლი, მოსპო თითის ანაბეჭდები, სახლის კარიდან ეზოს გასასვლელამდე რამდენჯერმე გაიარგამოიარა, რომ გამოძიებისთვის თავგზა აებნია - თითქოს მკვლელი რამდენიმე იყო, მერე კარი ჩაკეტა და წავიდა. მთავარი მტკიცებულებები კი, ანუ მკვლელობის იარაღი - ნაჯახი და დანა, რატომღაც ეზოში დატოვა.

რამდენიმე საათში იულია საფონოვას ნაცნობებმა მიაკითხეს, გაუკვირდათ, დათქმულ დროს სახლის პატრონი შინ რომ არ დაუხვდათ და კარი შეამტვრიეს. შემთხვევის ადგილზე ქალაქის მილიცია გამოიძახეს, რომელმაც მეზობლების გამოკითხვის სურვილით მოპირდაპირე სახლში შეიხედა და იქ სასაკლაო დახვდა. მაშინ შემთხვევის ადგილზე სამხარეო მილიციის გამომძიებლები მოვიდნენ. სწორედ მათ დაიწყეს ოლგა პეტრუშინასა და სვეტლანა საფონოვას "ბუნაგის" ყველა კლიენტის შესახებ ინფორმაციის შეგროვება და 20 წლის ვასილენკოსაც მიადგნენ. ის მკვლელობის მეორე დღესვე დააკავეს. დაკავებული თავდაპირველად დანაშაულის ჩადენას უარყოფდა, მაგრამ, როდესაც მის ბინაში სისხლიან ჩექმებს მიაგნეს, იძულებული გახდა, ყველაფერი ეღიარებინა.

*24 საათი*




## მკვლელობა საბილიარდო „პირამიდაში"

გორში, საბილიარდო "პირამიდაში" გუშინწინ ღამით მომხდარი მკვლელობა გახსნილია.

მკვლელობაში ეჭვმიტანილი ემზარ ელოშვილი სამართალდამცველებმა მომხდარი ინციდენტიდან ორი საათის შემდეგ დააკავეს.

როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, საბილიარდო "პირამიდაში" შეკრებილ მეგობრებს – ძმებს – ალიკა და დათო ლოთიშვილებსა და ემზარ ელოშვილს შორის, ურთიერთშელაპარაკება კომერციულ საქმიანობასთან დაკავშირებით მოხდა. ძმებზე განაწყენებულმა ემზარ ელოშვილმა მოულოდნელად ცეცხლსასროლი იარაღიდან ორივეს მიმართულებით გაისროლა და შემთხვევის ადგილიდან სასწრაფოდ გაუჩინარდა. მიღებული მძიმე ჭრილობის გამო დავით ლოთიშვილი ადგილზევე გარდაიცვალა, მისი ძმა, ალექსანდრე ლოთიშვილი კი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მას გადაუდებელი ოპერაცია ჩაუტარდა.

**"მართალია, ეჭვმიტანილმა, რომლის ვინაობაც რამდენიმე წუთში დადგინდა, გაქცევა შეძლო, თბილისელი კოლეგების დახმარებით, მისი დაკავება მაინც ოპერატიულად შევძელით. შემთხვევის ადგილიდან გაქცეულმა ელოშვილმა იარაღი იმავე საცხოვრებელ კორპუსში გადამალა, სადაც თავად ცხოვრობს და სადაც საბილიარდო "პირამიდაა" განთავსებული. იარაღის გადამალვის შემდეგ კი გეზი თბილისისკენ აიღო. ის სწორედ დედაქალაქში დავაკავეთ,"** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსმა ალეკო სუხიტაშვილმა, რომლის ინფორმაციითაც, მკვლელობაში ეჭვმიტანილი, მოკლული და დაჭრილი საკმაოდ ახლო მეგობრები იყვნენ და მათ საქმიანი ურთიერთობაც აკავშირებდათ.

ალეკო სუხიტაშვილის თქმითვე, დაკავებულმა ჩადენილი დანაშაული აღიარა. მის წინააღმდეგ განზრახ მკვლელობის მუხლით აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს გორის პროკურატურა იძიებს. თბილისში დაკავებული ემზარ ელოშვილი სამართალდამცველებმა უკვე გადაიყვანეს გორის წინასწარი პატიმრობის იზოლატორში.

*24 საათი*

## არასამთავრობო ორგანიზაციის წევრები ტრეფიკინგის ბრალდებით დაკავებულ "ბებიაქალს" იცავენ

არასამთავრობო ორგანიზაცია "კავშირი კონსტიტუციის 42-ე მუხლის" წევრები მე-5 სამშობიარო სახლის ბებიაქალის ნანული ქენქაძის დაპატიმრების ფაქტს აპროტესტებენ და აცხადებენ, რომ ის უკანონო პატიმარია.

შეგახსენებთ, რომ ნანული ქენქაზე რამდენიმე დღის წინ ტრეფიკინგის ბრალდებით, გაყიდული ბავშვის დედასთან ერთად დააკავეს.

ნანული ქენქაძეს ბრალი წაყენებული აქვს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მე-2 პრიმა მუხლის პირველი ნაწილით, რაც 8-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

როგორც არასამთავრობო ორგანიზაციაში აცხადებენ, უკვე დადგენილია, რომ ბავშვი, დედის თანხმობით, მატერიალურად შეძლებულ ოჯახში, მისივე ინტერესებიდან გამომდინარე იქნა გაშვილებული, სადაც მას გადარჩენისა და ნორმალური აღზრდის პირობები შეექმნებოდა და გარიგება ბავშვის გაყიდვის თაობაზე სწორედ მისი შვილად აყვანის მიზნით განხორციელდა, რაც სისხლის სამართლის კოდექსის 172-მუხლით გათვალისწინებული დანაშაულია და სასჯელის ზომად თავისუფლების აღკვეთას საერთოდ არ ითვალისწინებს.

"64 წლის მძიმე ავადმყოფს, ბრალდებულ ნანული ქენქაძეს სახლში ჰყავს ფსიქიურად შეურაცხადი შვილი. ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს მოსამართლის, კარლო ბზიშვილის უკანონო გადაწყვეტილება მისი უკანონო პატიმრობის მიზეზი გახდა და ამ უკანონობის ფონზე გადაწყვეტილება, რომელსაც თბილისის საოლქო სასამართლო ორშაბათს მიიღებს, შესაძლოა, ნანული ქენქაძის და მისი შვილისთვის საბედისწერო აღმოჩნდეს," – აცხადებენ არასამთავრობო ორგანიზაციაში.

*პრაიმ-ნიუსი*

## სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებები კვლავ შევა

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებათა პროექტის დასახვეწად პარლამენტში მუშა ჯგუფი შეიქმნა, რომელსაც ნუგზარ შოშიაშვილი უხელმძღვანელებს.

როგორც გენერალური პროკურორის მოადგილე კახა კობერიძე აცხადებს, აღნიშნული ცვლილებებით კანონმდებლობაში ბევრი ნოვაცია შემოდის – სისხლის სამართლის საქმის აღძვრის პროცესუალური ინსტიტუტი უქმდება, წინასწარი გამოძიებისა და სისხლის სამართლებრივი დევნა ერთმანეთისგან გაიმიჯნება, მოკვლევის ეტაპი გაუქმდება, წინასწარი პატიმრობისა და პირის ბრალეულად ყოფნის ვადები შემცირდება, ასევე გაუქმდება დამსწრეთა ინსტიტუტი, პროკურატურის საზედამხედველო ფუნქციები კი გაიზრდება.

წინასწარი პატიმრობის ვადები უახლოეს მომავალში შემცირდება. ამის საფუძველს "სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დამატებები და ცვლილებები" შექმნის, რომელთაც პარლამენტი უახლოეს ხანში მიიღებს.

კანონში ცვლილებების პროექტი სისხლის სამართლის კანონმდებლობით მომუშავე სახელმწიფო კომისიამ შეიმუშავა და პარლამენტის იურიდიულ კომიტეტს შესთავაზა, რომელიც აღნიშნულ ცვლილებებს, საკანონმდებლო ინიციატივის სახით, პარლამენტს წარუდგენს.

*ინტერ-პრესი*

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

................................................................................
................................................................................
................................................................................
................................................................................
................................................................................
................................................................................
................................................................................
................................................................................
................................................................................
................................................................................
................................................................................
................................................................................

### ა ნ კ ე ტ ა

სახელი, გვარი........................................................................

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი........................................

საკონტაქტო ტელეფონი.......................................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფშენის" შენობის I-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

ენერგოსექტორის მონიტორინგი

*გაზეთი „24 საათი“, „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრთან“ ერთად, აწარმოებს ღია დისკუსიას საქართველოს ენერგოსექტორის მოწყობის, რეფორმირების, დარგში კორუფციის აღმოფხვრის გზების ძიების საკითხებზე. დარგის სპეციალისტებს და დამოუკიდებელ ექსპერტებს, ეკონომისტებსა და იურისტებს ვეპატიჟებით ჩვენს ღია დისკუსიაში მონაწილეობისთვის. შეგიძლიათ მასალები (აგრეთვე, ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც დარგისთვის მნიშვნელოვნად მიიჩნევთ) მოგვაწოდოთ გაზეთ „24 საათის“ რედაქციის ეკონომიკის განყოფილებაში economics@24hours.ge (tel: 20-24-24) ან „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრის“ ელექტრონულ ფოსტაზე energy@ecm.ge, ან დაუკავშირდეთ პროექტის ხელმძღვანელს ელექტრონულ მისამართზე maya_u@gol.ge.*

ECM ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი
Center of Economic Corruption Monitoring

The Eurasia Foundation
Georgia Office

ენერგეტიკაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგისა და ენერგორეფორმების საზოგადოებრივი მხარდაჭერის პროექტს „ენერგეტიკა – კორუფციის გარეშე“ „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი“ ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით, ფონდ „ევრაზიისგან“ მიღებული გრანტის მეშვეობით ახორციელებს. მიუხედავად ამისა, პროექტის ფარგლებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის (USAID) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას. მასალების შინაარსზე პასუხს „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი“ აგებს.

# ენერგორეფორმა ენერგოსისტემის ოპტიმალური მოდელის შექმნას მოითხოვს

*ენერგოუწყებებს შორის დაპირისპირებების ფონზე, ქვეყნის ენერგოსექტორი კვლავ რთულ პერიოდს გადის. ენერგოსისტემის რეფორმირების პროცესში მრავალი საყურადღებო წინადადება იბადება. "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრს" უკავშირდებიან დამოუკიდებელი ექსპერტები, რომლებსაც საქართველოს ენერგოსექტორის სამომავლო მოწყობის თაობაზე საკუთარი მოსაზრებები გააჩნიათ. ზოგიერთი მათგანის აზრს იზიარებენ "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრის" ექსპერტებიც, ზოგიერთის მოსაზრებათა საპირისპიროდ კი საკუთარი არგუმენტები გააჩნიათ.*
*დღეს დამოუკიდებელი ექსპერტის, "მცირე ჰესების ასოციაციის პრეზიდენტის" გენადი მესხიას ერთ-ერთ, სწორედ ასეთ მოსაზრებას გთავაზობთ. ცენტრის ექსპერტები ბატონ გენო მესხიას მოსაზრებებს ერთმნიშვნელოვნად არ იზიარებენ, მაგრამ ენერგოსექტორის განვითარების მისეულ კონცეფციაში ბევრ საინტერესო იდეას ხედავენ.*



გენადი მესხია
ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, შპს „როტორ-ლაითის“ დირექტორი

საქართველოს ქრონიკულ ენერგოკრიზისში ყოფნის ძირითადი მიზეზებია: მთავრობის არასწორი ენერგო და საკადრო პოლიტიკა, ენერგორეფორმის მეცნიერულად დაუსაბუთებელი მოდელის გამოყენება, საჭირო საკანონმდებლო ბაზის, მიმზიდველი სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს არარსებობა, ინტელექტუალური და მატერიალური რეზერვების, დახმარების ფონდების, გრანტებისა და კრედიტების არაეფექტური გამოყენება, ენერგოდაზოგვისა და ენერგოეფექტურობის ტექნოლოგიების დანერგვის იგნორირება, მცირე ენერგეტიკის განვითარებისათვის ხელშეუწყობლობა, ელექტროენერგიის დატაცება, მომხმარებლებზე მიწოდებული ელექტროენერგიის საფასურის ამოღების დაბალი მაჩვენებელი, კორუფციის არნახული მასშტაბები და სხვა.

ელექტროენერგეტიკის განვითარებისთვის საჭიროა შემდეგი ღონისძიებების გატარება:

1. საქართველოს "ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ" კანონში (შემდგომში "კანონი") რიგი დამატებებისა და ცვლილებების შეტანა:

ა) “ენერგოსისტემის" ახალი ოპტიმალური მოდელის მიღება, რომელშიც, გარდა არსებული ლიცენზიანტებისა, გათვალისწინებული იქნება “მომხმარებლის" ლიცენზიანტი. ლიცენზიანტების ფუნქციები და პასუხისმგებლობა სრულყოფილად იქნება ჩამოყალიბებული. მათი საქმიანობა საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს უნდა ეფუძნებოდეს და რეგულირდებოდეს სახელმწიფო კანონებით. ყველა ლიცენზიანტი კომერციულ სტრუქტურას უნდა წარმოადგენდეს. ახალი მოდელი უნდა ითვალისწინებდეს "აკრედიტივის ინსტიტუტის" დანერგვას ენერგოსისტემაში. ლიცენზიანტები პარტნიორების წინაშე თავიანთ საქმიანობაზე ფინანსურად უნდა აგებდნენ პასუხს.

ბ) ტარიფის დადგენის სწორი პოლიტიკის განსაზღვრა, დიფერენცირებული სამომხმარებლო ტარიფის შემოღება, რომლის მნიშვნელობა უნდა განისაზღვრებოდეს საცალო ტარიფის, ერთ სულ მოსახლეზე (ოჯახზე) საშუალო თვიური შემოსავლის, არსებული საარსებო მინიმუმის, მოხმარებული და ნორმატიული ელექტროენერგიის ხარჯის გათვალისწინებით.

გ) ტარიფის მეთოდოლოგიის სრულყოფა. მასში უნდა იყოს ასახული მომხმარებლის (აბონენტის) სამართლებრივი, ტექნიკური, სოციალური და ეკოლოგიური დაცვის მექანიზმები. ტარიფის განსაზღვრის კრებსით მაჩვენებელში გათვალისწინებული უნდა იყოს “ენერგოდაზოგვის, ენერგოეფექტურობის და მომხმარებლის ინტერესების დაცვის კომპონენტი."

დ) ყველა ენერგეტიკულ საწარმოში, სადაც დიდი ინვენსტიციების მოზიდვა (კაპიტალდაბანდებები) არ ხორციელდება, შემოსავლების სიდიდე ლიცენზირებად საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯებით, გადასახადებით და ოპტიმალური მოგებით უნდა განისაზღვრებოდეს.

2. სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს თვისობრივად გაუმჯობესების მიზნით, “ენერგოეფექტურობასა" და “მცირე ჰესებზე" საჭირო საკანონმდებლო ბაზის შექმნა, ენერგომატარებლებზე და ატმოსფეროში გამოფრქვეულ მავნე ნივთიერებებზე გადასახადების დაწესება. ენერგეტიკის განვითარების და სოციალურად დაუცველი მოსახლეობის საარსებო პირობების გაუმჯობესების მიზნით შექმნილი პროგრამების სუბსიდირება, საბანკო-საკრედიტო ხაზებისა და საგარანტიო ფონდების ფორმირება და სხვა.

3. ენერგოობიექტების სრული პასპორტიზაცია და მათთვის ბიზნეს-გეგმების დამუშავება. სარეაბილიტაციო სამუშაოების დაჩქარება, ახალი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა. პარალელურად, კომბინირებული აირტურბინიანი თბოელექტროსადგურების მშენებლობა ჯამური სიმძლავრით არანაკლებ 1200 მგვტ. ქვეყანაში უნდა დაჩქარდეს მცირე ჰიდროენერგეტიკის განვითარება, ვინაიდან მარტო 10 მგვტ-მდე სიმძლავრის მცირე ჰესების აშენებით 2-3 წელიწადში შესაძლებელია 6 მლრდ.კვტ.სთ. ელექტროენერგიის მიღება.

4. მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების დაპროექტებისა და მშენებლობის დაჩქარება, რითაც ხელი შეეწყობა ელექტროენერგიის ექსპორტირებისა და რეექსპორტირების გაზრდას.

5. მომხმარებლებზე მიწოდებული ელექტროენერგიის საფასურის ამოღების მაჩვენებლის 75-80 პროცენტამდე გაზრდა. ამის მისაღწევად საჭიროა:

- გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანიის ახალი სტრუქტურული მოდელის შექმნა;

- უცხოური კრედიტების და დახმარების ფონდების ეფექტური გამოყენება სწორი მენეჯმენტის დანერგვით;

- მომხმარებელზე მიწოდებული ელექტროენერგიის აღრიცხვის, დარიცხვისა და ენერგოვალების ამოღების მექანიზმების სრულყოფა;

6. სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს სტრუქტურული რეორგანიზაცია და მისი ფუნქციების გაზრდა. სამინისტრო აქტიურ მონაწილეობას უნდა იღებდეს უცხოეთიდან მიღებული კრედიტების, დახმარების ფონდების, გრანტების და ქვეყანაში არსებული რეზერვების განაწილებაში. მის ფუნქციებში უნდა შედიოდეს ელექტროენერგიის და გაზის ტარიფზე მონიტორინგი. ის აქტიურად უნდა მონაწილეობდეს ენერგოობიექტების პრივატიზაციის ჩატარების პროცესში ვეტოს დადების უფლებით.

7. გენერაციისა და განაწილების ობიექტების პრივატიზაცია მაქსიმალურად მაღალ ფასებში ან მათი სააქციო საზოგადოებებად ჩამოყალიბება.

8. “ელექტროენერგეტიკის" ცენტრის დაფუძნება არსებული სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო-საკონსტრუქტორო და სხვა ორგანიზაციების ბაზაზე, რომლის ძირითადი ფუნქციები იქნება ენერგოსისტემაში არსებული პრობლემების გამოვლინება და მათ გადაწყვეტაში აქტიური მონაწილეობა. მისი დაფინანსება შესაძლებელია მოხდეს ტარიფიდან მას შემდგომ, რაც განსაზღვრული იქნება მისი ოპტიმალური სტრუქტურა და ბიუჯეტი.

ახალ "ენერგოსისტემის" მოდელში ლიცენზიანტები უნდა იყვნენ წარმოდგენილნი შემდეგი სქემით: "გენერაცია" – "გადაცემა + დისპეტჩერიზაცია + ელექტრობაზარი" – "განაწილება" – "მომხმარებელი". მოდელი ასევე ითვალისწინებს ექსპორტისა და იმპორტის ლიცენზიანტებს.

"მომხმარებელი წარმოადგენს საქართველოში ენერგოუსაფრთხოების, ენერგოდამზოგი და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვისა და მომხმარებლის სამართლებრივ, ტექნიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ დაცვის საკითხებზე მომუშავე კერძო სამართლის იურიდიულ პირს.

“მომხმარებლის" ფუნქციები და საქმიანობა იქნება:

1. მონაწილეობის მიღება საკანონმდებლო ბაზის, ნორმატიული დოკუმენტებისა და ხელშეკრულებების მომზადებასა და ხელმოწერაში, რაც დაკავშირებული იქნება მათი უფლება-ინტერესების დაცვასა და ელექტროენერგიის მიწოდება-მოხმარებასთან.

2. მონიტორინგის განხორციელება ენერგოსისტემის ლიცენზიანტების მიერ წარმოებულ ხარჯთაღრიცხვაზე, რათა მაქსიმალურად ობიექტურად იყოს გათვალისწინებული ლიცენზიანტების წილი ელექტროენერგიის ტარიფის კრებსით მაჩვენებლებში. მონაწილეობის მიღება ტარიფის პოლიტიკის და მისი ანგარიშის მეთოდიკისა და სიდიდის დადგენის პროცესში.

3. ელექტროენერგიის ტარიფში თავისი დასაბუთებული წილის წარდგენა სემეკში.

4. ენერგოსისტემაში მომუშავე კერძო სამართლის იურიდიული პირების, ინდივიდუალური მეწარმეების, მომხმარებელთა და სხვა ლიცენზიანტთა ჩართვასა და კოორდინაციაში სამომხმარებლო ინტერესების დაცვით ღონისძიებებში და მიზნობრივი პროგრამების, პროექტებისა და კონტრაქტების რეალიზაციის საქმეში მათი ურთიერთთანამშრომლობის ხელის შეწყობა.

5. ხელს უწყობს ელექტროენერგიის "გამანაწილებელ ლიცენზიანტსა" და "მომხმარებელს" შორის გამჭვირვალობას და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობისათვის სათანადო საფუძვლის შექმნას.

6. მუდმივ ზედამხედველობას (კონტროლს) უწევს გამანაწილებელი კომპანიების მიერ ელექტროენერგიის მიწოდების პროცესს და ელექტროენერგიის ხარისხს ოფიციალური შეტყობინების საფუძველზე, აუდიტორული და სამართლებრივი შეფასების გზით განსაზღვრავს “გამანაწილებლის" მიერ უხარისხო პროდუქციის მიწოდების ან პროდუქციის არმიწოდების შედეგად მიყენებულ ზარალს და შესაბამის დოკუმენტებს წარუდგენს სემეკსა და სახელმწიფო არბიტრაჟს (სასამართლოს).

7. ამზადებს მომხმარებელთა ინტერესების დაცვასთან დაკავშირებულ დებულებებს (დადგენილებებს) და მათ შესრულებაზე მონიტორინგს ახორციელებს. ცალკეულ, კონკრეტული დარღვევების შემთხვევაში რეაგირებისთვის მიმართავს სემეკ-ს ან სხვა ორგანოებს.

8. ლიცენზიანტების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან დარღვევის შემთხვევაში აყენებს ხელშეკრულებათა გადასინჯვის ან ხელმომწერი მხარის პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხს სემეკი-სა და ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების წინაშე.

9. ენერგოსისტემის ლიცენზიანტებისაგან იღებს ოპერატიულ ინფორმაციას მიმდინარე ენერგეტიკულ პრობლემებთან დაკავშირებით, უზრუნველყოფს მომხმარებლებს ელექტროენერგიასთან დაკავშირებული ინფორმაციით და, საჭიროების შემთხვევაში, მათ კონსულტაციებს უწევს.

10. მონაწილეობას იღებს სამეწარმეო და საინვენსტიციო გარემოს თვისობრივად გაუმჯობესების პროცესში, ენერგეტიკის სფეროში დროებითი საგადასახადო შეღავათების დაწესებაში, საჭირო საკანონმდებლო ბაზის შექმნაში, საბაზრო ეკონომიკის პრინციპების დამკვიდრების დაჩქარებაში, ტარიფის ფასწარმოქმნის ლიბერალიზაციასა და ოპტიმატიზაციაში, უცხოეთიდან მიღებული კრედიტების, გრანტების, დახმარებებისა და ქვეყანაში არსებული რეზერვების ეფექტურ გამოყენებასა და მათზე მონიტორინგის განხორციელებაში.

11. აქტიურად მონაწილეობს ენერგეტიკის სექტორში პრივატიზებისა და რესტრუქტურიზაციის პროცესების კოორდინაციასა და მონიტორინგში, ანტიკორუფციული ღონისძიებების გატარებაში.

12. აწარმოებს ენერგეტიკაში უცხოური გამოცდილებების შესწავლა-პროპაგანდას.

13. აქტიურ მონაწილეობას იღებს ისეთი ტექნიკური და ეკონომიკურ პროგრამების (პროექტების) განხორციელებაში, რომლებიც ხელს შეუწყობენ ენერგორესურსების ეფექტურ გამოყენებას, ყველა კატეგორიის მომხმარებლისთვის ენერგოეფექტურობის ამაღლების და ენერგოდაზოგვის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელებაში.

14. აფუძნებს "ენერგოდაზოგვის, ენერგოეფექტურობისა და მომხმარებლის ინტერესების დაცვის ფონდს" (შემდგომში "ფონდი").

15. აყალიბებს ქვეყანაში ენერგეტიკული აუდიტის ინსტიტუტს, ენერგოდანადგარებსა და ენერგოპროდუქციაზე ენერგოეფექტურობის მაჩვენებლის მარკირების სამსახურს და მათ მუშაობაზე მონიტორინგს აწარმოებს.

16. აყალიბებს ქვეყანაში ენერგომენეჯმენტის სერტიფიკაციის კურსებს, აწარმოებს მის მუშაობაზე კოორდინაციასა და მონიტორინგს.

17. მონაწილეობს უცხოურ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთსასარგებლო ენერგოპროგრამების შედგენასა და ენერგოდამზოგი ტექნოლოგიების დამუშავება-დანერგვაში, ენერგოეფექტურობის სახელმწიფო სტანდარტების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის საქმეში.

“მომხმარებლის" ლიცენზიანტის დაფინანსების წყაროების განსაზღვრა-შერჩევა და “მომხმარებლის" ბიუჯეტის შევსებაში მათი წილობრივი მონაწილეობა სისტემურ მიდგომას და მეცნიერულ დასაბუთებას მოითხოვს.

მსოფლიოს მრავალი ქვეყნის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ენერგომატარებლები (ბენზინი, დიზელის საწვავი, ნავთი, ბუნებრივი აირი და სხვა.) იბეგრება. ასევე დაწესებულია ეკოლოგიური გადასახადები ისეთ გამონაბოლქვებზე, როგორიცაა $SO_2$, $CO_2$, $NO_x$ და სხვა. ესტონეთში საერთო გადასახადი $NO_x$ შეადგენს 0,1 ევრო/ტ, დანიაში 13,5 ევრო/ტ, ფინეთში $CO_2$ - 3,7 ევრო/ტ, საქართველოში $CO_2$ - 0,05 დოლ. აშშ/ტ, შვედეთში $CO_2$ - ევრო/ტ, ბელგიაში შემოღებულია ავტომობილის საწვავზე გადასახადი: ბენზინზე - 0,0099 ევრო/ლ, ავსტრიაში ბუნებრივ გაზზე - 0,0454 ევრო/მ3, ხოლო ელექტროენერგიაზე - 0,015 ევრო/კვტ.სთ. ამ გადასახადებიდან შემოსულმა სახსრებმა შეადგინა 511 მლნ.ევრო, რომელიც ენერგოდაზოგვის ღონისძიებების განხორციელებას მოხმარდა. ბელგიაში ბუნებრივი გაზი იბეგრება - 0,0137 ბელგ.ფრ/კვტ.სთ., დანიაში ბენზინი იბეგრება 3,81 დან.კრონა/ლ., ელექტროენერგია - 0,536 დან.კრონა/კვტ.სთ., გერმანიაში გადასახადები დაწესებულია ყველა სახის ენერგომატარებლებზე, აქედან შემოსული სახსრები ხმარდება სოციალური დახმარების პროგრამების დაფინანსებას.

მრავალ ქვეყანაში სახელმწიფო დოტაციები და სუბსიდიები გამოიყენება დაბალი შემოსავლების მქონე ოჯახებში ენერგოდაზოგვის და ენერგოეფექტურობის პროგრამების დასანერგად. ხშირად, სახელმწიფო დოტაციებით და სუბსიდიებით ფინანსირდება სადემონსტრაციო პროექტები, იმ მოტივაციით, რომ მათი რეალიზაცია დააჩქარებს ახალი ტექნოლოგიების კომერციალიზაციას და, ამავდროულად, ხელს შეუწყობს სხვა პრობლემების გადაჭრას. ასეთი სქემების გამოიყენება ფინეთში, საფრანგეთში, გერმანიაში, პოლონეთში, ჰოლანდიაში, პორტუგალიაში, აშშ და სხვა. ასევე ევროპული კომისიის მიერ (პროგრამა "ტერმი").

ნახ. 1-ზე მოცემულია მომხმარებლის ფონდის დაფინანსების წყაროების სტრუქტურული სქემა, დანერგვის ობიექტები, ენერგოდაზოგვის და ენერგოეფექტურობის ღონისძიებების დანერგვით მოსალოდნელი ტექნიკურ-ეკონომიკური ეფექტი.

ფონდის დაფინანსება წარმოებს შემდეგი წყაროებიდან:

1. “დაფინანსების დროებითი წყარო", - რომელშიც სახსრების მოზიდვა განხორციელდება საერთაშორისო დახმარების ფონდებიდან, სოციალური დახმარების პროგრამებიდან, გრანტებით და კრედიტებით, სახელმწიფო სუბსიდიებით და დოტაციებით.

2. “დაფინანსების სტაბილური წყარო," - რომელშიც სახსრების მოზიდვა ელექტროენერგიის, ბენზინის, დიზელის საწვავის და ბუნებრივი აირის გადასახადებიდან განხორციელდება.

3. “თვითდაფინანსების წყარო," - რომელშიც სახსრების მოზიდვა განხორციელდება ენერგოდაზოგვის პროგრამების (პროექტების) რეალიზაციით მიღებული ეფექტიდან ელექტროენერგიის ტარიფში შექმნილი რეზერვიდან), ატმოსფეროში მავნე ნივთიერებების გამოყოფის შემცირებით მიღებული ეფექტიდან და “მომხმარებლის" სამსახურის საქმიანობით (გარეშე ორგანიზაციებზე გაწეული მომსახურება) მიღებული შემოსავლებიდან.

“მომხმარებლის" ლიცენზიანტის ბიუჯეტი განისაზღვრება: "მომხმარებლის" სამსახურის მოწყობის ხარჯებით (ერთჯერადი ხარჯები), მომხმარებლის სამართლებრივი, ტექნიკური, ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური დაცვის სამსახურის ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯებით და ენერგოდაზოგვის და ენერგოეფექტურობის პროგრამების განსახორციელებლად საჭირო ხარჯებით და მოგებით.

“მომხმარებლის" სამსახურის მოწყობის შემდგომ, მისი დაფინანსება “დროებითი დაფინანსების წყაროდან" თანდათან შემცირდება.

ენერგომატარებლებზე საგადასახადო დანამატი შეადგენს: ბენზინზე - 1,6 თეთრი/ლ, დიზელის საწვავზე - - 1,4 თეთრი/ლ, ბუნებრივ აირზე - 0,39 თეთრი/მ3 და ელექტროენერგიაზე - 0,15 თეთრი/კვტ.სთ (დღეს არსებულ ტარიფში ამ რეზერვის მიღება პრობლემას არ წარმოდგენს).

ენერგომატარებლებზე დამატებითი გადასახადის სიდიდეების დადგენისას გათვალისწინებული იყო 2004 წელს ენერგომატარებლების მოხმარების (იმპორტ-ექსპორტი) წლიური მოცულობა და მათზე არსებული ტარიფის (სარეალიზაციო ფასის) არაუმეტეს 1,5 პროცენტით გაზრდა, საერთაშორისო გამოცდილება, “მომხმარებლის" ლიცენზიანტის ფუნქციონირებისათვის საჭირო ბიუჯეტის მოცულობა და მოსახლეობის ინტერესების დაცვა.

“თვითდაფინანსების წყაროში" - სახსრების მოზიდვა უნდა განხორციელდეს ქვეყანაში ენერგოდაზოგვის და ენერგოეფექტურობის პროგრამების რეალიზაციის შედეგად მიღებულ ეფექტიდან.

ნახ.1-ზე ნაჩვენებია დანერგვის ობიექტებზე ენერგოდამზოგი ნათურების გამოყენებით მიღებული ტექნიკურ-ეკონომიკური ეფექტის მაჩვენებლები ("წარმოება-დაწესებულებებში და კერძო სექტორში" - 0,6 მლნ. ცალი, ხოლო "მოსახლეობაში" - 5 მლნ. ცალი ენერგოდამზოგი ნათურა ინერგება). მოსახლეობაში მარტო განათებაზე, მომხმარებლის კომფორტის შეუცვლელად, ყოველწლიურად დაიზოგება 600 მლნ. კვტ. სთ. ელექტროენერგია, რითაც ელექტროენერგიის შეწონილ ტარიფში შეიქმნება, სულ მცირე, 0,3 თეთრი/კვტ.სთ. რეზერვი, ასევე, პიკის საათებში ენერგოქსელში დაიზოგება 400 მგვტ. სიმძლავრე (ცნობისათვის, ამ სიმძლავრის ელექტროსადგურის ასაშენებლად საჭიროა, სულ მცირე, 200 მლნ. აშშ დოლარი).

ქვეყნის მასშტაბით საბიუჯეტო ორგანიზაციებში 600 ათასი ცალი ენერგოდამზოგი ნათურის დანერგვით შესაძლებელია ყოველწლიურად 13 მლნ.ლარის დაზოგვა (ნახაზ.1). აქედან, სულ მცირე, 6,5 მლნ.ლარი შესაძლებელია ჩაირიცხოს “მომხმარებლის" ფონდში, ხოლო დანარჩენი დარჩეს საბიუჯეტო ორგანიზაციის განკარგვაში. ეკონომიკური ეფექტის ასეთი დიფერენციაცია სტიმულის მიმცემი იქნება საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის.

ატმოსფეროში მავნე ნივთიერებების გამოყოფის შემცირებით მიღებული ეკონომიკური ეფექტი საქართველოში არსებული ტარიფის გათვალისწინებით ყოველწლიურად 0,4 მლნ.ლარს შეადგენს.

ენერგოდაზოგვის და ენერგოეფექტურობის პროგრამების დაფინანსება, ენერგომატარებლებზე გადასახადების გაზრდით (1,5პროცენტით) ეკონომიკურად და სოციალურად გამართლებულია. ამის მოტივაციად გამოდგება ის ფაქტი, რომ პროგრამების რეალიზაციით მათში ჩადებული სახსრების ეფექტურობა 6-ჯერ იზრდება და, ბუნებრივია, საბოლოო ჯამში მოგებული რჩება მომხმარებელი, სახელმწიფო და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დიდი ფენა.

“მომხმარებლის" დაფუძნების, კანონში ცვლილებების და დამატებების შეტანის, ენერგომატარებლებზე დამატებითი გადასახადების დაწესება-დაკანონების გარდა, სახელმწიფოს მხრიდან მოითხოვს, აგრეთვე, ქვეყანაში ენერგოდამზოგი ტექნოლოგიების დანერგვის პროგრამების გარკვეული დროით (6-7 წლით) საბაჟო, დღგ-ის და მოგების გადასახადებისაგან განთავისუფლებას.

მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ენერგოდაზოგვის და ენერგოეფექტურობის პროგრამების დანერგვაში აქტიურად მონაწილეობენ დასავლეთ ევროპის მოწინავე ქვეყნების, აშშ-ს, კანადის და ასე შემდეგ, მთავრობები, რომლებიც ბრმად კი არ იზიარებენ საბაზრო ეკონომიკის ფილოსოფიას, არამედ თვითონ აქტიურად მონაწილეობენ ქვეყნის და ხალხის ეკონომიკურად და სოციალურად მომგებიანი პროექტების განხორციელებაში. მათ კარგად აქვთ გათვითცნობიერებული, რომ სწორი ფისკალური ღონისძიებების გატარება დააჩქარებს ენერგოდაზოგვას, გარემოს დაცვას და მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას.

ამ პუბლიკაციაში, ბუნებრივია, ვერ იქნებოდა გაცემული პასუხი ყველა იმ პრობლემაზე, რომელიც ენერგეტიკაში და მომხმარებლის უფლებების დაცვის სფეროში არსებობს. მოყვანილი მასალების შეჯერება სხვა მეცნიერების, ექსპერტების წინადადებებთან და რეკომენდაციებთან ენერგორეფორმის ოპტიმალური მოდელის დამუშავებას დააჩქარებს.

## სისხლიანი სემი



B3

## სამოქალაქო ავიაინდუსტრიის ახალი ლიდერი



B6

## ბერლინალეს ნაცისტურ-აფრიკული გატაცება



B8

ორშაბათის ნომერი გიყვარს, მკითხველო? რახან ამას კითხულობ, ნამდვილად ასეა — აბა, დავიჯერო, ყოველდღე ყიდულობ ქართული ბეჭდვითი მედიის ფლაგმანს? რახან მინიმალური ხელფასის საკითხი ჯერ ადამიანის ღირსების საკადრისად არ გადაწყვეტილა და ჩვენი დეპუტატები ათასის ფარგლებში ანგარიშის სწავლას მომავალ თანამოძმეთა რაოდენობის შესახებ კამათით იწყებენ, შრომისა და ფიზკულტურის გაკვეთილებზე კი ქუთაისში დარბიან წყლის საზიდად, სხვა რა გზა გაქვს?! ისე კი, ორშაბათის ნომერი მეც მიყვარს — ყოველთვის შეგხვდება რაღაც სულის მარგებელი...

არც გასულ ორშაბათს, 14 თებერვალს მიმტყუნა ინტუიციამ და ერთ ფრიად საყურადღებო განცხადებას წავაწყდი, რომელიც მეტად ნიშანდობლივად იწყება: **"2005 წლის 8 თებერვალს წმინდა სამების საკათედრო ტაძარში დაარსდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი "სულიერების, მეცნიერებისა და კულტურის აღორძინება და განვითარება"**. რამდენადაც მესმის, ფონდი ერთგვარი აბსტრაქტული რეალობაა, რომელიც ფინანსთა ვირტუალურ სივრცეში არსებობს და ვერ იქნება მოთავსებული რომელიმე კონკრეტულ შენობაში, თუნდაც საკათედრო ტაძარში. კონკრეტულ ადგილას შეიძლება ფონდის გამგეობა იყოს განლაგებული, მაგრამ ამისთვის საკათედრო ტაძარი ერთობ შეუფერებლად მეჩვენება — ისიც ვაკმაროთ, რომ ქვეყნის პრეზიდენტი ლამის თავის პრეს-ცენტრად იყენებს. როგორც ეტყობა, ტაძარში გაცხადდა ფონდის დაარსების ცნობა და ამის თქმა უნდათ განცხადებაში... გიკვირს, მკითხველო, რას გადავეკიდე ამ სიტყვებს? — ისევ და ისევ იმ მხატვრული ხერხის გამო, რომელსაც სასპენზი ჰქვია. გვარიანად უნდა შეგამზადო შემდეგი წინადადებისათვის: **"ფონდში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს და საქართველოს ნებისმიერ გულშემატკივარ პიროვნებას, მიუხედავად მათი აღმსარებლობისა და ეთნიკური წარმომავლობისა**" — ხომ ხედავთ, აქაც რამდენი ზედმეტი ინფორმაციაა. თანაც ოფიციალური ტონი სრულიად ფარავს ამ ზედმეტობას. აბა, რომ არ შემემზადებინე, მიხვდებოდი, რას ვგულისხმობ? ეჰ, ეტყობა, ვერც ახლა ხვდები. ერთად ვიმსჯელოთ: თუ ფონდი საერთაშორისოა, გასაგებია, რომ მასში მონაწილეობა შეუძლია საქართველოს მოქალაქეებსა და უცხოელებსაც. ყოველ შემთხვევაში, ეს სიტყვები უფრო ფონდის წესდებას მოუხდებოდა და არა მის შესახებ განცხადებას. მეორე მხრივ, გაუგებარია, რატომ წერია, მიუხედავად მათი აღმსარებლობისა და ეთნიკური წარმომავლობისაო? — ჯერ ერთი, ჩვენი კონსტიტუციით ეს ისედაც იგულისხმება, კაცმა რომ თქვას, ნებისმიერი ადამიანური სამართლით, ან როგორც კანონისტებს უყვართ თქმა, ბუნებითი სჯულითაც უნდა იგულისხმებოდეს, არაფერი რომ არა ვთქვათ იმაზე, რომ ამ აზრს ისევ და ისევ ფონდის განსაზღვრება — "საერთაშორისო" — შეიცავს. მაინც რატომ აღნიშნავენ განსაკუთრებით? არის, არის ერთი მიზეზი: დაფარული მესიჯია, რომელიც ასე ჟღერს: ბადრი, ფულები დაყაჭე!

ნეტა, რაც ქართველ დედებს სახელმწიფოს მიერ ბოძებული ვაუჩერის გარდა ახდევინებენ საპატრიარქოს სამშობიაროში, ის ფულიც ამ ფონდში შევა? მაგრამ ზედმეტ კითხვებს მოვეშვათ და განვაგრძოთ: "**ფონდის საქმიანობა ხელს შეუწყობს ქვეყნის აღმშენებლობას და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების განმტკიცებას**". გავიხსენოთ ახლა ფონდის სახელწოდება: "სულიერების, მეცნიერებისა და კულტურის აღორძინება და განვითარება" — საინტერესოა, დააფინანსებენ, მაგალითად, მიტროპოლიტ შიო ავალიშვილის წერილობითი მემკვიდრეობის წიგნად გამოცემას? ბოლოს და ბოლოს, მეუფე შიო სიონის საკათედრო ტაძრის ეზოშია დაკრძალული. თუ სიონის ტაძარს უკვე აეყარა ეს საუკუნოვანი პატივი? ან იქნებ მეუფე შიოს წერილები არ უწყობს ხელს "ქვეყნის აღმშენებლობასა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების განმტკიცებას"?

მე ვფიქრობ, ნამდვილად უწყობს. აი, თუნდაც ეს ავიღოთ: "**მოსაზრებას, რომ "ეკლესიის საიდუმლოებანი არ უნდა გავიდეს ეკლესიის გარეთ" ჩვენ არ ვიზიარებთ. არ ვიზიარებთ იმიტომ, რომ გარდა ქრისტიანული დოგმატიზმით დაწესებული შვიდი საიდუმლოისა ეკლესიაში სხვა საიდუმლო არ არსებობს და არც უნდა არსებობდეს. ეკლესიაში არაფერია საიდუმლო და დაფარული არც ხელისუფლების ორგანოებისათვის და არც ხალხისათვის**". აი, რას წერდა ბათუმ-შემოქმედელი მიტროპოლიტი შიო ავალიშვილი 1983 წელს. მართალიც იყო. იქნებ ახლადდაარსებული ფონდის პატრიოტულად გულანთებულმა მესვეურებმა განიხილონ ეს საკითხი დადგენილი წესით და განსვენებული მღვდელმთავრის ნააზრევი ფართო საზოგადოების კუთვნილებად გახადონ. ერთობ საშური საქმე იქნება...

ჩვენ კი ისევ სულიერების, მეცნიერებისა და კულტურის აღორძინებასა და განვითარებას მივხედოთ, თუმც კი ამ ფონდისაგან არაფერს ველით. სამაგიეროდ, ველით **დიმიტრი შველიძისაგან**, რომლის რუბრიკას "აქტუალური ისტორია" ყოველთვის ვკითხულობ და არ შემიძლია არ აღვნიშნო გადმოცემის სიცხადე და შინაარსიანობა, რომელიც მუდამ თან ახლავს მის ტექსტებს...

რახან სასპენზებისკენ მიდრეკილება შემატყვე, მკითხველო, იქნებ იფიქრო, თითქოს ამ დათაფლულ სიტყვებს რაიმე საზიზღრობა უნდა მოვაყოლო. მაგრამ ცდები: უბრალოდ პოლიტიკურ სივრცეში გაბატონებული მარაზმისაგან მინდა დავისვენო და შენც დაგასვენო. რაც შეეხება დიმიტრი შველიძეს, გასულ ორშაბათს გამოქვეყნებულმა მისმა სტატიამ *დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ერთი მოსაზრების გამო* ფიქრები ამიშალა. თანაც სწორედ იმ ადგილმა, სადაც მე მიხსენიებს: **"ამას წინათ ბ-ნი ნოდარ ლადარია სიმართლეს აღნიშნავდა — მსოფლიო ისტორიაში დრაკულას უფრო მაღალი რეიტინგი აქვს დავით აღმაშენებელთან შედარებითო. ეს სამწუხარო სიმართლეა და უცხოელთა მიერ ისტორიის ევროპოცენტრისტული გააზრების ბრალია მხოლოდ**".

კიდევ რამდენიმე მაგალითი: ტურანდოტი, სიდჰარტა, ინდიელთა ბელადი სახელად "მჯდომარე ბუღა". ეს სია შეიძლება განვაგრძოთ. მისი ყოველი წევრი რეიტინგით უსწრებს დავით აღმაშენებელს, თუმცა პირველი ზღაპრის გმირია, მეორის არსებობა საეჭვოა, მესამე კი ნამდვილად ისტორიულია. საზიარო თვისება მაინც მოეპოვებათ: არც ერთი მათგანი არაა ევროპელი. ევროპული კულტურა ხშირად მეფე მიდასივით იქცევა: ოქროდ აქცევს ყველაფერს, რასაც შეეხება და შეითვისებს. მეც იმას ვგულისხმობდი, რომ დავით აღმაშენებელი ჯერ არ ქცეულა მსოფლიო კულტურის საყოველთაოდ ცნობად პერსონაჟად.

გვსურს თუ არა, მისი ხილვა რომელიმე ცხოველის, თუნდაც ლომის სახით უოლტ დისნეის კომპანიის ახალ ანიმაციურ ფილმში (ჯონ უმიწაწყლოსა და რიჩარდ ლომგულის მსგავსად) — ეს ცალკე საკითხია. ახლა სხვაგან მიმყავს მსჯელობა...

მაინც რატომ იქცა დრაკულა, ანუ ტრანსილვანიის, ვალახეთის მთავარი ვლად მესამე ყველასათვის ცნობილ პერსონაჟად მთელ მსოფლიოში? უპასუხებენ: იმიტომ, რომ XIX საუკუნეში ბრემ სტოკერმა რომანი მიუძღვნა. მაგრამ რატომ მიუძღვნა ბრემ სტოკერმა რომანი დრაკულას? ერთი სიტყვით, ამ ჯაჭვის ბოლოს იქამდე მივალთ, რომ მთელი საიდუმლოება პერსონაჟის პირად ცხოვრებაშია, პირად კონფლიქტში, თუ გნებავთ, პირად ანომალიაში. რა იყო ეს: საშინელი სადიზმი? ავხორცობა? იქნებ კარჩაკეტილობა და მდუმარე ხასიათი, რომელიც ასე ადვილად იქცევა ხოლმე ცილისწამების საბაბად ცივილურობას მოკლებულ გარემოში? არა აქვს მნიშვნელობა: მთავარია, ეს მხოლოდ მას ეკუთვნოდა.

დავით აღმაშენებელს კი რას მოუძებნის თუნდაც ნიჭიერი სცენარისტი? ნუთუ კონსტანტინე გამსახურდიას უსაშველო ტექსტის გმირი შეგვრჩება ხელში? თუ კარგად დავუკვირდებით, აღმოჩნდება, რომ დავითის ანონიმი ისტორიკოსი სწორედ ამ პრობლემის გადაჭრას ცდილობდა.

ღმერთო ჩემო, რა არაადამიანური კულტურის წიაღში ვცხოვრობთ! — იმას კი არ ვამბობ, რომ გრძნობები გვაკლია, ან, პირიქით, სასტიკები ვართ. სულ სხვა რამეს ვგულისხმობ: იმას, რომ ჩვენთან სიყვარული იმპერატივია — უნდა გიყვარდეს ბიძაშვილი, უნდა მიგაჩნდეს, რომ "სამოსელი პირველი" გენიალური რომანია, ჩაქაფული პიცაზე მეტად უნდა მოგწონდეს და სკოლის მერხზე შენს გვერდით შემთხვევით მოხვედრილი იდიოტი თუ ნაძირალაც ისე უნდა შეირგო და შეიყვარო მთელი ცხოვრების მანძილზე, აუგი არ წამოგცდეს საჯაროდ. ახლა კიდევ იმისკენ უნდა ვისწრაფოდეთ, დავით აღმაშენებელი მეფეთა მსოფლიო ასეულში შევიყვანოთ (თუ ცხელ ასეულში?), დიდგორის ბრძოლა კი მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს ას ბრძოლათა შორის ვიხილოთ!

და ეს იმიტომ, რომ დავითის ისტორიკოსს დაუწერია:

**ვითარცა იტყვის თვით სადამე ალექსანდრე: "არა დიდ იყავ აქილევი, არამედ დიდსა მიემთხვიე მაქებელსა უმიროსს".**



ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge




ერთი წუთით დავივიწყოთ ამ წინადადების შინაარსი და მის ინტონაციას მოვუსმინოთ. მერე გადავშალოთ თვით დავითის ცხოვრება და შესაბამისი აბზაცი მთლიანად წავიკითხოთ. გესმით ავტორის გულის კვნესა? — რამდენად უფრო გულწრფელია მისი სიტყვები, ვიდრე ის სწორხაზოვანი, მაღალფარდოვანი და, ვთქვათ პირდაპირ, უნიჭო და შაბლონური ქება, არსენ იყალთოელისაგან მიძღვნილი:

**ბრწყინვალეო თუალო ყოვლისა სოფლისა მეფეთა ერთგუამოვნებისაო, რომელიეგე ჰაეროვან ხარ, ვითარცა სამყაროი ხილულისა სოფლისა შორის, საჩინო, ვითარცა მზე ვარსკულავთა შორის, ბრწყინვალე, ვითარცა ეთერი ნივთთა შორის, ნათლისფერ, ვითარცა ელვაი ღრუბელთა შორის** და ა. შ.

საზღვრულთა და მსაზღვრელთა მარტივი მიმდევრობა, ერთფეროვანი, როგორც შინაბერას მიერ მოქსოვილი მეასე თუ მეორასე წინდა.

ცამეტი წლის წინათ პირველად მომეცა საშუალება, კარგა ხნით გავშორებოდი ამ იძულებად ქცეულ სიყვარულს და თავისუფლად ამეღო ხელში პროფ. **მზექალა შანიძის** მიერ მშვენივრად გამოცემული "ცხორებაი მეფეთ-მეფისა დავითისი". მაშინ მივხვდი, რატომ დაიწერა ნიკოლაი გოგოლის "მკვდარი სულები" ასე ადვილად რომის გამჭვირვალე ცის ქვეშ, სადაც სამშობლოს სიყვარულიც სასიამოვნო თავგადასავლად იქცევა. "რაც უფრო შორს ხარ, მით უფრო ვტკბები" — მართალი ყოფილა გალაკტიონიც. ჰოდა, მაშინ გამეხსნა დავითის ისტორიკოსის ნამდვილი სახე — თავისებური, სრულიად ადამიანური ტანჯვითა და შიშით აღსავსე. განა მარტო შიშით? — ჭკუითაც. აბა, ესეც ვნახოთ:

**ამას ჟამსა გამოვიდეს ფრანგნი, აღიღეს იერუსალემი და ანტიოქია, და შეწევნითა ღმრთისათა მოეშენა ქუეყანა ქართლისა, განძლიერდა დავით და განამრავლნა სპანი.**

არც რაიმეს ნამდვილი მიზეზი თუ გარემოება გამორჩება მხედველობიდან და ჩვენი პოლიტოლოგებისა არ იყოს, არც ევროპული ფაქტორია მისთვის უცხო. და მაინც: "არა დიდ იყავ, აქილევი..." ნუთუ ვერ ვგრძნობთ ხიფათში ჩავარდნილი პატარა ნიჭიერი ადამიანის ძრწოლას? — მთელი მისი სიყვარული და თაყვანისცემა, რაგინდ უსასრულო არ იყოს, ველარ გააცოცხლებს მფარველს, ველარაფერს უშველის ფეხქვეშ გამოცლილ საყრდენს. განა მართლა ალექსანდრესა და ვესპასიანეს გვერდით სურს თავისი გარდაცვლილი პატრონის დაყენება! — რომ ვივარაუდოთ კიდეც, თითქოს არაადეკვატურად აფასებდა თავისი მეფის ისტორიულ მნიშვნელობას, იმას მაინც ვერ დავიჯერებ, რომ საკუთარი ნაწერის მომავალ პერსპექტივებზე არ ჰქონია ზუსტი წარმოდგენა და ვერ ხვდებოდა, რომ ჰომეროსის აუდიტორიას ვერასოდეს გასწვდებოდა მის მიერ შევსებული ეტრატი.

მაშ რაღაა მისი მესიჯი? იგივე, რაც ასე ნაცნობია ყველა ქართველისათვის, ვისაც ოდესმე დაჰკარგვია მფარველი და კეთილისმყოფელი, ან თუნდაც უბრალოდ მეთაური. წარმოვიდგინოთ, რა შეიძლება ტრიალებდეს რომელიმე "საკუთარი ნებით" დათხოვნილი ქართველი გენერლის თავში. მაგალითად, ასეთი აზრი: "*ეჰ, თევზაძისგან მაგიდაზე დარტყმულ მუშტებს ვითმენდი, განა ოქრუაშვილისგან გინებას არ ავიტანდი? მაგრამ რად გინდა, არაფერი ესმით*". ისტორია მეორდება, როგორც გვასწავლის ეკლესიასტე, ახალი არაფერია მთვარის ქვეშ. სწორედ ამის თქმა უნდა ჩვენს ისტორიკოსსაც: "ხომ ხედავთ, როგორ შევასხი ხოტბა თქვენს წინამორბედს, არც ობიექტურობა დაჰკლებია ჩემს ნაწერს და არც მაღალფარდოვნება. თქვენი დიდი მჩაგვრელის ცაში ამყვანი, იქნებ თქვენც გამოგადგეთ. ეს მისი ქებაც შემინდეთ, რადგან თქვენთვისაა უკეთესი: ახლა უკვე ველარაფერს დაგიშავებთ, ასე კი დიდი კაცის მემკვიდრეებად გამოჩნდებით. ნუ შეგაშინებთ საკუთარი უბადრუკობა, როცა ჩემისთანა მემატიანე გყავთ გვერდით".

რას ვიზამთ, კაცნი ვართ და ჩიჩია და ბაბა ყოველდღე გვჭირდება. განა არსენ იყალთოელის სიტყვაკაზმულობა სხვა რამე შედეგს ესწრაფოდა, თუ არა შიო-მღვიმის მონასტრისადმი ნაანდერძევ სიმდიდრესა და პრივილეგიებს?

რა ბედი ეწია ჩვენს ისტორიკოსს? ისიც ალბათ გალიაში ჩასვეს ახალციხის ფილიალის რექტორის, **მერაბ ბერიძისა** არ იყოს, როცა სამედიცინოსა და ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორები ჯერაც თავიანთ კაბინეტებში ნებივრობენ, მიუხედავად გაგანია რეფორმისა.

ერთი სიტყვით, სულაც არ მაღელვებს, შეიტანენ დიდგორის ბრძოლას "ცხელ ასეულში" თუ არა. ჩხირი კედელს, ჩემს დიდ გრძნობებთან შედარებით. მე ის უფრო მანაღვლებს, შესაძლებელია თუ არა დავით აღმაშენებლის ცხოვრებაში რაღაც პირადის, რაღაც განსაკუთრებულის, რაღაც ადამიანურად მტკივნეულის მოძიება. ალბათ შესაძლებელია და მეც ეკრანზე "ალექსანდრეს" მსგავსი ბლოკ-ბასტერი კი არ მინდა ვიხილო, რომლის უნიჭობა ალბათ მხოლოდ მასში ჩაქცეულ მილიონებს თუ შეედრება, არამედ ნაცნობი ჟრუანტელის მომგვრელი ქართული ტრაგედია, ამბავი იმის შესახებ, როგორ ნელ-ნელა, შეუმჩნევლად დაეპატრონა ბუმბერაზი მეომრის გონებას ჩია მონაზონი, არსენ იყალთოელი. როგორ შეაღწია თურქთა და სარკინოზთა მძლეველის სულში და დააბეჩავა. ტრაგედია ქართველისა, რომელიც იბრუნებს დიდი ხნის ნანატრ თბილისს და ერთ მშვენიერ დღეს აღმოაჩენს, რომ თუ მართლად გადმოსცემ და ღრმად გაიაზრებ, გამარჯვებასა და დამარცხებას შორის დიდი განსხვავება არაა. მით უმეტეს, როცა უკვე სამუდამოდ დაიკარგა ის, რისი ათვისებისთვის მითვისება არ ყოფილა საკმარისი...

დღეს იქნებ სხვა რამეს ელოდი ჩემგან მკითხველო. მაგრამ მარტო შენ არ ყოფილხარ ამ დღეში. ეს ჩემი ისტორიულ-ლირიკული გადახვევა გაფიცვის ერთგვარ ფორმად ჩამითვალე, რადგან სხვებიც იყვნენ, ვინც მეუბნებოდა, **დოდო რცხილაძის** გაუთავებელ პუბლიკაციებს კიდევ ერთხელ უნდა კრიტიკაო. მათგან განსხვავებით, არ დამვიწყებია, რომ "24 საათში" მვმოჯამაგირეობ და არა "ასავალ-დასავალში". ერთიცაა: კრიტიკა ტექსტს ეკადრება და არა სიტყვების ნებისმიერ მიმდევრობას.

ნესტან კვინიკაძის სვეტი

# დიდი იმედები



- "ტომ! - პასუხი არ არის". რა სიმბოლური დასაწყისი ჰქონია "ტომ სოიერის თავგადასავალს"! ეს ოთხი-ხუთი დღის წინ აღმოვაჩინე, "პარნასში" გამართულ პრეზენტაციაზე, სადაც მკითხველი მარკ ტვენის ბესტსელერის ქართულ ვერსიას ეგებებოდა. აღმოვაჩინე ახლა და არა სკოლის პერიოდში, რომელიც სულ უფრო ხშირად მახსენდება ხოლმე, როცა განათლების რეფორმის ირგვლივ იწყება აჟიოტაჟი.

მესამე კლასში ვიყავი. ამერიკიდან ჩამოტანილი გულსაბნევით მოჯადოებულმა, ოქტომბრელის ნიშანი მოვიხსენი და სკოლაში ალტერნატიული გადაწყვეტილებით მივედი. პირველივე გაკვეთილის ბოლოს დამრიგებელმა მკლავში ხელი მომკიდა, თვალებში სასტიკად ჩამხედა და მკითხა: შენ ოქტომბრელი ხარ თუ ამერიკელიო? რა ვუპასუხე არ მახსოვს, მაგრამ დარწმუნებული ვარ ცრემლი მომერია, მომწონდა ერთი და მაიძულეს მეორე.

თავიდან რიდი ჰქვია, - როცა ბოტანიკის სქელი წიგნის ტარებას გაიძულებენ და ნერვიულად გიმეორებენ: თავი რატომ არ დაგრჩა სახლში. დამნაშავე გგონია საკუთარი თავი და მორცხვად დგახარ. რიდს შიში ცვლის - არ გაგაგდონ გაკვეთილიდან; მშობელი არ დაიბარონ; შატალოს ორგანიზატორები არ ამხილონ. შიში საბოლოოდ სიძულვილად იქცევა და მის წინააღმდეგ ბრძოლის სურვილი დაუოკებელი ხდება.

მეოთხე კლასისთვის, უკვე საფუძველი ერყეოდა იმას, რასაც ყველაზე მეტად "ამერიკული გულსაბნევების" ეშინოდა. იმ დღეს კი ჩვენს საკლასო ოთახში ნამდვილი გარდატეხა მოხდა.

უკვე ვახსენე, ქაოსი იწყებოდა-მეთქი, რაც ყურების გახვრეტას და საყურეებით სკოლაში სიარულს, აგრეთვე ფორმების უგულებელყოფას მოიაზრებდა. შესაბამისად, ჩვენც უფროს კლასელებს მივბაძეთ.

ჩემი თანაკლასელი და უახლოესი მეგობარი თეონა, ჯინსის ქვედაბოლოთი იწონებდა თავს. დამრიგებელმა (ჩემს ოქტომბრელობაში რომ შეეპარა ეჭვი) დაფასთან გაიძახა და უთხრა: ახლავე შენი ნებით, მთელი კლასის წინაშე, გაიხადე ქვედაბოლო, თორემ ძალით გაგხდიო. კლასში მხოლოდ გადიდებული თვალები ჩანდა და სამარისებური სიჩუმე იდგა. გაწითლებული მეოთხე კლასელი სიბრაზით აივსო და უეცრად:

- ვერ გამხდი! - აღმოხდა.

- ვითომ რატომ? - სადიზმი მატულობდა 26 წლის ქალბატონში.

- იმიტომ, რომ მამაჩემი ცკ-აა, - იყო პასუხი.

ჩვენ მივხვდით, რომ გავიმარჯვეთ, რადგან მასწავლებელს შეეშინდა; ცკ-სი კი არა, - იმ დროისთვის პატრონგაქცეული ძაღლივით მოწყენილი და განწირული იყო ყველა მსგავსი სტრუქტურა, დამრიგებელს გამბედაობის შეეშინდა, რადგან მიხვდა - სულ სხვა დრო დადგა. ფანჯრიდან დამწვარი ყელსახვევების სურნელი შემოდიოდა და თავს ვეღარ აკონტროლებდა ვეებერთელა მექანიზმი. ცხრა აპრილი მომხდარი იყო და მხოლოდ რუსულის მასწავლებლები დადიოდნენ თავდახრილები. უკვე ვიცოდით - არავის აქვს ჩვენი დაჩაგვრის უფლება. თავისუფალი თემები უფრო თავისუფალი გახდა და სიახლის მოლოდინით აივსო ორგანიზმი.

მერე კანონის მიხედვით შეგვიცვალეს დამრიგებელი, ყოფილი მასწავლებლის ანტიპოდი - გნებავთ, კვლავინდებურად სიმბოლო უწოდეთ. 25 წლის კეთილგანწყობილი მაია, ორ წელიწადში გათხოვდა და თუ თქვენს ფანტაზიას შესწევს ძალა, ქორწილის სუფრაზე ოცდათექვსმეტი მეექვსე კლასელი წარმოიდგინოს, ეს ჩემი კლასი იყო.

ავტობიოგრაფიულ შტრიხებს მეტი დამაჯერებლობისთვის გახვევთ თავს. რეალურად კი მხოლოდ იმის ხაზგასმა მსურს, რომ მთელი ამ დროის მანძილზე, ჩვენი ქვეყნის 10-12-წლიანმა ჩაკეტილობამ, თითქოს გაწმინდა სისხლი თურქ-სელჩუკთა ერთფეროვნების და რუსული ზედაპირულობისაგან, შედეგად ერთი მეორეზე უკეთესი ნაკვთებდალაგებული, თხელი კონფიგურაციის, განსხვავებული თვალისფერისა და ჯანსაღი ენერგიით სავსე თაობა მოვიდა, რომელთაც იმ სისტემით ვეღარ მივაწოდებთ საამაყო საგანძურს, რითაც ჩვენ (შეუმდგარ ოქტომბრელებს) გვასწავლიდნენ.

დღეს, "ფარენჰეიტი 9/11"-დან, პოპკორნით ხელში, კინოთეატრიდან გამოსულ ბავშვებს, რომლებმაც საინფორმაციო საშუალებებით ეთნოკონფლიქტებისა თუ სამურაების შესახებ ყველაფერი იციან; აქვთ ვერსია, რომ ცუნამიც კი, ბოლო დროის ყველაზე დიდი ტრაგედია, შესაძლოა, რომელიმე ძლიერი სახელმწიფოს ატომური ბომბის გამოცდის შედეგი იყოს; ესმით რომ სექსი სირცხვილი კი არა, თურმე ჯანმრთელობა ყოფილა; რომლებსაც გული ძველმოდური პარიზისკენ კი არა, პირდაპირ ცათამბჯენებისაკენ მიუწევთ; თაობა, რომელიც ამდენხნიანი პაუზის შემდეგ, მალე ეკრანებზე გამოსულ "მოგზაურობა ყარაბაღში" ნახავს; ბავშვები, რომლებსაც გაუჩნდათ იმედი: მათ მასხრადაგდებულ და იდუმალებით მოცულ ქვეყანაში, შესაძლოა, ტურიზმი ამუშავდეს; რომელშიც დრო აჩქარებულია და ერთ "ფაილად" ინახება მთელი მათი დიდი იმედები. ამ თაობას მაინც ნუ ვაიძულებთ, რომ "ოთარაანთ ქვრივში" ხიდჩატეხილობის პრობლემის შესახებ წეროს თემა, რადგან თანამედროვე მოსწავლე, ფეხზე წამოდგება და აუცილებლად იტყვის: მათ შორის ხიდი რანაირად ჩატყდებოდა, როცა არც არასდროს ყოფილაო.

თუ ამ საკითხსაც დამახასიათებელი "ორლობული" გაგებით მიუდგებით, კვლავინდებურად ჩაიშლება დიალოგი:

- ტომ! - პასუხი არ არის.

# ბაქო-თბილისის თეატრალური ტანდემი

## აზერბაიჯანული თეატრი ისევ ცოცხალია

სოფო კილასონია

იქ, სადაც ლესელიძის ქუჩა მთავრდება და მეიდანი იწყება, 1872 წლიდან 1947 წლამდე თბილისის აზერბაიჯანული თეატრი არსებობდა. 57-წლიანი შესვენების შემდეგ თეატრის შენობას თავისი ისტორიული მფლობელი - თეატრის დასი დაუბრუნდა. დირექტორის ალადინ ჰასანოვისა და სამხატვრო ხელმძღვანელის რეჟისორ ირაკლი აზიკურის მონდომებამ და მიხეილ სააკაშვილისა და ილჰამ ალიევის მეგობრობამ ის გამოიწვია, რომ აზერბაიჯანული თეატრი ხელახლა გაიხსნა. მას ჯერ მუნიციპალური, შემდეგ კი სახელმწიფო თეატრის სტატუსი მიენიჭა და გასული წლიდან ფუნქციონირება განაგრძო. პირველი, მეტად რთული თეატრალური სეზონის მიუხედავად, თეატრმა ორი სპექტაკლი დადგა: პირველი - "იუმორის საღამო" და მეორე - ფრანგული, კლასიკური, ჟაკ პიკისა და ეჟენ ფერარის ვოდევილები. ეს პირველი ქმნილებები თეატრმა ჯერ თბილისის აზერბაიჯანელ მაყურებელს უჩვენა, შემდეგ კი რაიონებში: დმანისში, ბოლნისსა და მარნეულში წარმოადგინა.

თეატრის დასს, რეჟისორისა და დირექტორის გარდა თბილისის თეატრალური უნივერსიტეტის კურსდამთავრებული მსახიობები და ახალგაზრდა სტაჟიორები წარმოადგენენ. ძველი და ისტორიული შენობა, რომელიც თეატრმა მრავალი წლის შემდეგ სახელმწიფოს დახმარებით დაიბრუნა, ჯერ არ არის ვარგისი იმისთვის, რომ დასმა საკუთარი სპექტაკლები იქ



მარცხნიდან: ჰუსეინაღა ათაქიშევი, ნაზიმ ბექიშევი, ალადინ ჰასანოვი, ირაკლი აზიკური.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

აჩვენოს. ხელმძღვანელობა აკაკი ხორავას სახელობის მსახიობთა სახლს ქირაობს წარმოდგენების გასამართავად, თუმცა, ჩემთან საუბარში არც რეჟისორს ირაკლი აზიკურსა და არც თეატრის დირექტორს ალადინ ჰუსანოვს ოპტიმისტური განწყობა არ დაუმალავთ. როგორც აღმოჩნდა, დახმარებას, კონკრეტულად სარემონტო სამუშაოებისთვის, მათ აზერბაიჯანის კულტურის სამინისტრო, ფოლად ბულ-ბულ-ოღლი და თბილისში ცოტა ხნის წინ სტუმრად ჩამოსული პრეზიდენტი ალიევი შეჰპირებიან. თუმცა, რეჟისორის ამაღლებული განწყობა მხოლოდ ამით როდი აიხსნება. "ახალგაზრდა თეატრი" ახალ სპექტაკლს ამზადებს და წინ უამრავი საინტერესო გეგმა და სურვილი აქვს.

თეატრში ჩემი მისვლის მთავარი მიზეზი მათი მომავალი პრემიერაა, სპექტაკლი, რომელსაც მათთან სტუმრად ჩამოსული ბაქოს ახალგაზრდული სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, აზერბაიჯანის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, რეჟისორი ჰუსეინაღა ათაქიშიევი და ბაქოს ნაციონალური თეატრის სახელმწიფო დრამატული თეატრის მთავარი მხატვარი ნაზიმ ბექიშიევი დგამენ. პიესა, რომლის თბილისში დადგმაც რეჟისორმა გადაწყვიტა, ალი ამერლის - თანამედროვე და აზერბაიჯანში მეტად მოდურ დრამატურგს ალი ამერლის ეკუთვნის. "მისი ორი ნეკნი", ასე ჰქვია დრამატურგიულ ნაწარმოებს, რომელზეც თეატრის დასმა მუშაობა უკვე დაიწყო. პიესა კომედიური ჟანრისაა. იგი ერთი მამაკაცისა და მისი "ორი ნეკნის" - ორი მეუღლის თანაცხოვრებასა და კონფლიქტურ სცენებზეა აგებული.

"დიდი ხანია არ ვყოფილვარ თბილისში. მიხარია, რომ თბილისის აზერბაიჯანული თეატრის დირექტორმა და სამხატვრო ხელმძღვანელმა სურვილი გამოთქვეს, დამედგა სპექტაკლი. ეს ძველი ახალი თეატრია. მათ მეტად ნიჭიერი მსახიობები ჰყავთ. სწორედ ამ ახალგაზრდობის ხელშია თეატრის ბედი. ჩემი თეატრი ბაქოში - ახალგაზრდული თეატრია. აქედან გამომდინარე, საინტერესოა ამ ორი თეატრის თანამშრომლობა. ავტორი პიესისა, რომელსაც ჩვენ ვდგამთ, ძალიან ცნობილი მწერალია აზერბაიჯანში, მისი ცხრა პიესა თავად მაქვს დადგმული. დიდი ხანია, რაც ჩვენ შემოქმედებითი ურთიერთობა გვაკავშირებს. თუ თეატრი გარემონტდება, აქ შეიქმნება მეტად მყუდრო გარემო და დასი საკუთარ სპექტაკლებს საკუთარ სცენაზე შეასრულებს. "მისი ორი ნეკნი" მეტად საინტერესო პიესაა, მსახიობებმა უკვე იგრძნეს ამ პიესის ხასიათი, ვფიქრობ, სპექტაკლი უნდა გამოვიდეს." - აღნიშნა რეჟისორმა ჰუსეინაღა ათაქიშუევმა, რომელიც გუშინ საღამოს დროებით სამშობლოში გაემგზავრა, რათა, როგორც თავად გვითხრა, თბილისის აზერბაიჯანული თეატრის დასახმარებელი სახსრები მოიძიოს.

მოწვეული რეჟისორის გარდა, თეატრში სპექტაკლის გამფორმებელ მხატვარსაც ნაზიმ ბექიშიევსაც შევხვდი. ბაქოს აკადემიური თეატრის მთავარმა მხატვარმა, რომელსაც მას შემდეგ ვესაუბრე, რაც ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი და თბილისის ძველი უბნები დაეთვალიერებინა, საკუთარი შთაბეჭდილებები გამიზიარა. თურმე ყველაზე მეტად ძველებური სახლებითა და დავით კაკაბაძის ნახატებით მოიხიბლა, მისი მეხსიერებიდან არასოდეს წაიშლება ქართველი მხატვრების ის ოსტატობა და ნიჭი, რაც მუზეუმში იხილა. როგორც თავად მითხრა, ყველაზე მეტად პეიზაჟების ხატვა უყვარს, თვლის, რომ ნებისმიერ ნოვაციას მხატვრობაში ხატვის ცოდნა და დახვეწილი წერის უნარი უნდა ედოს საფუძვლად. სხვა შემთხვევაში, მისი აზრით, ავანგარდული ხელოვნება არაფრის მთქმელია: "კარგად ვიცი, რომ თქვენ ძალიან ძლიერი თეატრალური სკოლა და ტრადიციები გაქვთ. ქართული თეატრალური მხატვრობა საერთოდ მთელ ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესოა. ჩემი სურვილია, ამ თეატრშიც დაიდგას სპექტაკლი, რომლის რეჟისურა და მხატვრობა კონკურენციას გაუწევს ქართველ მხატვართა და რეჟისორთა ნამუშევრებს. ეს პირველი მცდელობაა, სადაც ჩვენ თეატრის მწირ საშუალებებს ვითვალისწინებთ. ამჯერად ასეა. დანარჩენი ალბათ მომავლის საქმეა."

"მისი ორი ნეკნის" პრემიერა 15-16 თებერვლისთვის იგეგმება, რის შემდეგაც თბილისის აზერბაიჯანული თეატრი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (იქ, სადაც აზერბაიჯანული მოსახლეობა ცხოვრობს), შემდგომ კი ბაქოში გაემგზავრება. სამომავლოდ თეატრი ქართულენოვანი სპექტაკლების დადგმას და ბაქოს ახალგაზრდულ თეატრთან აქტიურ კონტაქტს, მსახიობთა გაცვლებსა და ხშირ გასტროლებს გეგმავს.

# ხიტას სკოლის სამი მხატვარი

## ახალი გალერეა საგამოფენო კულტურით



ალექსანდრე ბაგრატიონი



ყარამან ქუთათელაძე



ალექსანდრე კაკაბაძე

ლევან ხერხეულიძის ფოტო

სოფო კილასონია

*ზუსტად ერთი თვის წინ თბილისის მრავალრიცხოვან კერძო საგამოფენო დარბაზებს კიდევ ერთი, თაქთაქიშვილის (რიგის) ქუჩის N11-ში არსებული, ცენტრ პოინტის გალერეა შეემატა. რამდენიმე დღის წინ ახალმა გალერეამ რიგით მეორე და, შეიძლება ითქვას, პირველი სერიოზული გამოფენა გახსნა. "ხიტას სკოლა" - ასე ჰქვია გამოფენას, რომელშიც გურამ (ხიტა) ქუთათელაძის სამი გამორჩეული მოსწავლე მხატვრები: ყარამან ქუთათელაძე, ალექსანდრე კაკაბაძე და ალექსანდრე ბაგრატიონი მონაწილეობენ. ექსპოზიცია, უპირველეს ყოვლისა, იმითაა აღსანიშნავი, რომ იგი ერთიანი იდეითა და საერთო კონცეფციით აერთიანებს ნამუშევრებს. გამოფენის ავტორმა, ხელოვნებათმცოდნე ირინა გუნცაძემ მხატვრები და მათი ნამუშევრები საერთო პრინციპით აარჩია: ერთი სკოლის სამი მხატვარი, რომელთა შემოქმედებას, მრავალი განმასხვავებელი ნიშნის გარდა, აქვთ ძალიან ძლიერი საერთო ხაზი - დაზგური მხატვრობის სიყვარული, დიდი საშემსრულებლო კულტურა, რაც, როგორც გამოფენის ავტორმა აღნიშნა, სწორედ ამ მხატვრების პედაგოგისგან, გურამ ქუთათელაძისგან სკოლიდან მოდის.*

მიუხედავად იმისა, რომ გამოფენას გახსნიდან ორი დღის შემდეგ ვესტუმრე, დარბაზში სამივე მხატვარი დამხვდა. სამივეს ვესაუბრე. ძირითადი თემა მათი პედაგოგი გურამ ქუთათელაძე, მისი შემოქმედება და პედაგოგიური მოღვაწეობა გახლდათ. თუმცა, სანამ ვისაუბრებდით, ექსპოზიცია დავათვალიერე, რომელიც საერთო კონცეფციის ფარგლებში სამი განსხვავებული მიმართულებისა და ინტერესების მქონე ხელოვანს წარმოაჩენს. ყარამან ქუთათელაძის ნამუშევრებში შერეული ტექნიკით შესრულებულ, საინტერიერო დიზაინთან მიახლოებულ, დეკორატიულ ნამუშევრებთან გვაქვს საქმე და ძირითადად აბსტრაგირებულ ნატურმორტებს, ტორსებსა და პორტრეტებს ვხედავთ. გამოფენაზე წარმოდგენილია მხატვრის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და, როგორც თავად მითხრა, საეტაპო ნამუშევარი "მგელი," რომელიც მან თბილისის ომის დროს შექმნა და მის იმდროინდელ განწყობას ეხმიანება. ყარამან ქუთათელაძე ძმისა და მასწავლებლის შესახებ გუშინ ბევრ რამეს იხსენებდა, თუმცა, თანამედროვე ქართულ მხატვრობაში გურამ ქუთათელაძის ადგილსა და, საერთოდ, ქვეყნისთვის თანამედროვე ხელოვნების როლზე გაამახვილა ყურადღება: **"ჩვენმა საზოგადოებამ ჯერ კარგად არ იცის, ხიტას მნიშვნელობა და ფასი. ჩვენ შეგვიძლია განვიხილოთ ხიტა, როგორც პედაგოგი, მხატვარი, მოქალაქე. ეს არის მომავალი თაობისა და ხელოვნების კრიტიკოსების სამუშაო, რადგან რეალური ადგილი ქართულ ხელოვნებაში ხიტას ჯერ არ უჭირავს. მან დატოვა უზარმაზარი კვალი ქართულ თანამედროვე მხატვრობაში. იგი დიდი ფიგურაა, მას ძალიან ბევრი მოწაფე ჰყავდა, მან თაობები გაზარდა. მისი მიღწევა, როგორც პედაგოგისა, ისაა, რომ მისმა ყველა სტუდენტმა თავისი გზა იპოვა, ყველა სხვადასხვა გზით წავიდა. თბილისსა თუ საზღვარგარეთ ბევრი საინტერესო მხატვარი დადის, რომელთაც მისი სკოლა გაიარეს. მიხარია, რომ ასეთი კულტურული, ევროპული გალერეა გაჩნდა თბილისში. თუ ჩვენ გვინდა, რომ რაიმე კულტურული პროგრესი მოხდეს საქართველოში, თუნდაც ასეთ პატარა გალერეებს დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს. აღარაფერს ვამბობ თანამედროვე ხელოვნების მუზეუმისა და ცენტრის არარსებობაზე, რაც ჩვენი დიდი ტკივილია. თუ გვინდა ევროპასთან ინტეგრაცია, როგორ შეიძლება არ გვქონდეს თანამედროვე ხელოვნების ცენტრი? ესაა მიზეზი იმისა, რომ საზოგადოება ხიტას თუ ბევრ სხვა მნიშვნელოვან ქართველ მხატვარს არ იცნობს. რას წარმოადგენს თანამედროვე ხელოვნება, სად ვართ და რა ადგილი უჭირავს ქართულს მსოფლიო კულტურაში? ძალიან ვაგვიანებთ, ვდგავართ ზღვარზე, რომლის იქით შეიძლება გავხდეთ უინტერესო, უფერული კულტურის მქონე ერი. მცდარია აზრი, თითქოს ეკონომიკის განვითარება თანდათან მოიტანს ხელოვნების განვითარებას. ეს ორი პროცესი თანადროული უნდა იყოს. საზოგადოება უნდა აცნობიერებდეს თანამედროვე ხელოვნების მნიშვნელოვნებასა და საჭიროებას. ამიტომაა ეს და მისი მსგავსი გამოფენები არაჩვეულებრივი, რადგან ისინი აცნობენ საზოგადოებას მხატვრებსა და მხატვრულ ტენდენციებს. მადლობას ვუხდი და წარმატებებს ვუსურვებ ცენტრ-პოინტის გალერეას, რომ ჩვენ, მხატვრებს, ამ გამოფენის სახით ასეთი არაჩვეულებრივი საჩუქარი მოგვიმზადა."**

ექსპოზიცია ალექსანდრე კაკაბაძის გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებს გვთავაზობს. თიხა, მინა და ლითონი ის მასალაა, რომელთა შეხმატკბილებითაც მხატვარი საინტერესო და ესთეტიკურად მომხიბვლელ ფორმებს, ფერადოვნებასა და კომპოზიციებს ქმნის. როგორც თავად მითხრა, მისთვის წამყვანი თავდაპირველი იდეაა, თუ რა და როგორი უნდა შექმნას. მხოლოდ შემდეგ იძენს ფორმას ნაწარმოები. ალბათ ამიტომაცაა, რომ წარმოდგენილი ნიმუშები ერთიმეორეს არ ჰგავს. "ლაზარეს აღდგინება", "მსვლელობა", კერამიკული აბსტრაქცია, "ქაჯების ცეკვა" (ფაუსტიდან) და სხვა. თუ ერთგან ამოცანაა განსხვავებული ტექნიკის შერწყმა, მეორე შემთხვევაში ავტორი ორნამენტს ანიჭებს წამყვან როლს, ან ახლებური ტექნიკით შესრულებული ვიტრაჟით გადმოსცემს საკუთარ იდეასა თუ ემოციას. კითხვაზე, თუ რა ხიბლავს მას ყველაზე მეტად კერამიკაში მუშაობისას და რატომ აირჩია მაინცდამაინც ეს საშუალება, მხატვარმა მოკლედ მიპასუხა: **"კერამიკა მე არ ამირჩევია, მან თვითონ ამირჩია."**

მესამე მხატვარი ალესანდრე ბაგრატიონი მათგან განსხვავებული იერსახით წარმოჩინდება გამოფენაზე. თბილისის პეიზაჟებია ის, რითიც მხატვარი ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში არის გატაცებული და ის, რამაც ცენტრ პოინტის გალერეის პატარა ოთახი მთლიანად მორთო. ზეთში, მსხვილი მონასმებით შესრულებული პეიზაჟები კლასიკური დაზგური სურათებია, სადაც კარგად ჩანს მხატვრის განსაკუთრებული სიყვარული ფერისა და ფერით ძერწვისადმი, რაც ალექსანდრე ბაგრატიონს პედაგოგისგან, ხიტა ქუთათელაძისგან მემკვიდრეობით ერგო. **"ხიტა ქუთათელაძემ დაზგური ფერწერის გემო და სიყვარული გადმომცა და ბევრი რამ მასწავლა."** - თქვა მხატვარმა.

მაინც რა უნდა ჰქონდეთ საერთო ამ სამ, ერთი შეხედვით მკვეთრად განსხვავებულ მხატვრებს? რა არის ის, რაც "ხიტას სკოლამ" მათ, როგორც მხატვრებსა და შემოქმედებს გადაულოცა და ის, რის საფუძველზეც გამოფენის ორგანიზატორებმა მათი ნამუშევრები ერთ ექსპოზიციაში გააერთიანა? იკითხავს ალბათ როგორც ამ წერილის მკითხველი, ისე გამოფენაზე მისული დამთვალიერებელი. სწორედ მათზე პასუხის გაცემა ვთხოვეთ გამოფენაზე მოსულთა შორის მყოფ ხელოვნებათმცოდნეს, ბატონ გოგი ხოშტარიას: **"ამ სამ მხატვარს აერთიანებს მაღალი დონის კულტურა. ეს არის სკოლა. მართალია, ერთი - ალექსანდრე კაკაბაძე კერამიკასა და მინაში მუშაობს, ყარამანი უფრო აბსტრაგირებისკენ მიისწრაფვის, საშა ბაგრატიონი კი უფრო ტრადიციონალი ფერმწერია, მაინც აშკარად ჩანს, რომ სამივე მხატვარი ერთი, გურამ ქუთათელაძისგან სკოლიდან მოდის... ხიტა, პირველ რიგში, იყო დაზგური მხატვრობის ოსტატი, მაღალი კულტურის, დაჯილდოებული ყველაფრით, რაც მოეთხოვება ამ მიმართულების მხატვარს. ფერის გრძნობა, შინაგანი კულტურა. მას ჰქონდა ის, რაც ქართველებს ხშირად აკლიათ. ნიჭიერება არის, მაგრამ კულტურა ნაკლებია. ეს ფაქტორი ყველა სფეროში იჩენს ხოლმე თავს."** გოგი ხოშტარია გამოფენაში მონაწილე მხატვრებისა და მათი შემოქმედების გარდა, საერთოდ საგამოფენო საქმესა და დაზგური მხატვრობის ხასიათსა და როლზე მესაუბრა. **"გამოფენა არ არის მექანიკური ჯამი სხვადასხვა მხატვრული ინდივიდებისა, თუნდაც ძალიან საინტერესოსი. ეს უნდა იყოს ერთიანი, მხატვრული კომპოზიცია, მხატვრული მთლიანობა. ექსპოზიცია - თავად უნდა იყოს ნაწარმოები. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ვის ვისთან ერთად წარმოაჩენ, შეუხამებ. შეიძლება ორი დიდი მხატვარი დაკიდო, მაგრამ გამოფენა ცუდი გამოვიდეს. ამ შემთხვევაში კარგად ჩანს საგამოფენო კულტურა, კონცეფცია, რაც საერთოდ იშვიათობაა ჩვენთან მოწყობილ გამოფენებში... არის დარგები, რომელზეც თქმა, "რა დროს ეგ არის," ცუდი ტონია. დაზგური ფერწერის დრო არ ამოიწურება. არ შეიძლება ითქვას, რომ მხატვრობის დრო აღარაა. შეიძლება გააკეთო პერფორმანსიც, აქციაც, საგნობრივი ხელოვნება და სხვა, მაგრამ დაზგური ფერწერა რჩება დაზგურ ფერწერად. ადამიანს მუდამ ექნება მოთხოვნილება, სახლში ეკიდოს კარგი სურათი. ამიტომაც ეს მიმართულება მუდმივია და, სხვათა შორის, ბევრად უფრო რთული, ვიდრე სხვა."** ბოლოს, ისე როგორც ყველა მონაწილე მხატვარმა, ბატონმა გოგიმაც მადლობა გადაუხადა რუსუდან კერვალიშვილს, ცენტრ პოინტის ერთ-ერთ მესვეურს, გალერეის გახსნის ინიციატივისთვის.

სანამ გამოფენას დავტოვებდი, მისმა ორგანიზატორმა ირინა გუნცაძემ გალერეის სამომავლო გეგმებსა და მათ ძირითად ინტერესებზეც მიამბო. მისი თქმით, გალერეის მთავარი არსი იმაში მდგომარეობს, რომ მუდამ ჩანდეს ხარისხი, გამოკვეთილი საგამოფენო კულტურა და კონცეფცია, სურთ, რომ წარმოაჩინონ ახალი და ნიჭიერი სახეები, ისინი, ვისაც არა აქვთ სტუმული და საშუალება საკუთარი შემოქმედების გამოფენისთვის. უახლოეს მომავალში ცენტრ პოინტის გალერეა და მისი ხელმძღვანელები (ირინა გუნცაძე და ლალი ყარყარაშვილი) ლია ბაგრატიონის კერამიკისა და ოლეგ ტიმჩენკოს კონცეპტუალურ გამოფენებს და სხვა მრავალ საინტერესო პროექტს გვპირდებიან.

# სისხლიანი სემი

## "სისხლიანი ბალეტის" მამა 80 წლისაა

ირაკლი მახარაძე

1995 წლის 23 მარტს ამერიკის შეერთებულ შტატებში პირველი პრემიერიდან 26 წლის შემდეგ, კინოს მოყვარულთა ახალმა თაობამ კვლავ იხილა გენიალური რეჟისორის სემ პექინპას შედევრი "ველური ბანდა". თავის დროზე ამ ვესთერნს ვიეტნამის თაობის "მოქალაქე ქეინი" შეარქვეს (ორსონ უელსის კლასიკური ფილმი). ეს იყო ნამდვილი გადატრიალება ვესთერნის ჟანრში და ალბათ, მთელ კინემატოგრაფშიც. როგორც კრიტიკოსმა პოლინ ქეილმა აღნიშნა: "სემ პექინპამ ვესთერნის ძველ ბოთლში ახალი ღვინო ჩაასხა, რომელმაც ეს ჭურჭელი გახეთქა". თავის დროზე ფილმს მოწინააღმდეგეებიც ჰყავდა: მასში ნაჩვენები უამრავი მკვლელობითა და ძალადობით შეძრწუნებულმა კინომცოდნე ჯუდი ქრისთიმ პექინპას ვესთერნს 1969 წლის ყველაზე ცუდი ფილმი უწოდა, რაზეც რეჟისორმა, რომელიც უპასუხოდ არავის ტოვებდა, თქვა: "კაცის კვლა არ არის სუფთა, სწრაფი და ადვილი რამ - ეს სისხლიანი და საშინელი საქმეა. ფილმის ნახვის შემდეგ რამდენიმე ადამიანიც თუკი მიხვდა, რომ კაცის კვლა არ არის გართობა და თამაში, ესე იგი რაღაცას მივაღწიე... "ველური ბანდა" ეს იყო ჩემი პასუხი, ჩემი რეაქცია ყველა იმ ფილმის მიმართ, სადაც ძალადობა არის იოლი, არაბუნებრივი და არარეალური".

პექინპა არ ადიდებდა ძალადობას, იგი მოგვითხრობდა ისტორიებს ადამიანებზე, რომელთაც სახელი გაითქვეს ძალადობის კეთებით. ამასთან იგი აცნობიერებდა, რომ ე.წ. "რაპიდ" კამერისა და მისთვის დამახასიათებელი მონტაჟით ამ ძალადობას ერთგვარ სიკოხტავესა და ელეგანტურობას ანიჭებდა. იგი ბრძოლისა და მოკვლის სცენებს მომაჯადოებელსა და მომხიბვლელს ხდიდა. ასე ამგვარად რეჟისორი მაყურებელს გაორებულ პოზიციაში ტოვებდა - ერთი მხრივ, იწვევდა აღგზნებას და მეორე მხრივ კი - უარყოფით რეაქციას.

სემ პექინპამ სულ 13 ფილმი გადაიღო, უმთავრესად ვესთერნები. ეს არც თუ ისე ბევრია, მაგრამ დღემდე პექინპა ამერიკული კინოს ყველაზე საკამათო რეჟისორად ითვლება. "ველური ბანდისა" და "ჩალის ძაღლების" შემდეგ მისი შემოქმედება ეკრანზე სასტიკი და ამავე დროს მშვენიერი ძალადობის სინონიმი გახდა და მას საეჭვო მეტსახელი "სისხლიანი" სემი მოუტანა. ბალეტისმაგვარი - ეს ტერმინია, რომელსაც ხშირად იყენებენ მისი ვიზუალური სტილის აღსაწერად (კინომცოდნე ჯიმ ქითსისმა "ველურ ბანდას" სისხლიანი ბალეტი უწოდა). დევიდ უედლი კი წერდა, რომ მის ფილმებში, განსაკუთრებით კი "ველურ ბანდაში" ჩვენ ვხვდებით მონტაჟის ხელოვნების ყველაზე უფრო შემოქმედებით გამოყენებას სერგეი ეიზენშტეინის "პოტიომკინის" შემდეგ. პექინპამ სამუდამოდ შეცვალა ფილმების კეთების გზა და მეთოდი. კამათი და დისკუსია, რომელიც ტრიალებდა მის მიერ ნაჩვენები ძალადობის ახსნა-განმარტებისთვის, ხშირად ჩრდილავდა მის მიღწევებს კინოში. მას ჰყავდა დამცველები და თაყვანისმცემლები, მაგრამ 1984 წელს, რეჟისორის გარდაცვალების შემდეგ, მისი შემოქმედება და სახელი ჩაიკარგა წყვდიადში და ასე გაგრძელდა ათი წელი. იმ პერიოდში ბევრისთვის, კინომცოდნე იქნებოდა თუ სტუდენტი, პექინპა თითქოს არც არსებობდა. მაგრამ 1995 წელს "ველური ბანდის" ხელახალ გამოსვლას მოჰყვა მხურვალე რეცენზიები და სტატიები პოპულარულ პრესაში. ერთმა ჟურნალმა გამოაქვეყნა სტატია სათაურით "ბრწყინვალე სისხლიანი კლასიკის" დაბრუნება. ზედიზედ გამოვიდა რამდენიმე წიგნი და მოხდა პექინპას ისეთი აღზევება და პოპულარულობა, რაც მას სიცოცხლეში არც კი ღირსებია. ალბათ, ამერიკულ კინოში 30 წლის მანძილზე ასეთი სიძლიერის ფილმი არც შექმნილა, აღნიშნავდნენ ექსპერტები. მაიქლ სრაგოუ ასე ახასიათებს ამ ხელოვანს - პექინპა არის ამერიკული კინოს ყველაზე მამაცი, ყველაზე ნიჭიერი, ყველაზე მოუსვენარი და გატანჯული პოეტი. როგორც ხშირად ხდება ხოლმე, მეამბოხეები უყვარდებათ მხოლოდ მათი სიკვდილის შემდეგ, პატიობენ რა მათ ყველა შეცდომებს და თავზეხელაღებულ ქცევებს, რადგან იციან, რომ ისინი ველარაფერს ჩაიდენენ.



სტივ მაქქვინი, ალი მაკ გროუ და სემ პეკინპა.



სემ პეკინპა.



"ჩალის ძაღლები".



"ველური ბანდა".

21 თებერვალს სემუელ დეივიდ პექინპა 80 წლის გახდებოდა. იგი დაიბადა სამხრეთ კალიფორნიაში. მის ოჯახში თითქმის ყველა მამაკაცს იურიდიული განათლება ჰქონდა მიღებული; მისი პაპა ცნობილი მოსამართლე და კონგრესმენი გახლდათ.

სამხედრო სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ სემ პექინპამ თეატრსა და ტელევიზიაში დაიწყო მუშაობა. ერთ-ერთი სატელევიზიო არხიდან სემი მხოლოდ იმიტომ დაითხოვეს, რომ ცნობილი პიანისტის, ლიბერაჩის შოუზე კოსტიუმი არ ჩაიცვა. ცოტა ხანში იგი ცნობილ რეჟისორს დონ სიგელს შეხვდა, რომელთანაც ასისტენტად დაიწყო მუშაობა. შემდგომში პექინპა სიგელს თავის მასწავლებელს ეძახდა.

კარიერის დასაწყისში პექინპამ სატელევიზიო ვესთერნების შექმნით გაითქვა სახელი, მომავალმა რეჟისორმა ბევრი გახმაურებული სერიალის სცენარი დაწერა. მისი ნამუშევრებით დაინტერესებულმა პროდიუსერებმა პექინპას სადებიუტო მხატვრული ფილმის გადაღების საშუალება მისცეს. "სასიკვდილო კომპანიონები" - ასე ერქვა პირველ ფილმს, მაგრამ პირველი დიდი წარმატება მის მეორე ვესთერნს "გააჭენე მთიან მხარეში" ხვდა წილად. იმ სუფთა და გაწკრიალებული ვესთერნების ნაცვლად, რომელსაც მაყურებელი იყო მიჩვეული, პექინპამ პირველმა, სერჯიო ლეონესთან ერთად, აჩვენა ვისკითა და ოფლით გაჟღენთილი "ველური დასავლეთი". ეფექტი შოკისმომგვრელი აღმოჩნდა. საინტერესოა, რომ ამ ორ დიდ ხელოვანს სურდათ ეთანამშრომლათ. ლეონეს როგორც პროდიუსერსა და პექინპას კი რეჟისორს. სამწუხაროდ, ამ ჩანაფიქრს განხორციელება არ ეწერა.

მისი შემდეგი 1965 წელს გადაღებული ფილმი "მაიორი დანდი" პროდიუსერებმა ისე დაჩეხეს, რომ პექინპამ ავტორობაზე უარი განაცხადა. უნდა ითქვას, რომ მთელი სიცოცხლის მანძილზე, ხელოვანს პროდიუსერებთან და სტუდიებთან ნამდვილი ომი ჰქონდა გაჩაღებული. სტუდიები ყასბებივით ექცეოდნენ მის ნამუშევრებს, მეამბოხე რეჟისორი კი დათმობაზე არ მიდიოდა, ამის გამო მას ისევ ტელევიზიაში მოუხდა დაბრუნება.

1969 წელს, ოთხწლიანი დუმილის შემდეგ, პექინპა "ველური ბანდით" ტრიუმფით დაუბრუნდა დიდ ეკრანს. "ველურ ბანდაში" ცხენებმა ავტომობილს დაუთმეს გზა, კოლტებმა ტყვიამფრქვევს, მარტოხელა გმირმა კი თავზეხელაღებულ ბანდიტებს, რომელთაც დაქირავებული ნაძირალების ბანდა დასდევს.

სემ პექინპა იყო ვესთერნის ჟანრის ერთ-ერთი ნოვატორი: თუ ჯონ ფორდი თავის ფილმებში ჰქმნიდა რომანტიკულ რეალიზმს, სერჯიო ლეონე გროტესკულ აბსტრაქციას, პექინპას სტილს შეიძლება დოკუმენტალური სინამდვილე ვუწოდოთ. ხშირად ძველი თაობის რეჟისორთა ნამუშევრებში ფილმის მთავარი გმირები თითქმის უმსხვერპლოდ ამარცხებენ მტერს და შემდეგ ისინი მორალური აღორძინებისა და განწმენდისაკენ მიდიან. პექინპასთან კი გამარჯვება, თვითგანწმენდა და ინდივიდის მორალური თვითგამოღვიძება შეუძლებელია ეკლიანი გზის გაუვლელად, სისხლიანი მსხვერპლის გაუღებლად, რომლის შედეგადაც გმირი (ან გმირები) იღუპება, მაგრამ მარტო ამ შემთხვევაში შეიძლება ის გათავისუფლდეს ცოდვებისაგან. პექინპას გმირებს ამსგავსებენ იაპონელ სამურაებს თავიანთი ბუსიდოს კანონებით, რომელთაგან ერთი ღაღადებს - სამურაის მარტოობა წააგავს ვეფხვის მარტოობას ჯუნგლებში. "ველური ბანდის" წევრები დაკნინებული "ველური" დასავლეთის ბანდიტები არიან, რომელთაც არ ძალუძთ დროსთან ერთად შეცვლა. ბანდის ლიდერი ფაიქ ბიშოპი (უილიამ ჰოლდენი) ამბობდა - "ჩვენ უნდა დავიწყოთ ფიქრი იარაღის გარშე, უნდა ვიცხოვროთ იარაღის გარეშე..." მაგრამ ეს მათ არ ძალუძთ და ისინი ასევე იარაღისაგან იღუპებიან. პექინპას რომ გადაეღო "მიუტევებელი", არავითარ ჰეპი ენდზე საუბარი არ იქნებოდა და ქლინთ ისთვუდის გმირს საცერივით დაცხრილავდნენ...

პექინპა სასტიკი რეალისტია, მის ფილმებში არ არის აბსტრაქციული ნიღბები, ბოროტება და სიკეთე მასთან ძალზე კონკრეტულია. მისი გმირები ებრძვიან და უპირისპირდებიან ძალადობით აღსავსე სამყაროს, ებრძვიან კონკრეტულ მტერს: მექსიკელ ჯარისკაცებს, დაქირავებულ მკვლელებს თუ საიდუმლო სამსახურს. რაც მთავარია, პექინპას გმირები ებრძვიან ყველაზე დაუნდობელ მტერს, რომელიც თითოეულ გმირშია საკუთარი დემონების სახით.

პექინპას საფირმო ნიშანია მისი მონტაჟი-ნაგლეჯი, სწრაფი და მტკივნეული როგორც ჭრილობები, საიდანაც ჩქეფს ზღვა სისხლი და მისი ეს სტილი ტირაჟირებულია მთელ მსოფლიოში. საჭირო ეფექტისათვის რომ მიეღწია პექინპა ექსპერიმენტებს ატარებდა - დიდი ზომის კაფსულებში მოთავსებული იყო სისხლი და უმი ხორცის ნაჭრები. ამას ყველაფერს მსახიობებს უმაგრებდნენ სხეულის ორივე მხარეს, რათა შექმნილიყო გამჭოლი ჭრილობის ეფექტი. პექინპა ხშირად, მსახიობებს კაფსულები სხეულზე ყველანაირი დაცვის გარეშე უმაგრდებოდათ (ჩვეულებრივ მის ქვეშ უკეთებენ ქეჩას ან რაიმე რბილ ქსოვილს, რათა მსახიობისთვის მტკივნეული არ იყოს). როცა კაფსულა სკდებოდა, მსახიობი ამ დარტყმას რეალურად (მტკივნეულად) გრძნობდა და ტყვიის მოხვედრის ეფექტი რეალურს ემსგავსებოდა. ვისაც უნახავს "ველური ბანდა", ვერასოდეს დაივიწყებს ფინალურ ეპიზოდს, როდესაც ბანდის ოთხი წევრი მექსიკელ ჯარისკაცთა გარნიზონის შუაგულში მიდის ამხანაგის გადასარჩენად, რომელსაც სხვათაშორის "ანგელოზი" ჰქვია. იწყება წარმოუდგენელი ხოცვა-ჟლეტა, რომელიც ხუთ წუთზე მეტ ხანს გრძელდება. მკვლელი და ნაძირალა ბანდის წევრები გმირული სიკვდილით იხოცებიან - ისინი მეგობრობას ეწირებიან. ფილმის გამოსვლის რამდენიმე ხნის შემდეგ ნიგერიაში "ველურ ბანდის" ყურებისას ჯარისკაცებმა იარაღიდან სროლა ატეხეს ეკრანის მიმართულებით და გაჰყვიროდნენ, რომ მათ სურდათ ბრძოლაში ისეთივე გმირული სიკვდილი, როგორც დაიღუპნენ ბანდის წევრები. "ეს ამბავი როცა გავიგე, გული ამერია, მხოლოდ იმიტომ რომ, ეს ფილმი ჩემი გაკეთებულია" - ამბობდა რეჟისორი.

პექინპა კრიტიკოსებისა და ჟურნალისტებისაგან განსხვავებით, რომლებიც საოცარი აჟიოტაჟით ავრცელებდნენ მისი ცხოვრების სკანდალურ და უცნაურ ფაქტებს, ყოველთვის აცხადებდა, რომ იგი ცხოვრობდა კანონმორჩილი ცხოვრებით, რომ მორალსა და კანონს, კაცობას და ადამიანურობას ის ყველაზე მაღლა აყენებდა. გავიხსენოთ დასთინ ჰოფმანის გმირი, დეივიდ სამნერი "ჩალის ძაღლებიდან" - იგი ხომ ითხოვდა სამართლიან სასამართლოს და წინ აღუდგა ბრმა მართლმსაჯულებას (სისხლის აღებას), როდესაც გამოექომაგა (და ამის გამო კინაღამ დაიღუპა) სოფლის სულელს, რომელმაც შემთხვევით გოგონა დაახრჩო. მხოლოდ ცინიკური და უზნეო ადამიანი ნახავს ჰოფმანის გმირის ქცევასა და მოტივებში ძალადობის გამოვლინების წყურვილსა და კომპლექსს.

სემ პექინპას ფილმის გმირები თითქმის ყოველთვის შუა ხნის მამაკაცები იყვნენ - ჯოელ მაქკრი, რენდოლფ სქოთი, ჩარლთონ ჰესთონი, უილიამ ჰოლდენი, რობერტ რაიანი, ჯეისონ რობარდსი, სთივ მაქქვინი, ჯეიმს ქობერნი და სხვა. თავისი გმირების მსგავსად, პექინპა საშინელი მსმელი, მოჩხუბარი და ქალების დიდი მუსუსი იყო, ერთდროულად "ლურსმანი უკანალში და გენიოსი". ჯეიმს ქობერნმა ერთხელ მის შესახებ თქვა: "სემი თავისი თავის პირველი მტერია. დღეში 3-4 საათი იგი ნამდვილი გენიოსია, დანარჩენ დროს კი იმ პექინპას ლანდია, რომელიც ცოტა ხნის წინ გენიოსი იყო."

ვესთერნის თემა მის თანამედროვე თემებზე შექმნილ ფილმებშიც კარგად იგრძნობა: "ახალგაზრდა ბონერი" და "გაქცევა" სთივ მაქქვინით მთვარ როლში, "ბადრაგი" და ბრწყინვალე ნიჰილისტური დრამა "მომიტანეთ ალფრედო გარსიას თავი", აგრეთვე "რკინის ჯვარი", რომელსაც ორსონ უელსმა ომის თემაზე შექმნილი საუკეთესო ფილმი უწოდა.

სემ პექინპა 1984 წლის 28 დეკემბერს გარდაიცვალა. მისი უკანასკნელი ფილმი "ოსთერმანის უიქენდი" უდიდესი ხელოვანის ნაღვლიანი გამომშვიდობებაა კინემატოგრაფთან. საბედნიეროდ, კინოისტორიას შემორჩა მისი ბრწყინვალე ფილმები, რომელთა პერსონაჟებს ბევრი ბორხესის გმირებსაც კი ადარებს.


ისარგებლეთ ლაი·ლაით & იკითხეთ 24 საათი

1 აქციაში მონაწილეობის მიღება შეუძლია „24 საათი“-ს ყველა მკითხველს

2 შეაგროვეთ სამი ქვემოთ მონიშნული კუპონი და მიიღეთ საჩუქრად ლაი-ლაის სიმ-ბარათი

3 კუპონები ამოჭერით მითითებულ ადგილას და შეაგროვეთ ისე, რომ დაკომპლექტდეს ნუმერაცია 1, 2, 3 (მნიშვნელობა არ აქვს რომელი თარიღის გაზეთიდანაა ამოჭრილი კუპონი).

4 კუპონები წარმოადგინეთ ჯეოსელის თბილისისა და რეგიონების სარეალიზაციო წერტილებში ან სადილერო ქსელში. თქვენ იხდით 10 ლარს ისევ თქვენი სასაუბრო დროისთვის და იღებთ ლაი-ლაის სრულ სასტარტო პაკეტს (ლაი-ლაის სიმ-ბარათი + 10 ლარის ღირებულების სასაუბრო დრო)

| ქალაქი | მისამართი |
|---|---|
| თბილისი | რუსთაველის გამზ. №38 |
| | კოსტავას №37 |
| | ბაქოს №2 |
| | შეშელიძის №3 |
| | ჯავახეთის №44 |
| | ქ. წამებულის გამზ. №75 |
| | კინოთეატრი "რუსთაველი" |
| | გამსახურდიას გამზ. №24 |
| | რუსთაველის გამზ. №31 |
| | მარჯანიშვილის №19 |
| | წერეთლის გამზ. №141ა |
| | ყაზბეგის გამზ. №41 |
| | მ.კოსტავას №22 |
| | მ.კოსტავას №7 |
| ზესტაფონი | ჭანტურიას № 2 |
| ქუთაისი | თამარ მეფის №25 |
| სამტრედია | რუსთაველის № 27 |
| სენაკი | რუსთაველის № 211 |
| ზუგდიდი | კოსტავას №5ა |
| ხობი | დადიანის № 238 |
| ფოთი | 26 მაისის № 2 |
| ბათუმი | ერას №54/62 |
| ქობულეთი | ალმაშენებლის №135 |
| ოზურგეთი | ჭავჭავაძის № 6 |
| ჩოხატაური | დუმბაძის №7 |
| ლანჩხუთი | თავისუფლების №2 |
| რუსთავი | ხალხთა მეგობრობის №10 |
| მარნეული | რუსთაველის №37 |
| ბოლნისი | ს.-ს. ორბელიანის № 44 |
| თელავი | კოსტავას № 3 |
| ყვარელი | ილია ჭავჭავაძის №64 |
| ლაგოდეხი | 26 მაისის №14 |
| წნორი | სტალინის №11 |
| დედოფლისწყარო | რუსთაველის № 4 |
| მცხეთა | სამხედროს №11 |
| კასპი | სტალინის №98 |
| გორი | სტალინის №15 |
| ცხინვალი | ცელნიკოვის №211/39 |
| ხაშური | რუსთაველის №16 |
| ბორჯომი | რუსთაველის № 121 |
| ახალციხე | ნათენაძის № 76 |
| ახალქალაქი | კლარა ცეტკინის №77 |

აქცია ძალაშია: 2005 წლის 1 თებერვლიდან 1 აპრილამდე.

კუპონების განაღდება შესაძლებელია: 2005 წლის 15 აპრილამდე.

სიმ-ბარათის აქტივაციის ბოლო ვადაა: 2005 წლის 30 აპრილი.

ინფოთეკა

## სავიოლას "ბარსელონაში" დაბრუნება უნდა

არგენტინელი ფეხბურთელი ხავიერ სავიოლა "ბარსელონას" ძირითად შემადგენლობაში დაბრუნებას გეგმავს. ესპანურმა კლუბმა იგი მიმდინარე სეზონის დაწყებამდე იჯარით გადასცა "მონაკოს". გასულ ზაფხულს გუნდში სამუელ ეტო`ოს გამოჩენის შემდეგ სავიოლა იძულებული გახდა, "ბარსა" დაეტოვებინა.

"ბარსელონა" ჩემი საყვარელი გუნდია და ბოლომდე ასეთად დარჩება. მე მას ვეკუთვნი. ამიტომ სწორედ მის შემადგენლობაში მინდა დავბრუნდე ამ ზაფხულს. "ვილიარეალში" გადასვლა ან "მონაკოში" დაბრუნება ჩემს გეგმებში არ შედის. "ბარსელონას" გარდა, რომელიმე სხვა კლუბზე ფიქრიც კი არ მინდა," - განაცხადა ფეხბურთელმა.

## კანიჯა ფეხბურთიდან მიდის

ცნობილმა არგენტინელმა ფორვარდმა კლაუდიო კანიჯამ დიდი ფეხბურთიდან წასვლა გადაწყვიტა.

"მიუხედავად იმისა, რომ კვლავაც საუკეთესო ფორმაში ვარ, ფეხბურთიდან მაინც მივდივარ", - განუცხადა სპორტსმენმა მშობლიური ბუენოს-აირესის ერთ-ერთ რადიოსადგურს.

კანიჯამ ფეხბურთელის კარიერა დაიწყო არგენტინულ კლუბ "რივერ პლეიტში", სადაც 18 წელი დაჰყო. 1988 წელს იტალიაში გადავიდა. გამოდიოდა "ვერონაში", "ატალანტასა" და "რომაში", ასევე ევროპულ გუნდებში "ბენფიკაში" (პორტუგალია), "დანდი იუნაიტედში" და "რეინჯერსში" (შოტლანდია). შოტლანდიის შემდეგ კანიჯამ ერთხანს კატარშიც ითამაშა, შემდეგ კი სამშობლოში დაბრუნდა.

ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში ყოფნის 15 წლის მანძილზე 38 წლის ფეხბურთელმა 50 მატჩში მიიღო მონაწილეობა, მოწინააღმდეგის კარი კი 16-ჯერ აიღო. 1993 წელს ნარკოტიკების მოხმარების გამო ცამეტთვიანი დისკვალიფიკაცია მისცეს. ქვეყნის ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის გახსნამდე დაბრუნდა. თუმცა, ჩემპიონატის დროს თითი მოიტეხა და მშობლიურ გუნდს ველარ დაეხმარა.

## "იუვენტუსის" ფეხბურთელები ავადმყოფობენ

უეფას ოფიციალური საიტის ინფორმაციით, "იუვენტუსის" ნახევარმცველი პაველ ნედვედი გამოტოვებს ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალურ მატჩს, სადაც იტალიურ გუნდს მადრიდის "რეალი" გაუწევს მეტოქეობას. იტყობინებიან, რომ ჩეხმა ფეხბურთელმა ვერა და ვერ მოიშუშა მუხლის ტრავმა.

32 წლის ნედვედმა ეს ტრავმა იანვარში "ბრეშასთან" მატჩში მიიღო. "იუვენტუსის" ექიმესა იმედი ჰქონდათ, რომ ფეხბურთელი უკვე "რეალთან" თამაშის დროს გამოჯანმრთელებული იქნებოდა, თუმცა, გუშინწინ გუნდის მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ განაცხადა, რომ ძალიან მცირე შანსია იმისა, რომ ჩეხი ამ მატჩისთვის ჩვეულ ფორმაში იყოს.

"ნედვედი ვერ დაგვეხმარა "მესინასთან" შეხვედრისას. ახლა კი საკითხავია, ითამაშებს თუ არა "სამეფო გუნდის" წინააღმდეგ შეხვედრაში. სავარაუდოდ, ფეხბურთელი ჩვენთან ერთად გაფრინდება მადრიდში. იქ გადავწყვეტთ, მოახერხებს თუ არა, თუნდაც ძალიან მცირე ხნით, მოედანზე გასვლას".

სხვათა შორის, "იუვენტუსის" ფრანგმა თავდამსხმელმა დავიდ ტრეზეგემაც გამოტოვა მატჩი "მესინასთან" გრიპის გამო. თუმცა, "რეალთან" შეხვედრის დროს უკვე ფორმაში უნდა იყოს.

"იმედი გვაქვს, ტრეზეგე ესპანურ კლუბთან დუელში მიიღებს მონაწილეობას", - აღნიშნა კაპელომ.

## ჰარგრივზის ყიდვა ინგლისურ კლუბს უნდა

მიუნხენის "ბავარიას" ნახევარმცველი ოუენ ჰარგრივზი, შესაძლოა, მიმდინარე სეზონის დასასრულს ლონდონის "არსენალში" გადავიდეს. "Tribalfootball"-ის ცნობით, ინგლისური კლუბის მთავარმა მწვრთნელმა ჯერ კიდევ შარშან ზაფხულს მიმართა "ბავარიას" ხელმძღვანელობას ფეხბურთელის ყიდვის შესახებ.

ფეხბურთი

# არიგო საკი: "რეალში" ჩემი ადგილი ვიპოვე"



არიგო საკი: "მადრიდის "რეალი" მხოლოდ მუშაობის პროცესშია".

არიგო საკი მადრიდის "რეალში" თავს ბედნიერად გრძნობს. იტალიელმა სპეციალისტმა აღიარა, რომ მან კლუბში თავისი ადგილი იპოვა, რომ გუნდის საქმისადმი დამოკიდებულება მოსწონს და უაღრესად კმაყოფილია ვანდერლეი ლუშემბურგოს საქმიანობით. იტალიური პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში საკი "სამეფო კლუბში" თავისი მოღვაწეობის შესახებ გვიამბობს.

**"რეალის" საფეხბურთო დირექტორის თანამდებობაზე საქმიანობის შესახებ**

"მე კმაყოფილი ვარ ჩემი ახალი მისიით. შემიძლია დავადასტურო, რომ სამწვრთნელო საქმიანობას აღარ დავუბრუნდები, რადგან მადრიდში ჩემი ადგილი ვნახე".

**გუნდური პროგრესი**

"კლუბი მწვრთნელითა და ფეხბურთელებით კმაყოფილია. თვეზე ნაკლებ დროში ჩვენ შესამჩნევ პროგრესს მივაღწიეთ და ოპტიმალურ დონეზე თამაშს ვიწყებთ. თუმცა, სიფრთხილე გვმართებს, რადგან მადრიდის "რეალი" მხოლოდ მუშაობის პროცესშია. შესანიშნავი ფეხბურთელების ჯგუფი ნამდვილ გუნდად ფორმირდება".

**მადრიდის "რეალი" ვეტერანების გუნდია?**

"რეალი" თავისი ციკლის დასრულების პროცესში არ არის. ციკლი მაშინ მთავრდება, როცა მოტივაცია ქრება. აქ ფეხბურთელთა ასაკი არაფერ შუაშია. მე ვიცნობ ფეხბურთელებს, რომლებიც 36 წლის ასაკში უმაღლეს სპორტულ ფორმაში არიან. მაგალითად, პაოლო მალდინი ან ალესანდრო კოსტაკურტა, რომელიც ამჟამად 38 წლისაა. ყველაფერი თავად ფეხბურთელზეა დამოკიდებული. იმაზე, თუ როგორ უვლიან ისინი თავს. კლუბმა კი ასეთი ფეხბურთელები უბრალოდ უნდა შეინარჩუნოს. წვრთნის ისეთი მეთოდების პირობებში, როგორიც დღეს არსებობს, ისეთი ფიზიკური მომზადებით და კვების რაციონით ძალიან დიდხანს შეიძლება თამაში".

**ზინედინ ზიდანი**

"32 წლის ასაკში ზიდანი კვლავ ზრდის პროცესს განიცდის. ეს პროფესიონალიზმის მაგალითია და ფეხბურთის გენიის მკაფიო გამოვლინება".

**რონალდო**

"უსიმპათიურესი ადამიანი და ნამდვილი ფენომენია. მის შემართებას მსოფლიოში ანალოგი არ მოეძებნება".

**დევიდ ბექჰემი**

"მე მისი პიროვნება წარმომიდგინეს, როგორც აბსტრაქტული და მიუდგომელი ადამიანი, მაგრამ ყველაფერი პირიქით აღმოჩნდა. ის თავმდაბლობის განსახიერებაა, უბრალო და ბრიტანული კეთილშობილებით შემკული ადამიანი. გუნდზე მისი წარმოდგენა კი უბრალოდ ფენომენალურია".

**რაული**

"27 წლის ასაკში ის ტომის ნამდვილი ბელადია. მხოლოდ ერთ რჩევას მივცემდი: ვარჯიშზე იმაზე მეტი მუშაობაა საჭირო, ვიდრე შესაძლებელია".

**"იუვენტუსთან" დაპირისპირება**

"მე დიდ ფულს გადავიხდიდი იმაში, რომ მცოდნოდა, ამ მატჩში რა მოხდება. ჩვენ ერთი უპირატესობა გვაქვს: უნიკალური კლუბის ისტორია, ფინანსური რესურსები და საკუთარი მინდვრის დახმარება. თუმცა, "იუვენტუსიც" ყველასთვის მისაბაძი მაგალითია. ანიელის ოჯახმა კლუბს მემკვიდრეობითობა მიანიჭა, ხოლო მოჯის, ჯირაუდოსა და ბეტაგალეს მსგავსმა ხელმძღვანელებმა გუნდს კონკურენტუნარიანობა შესძინა. "იუვენტუსისგან" ბევრი რამის სწავლა შეიძლება. რაც უფრო დაჭრილია კლუბი, მით უფრო სახიფათოა იგი. თავისი ისტორიის, ფეხბურთელთა ინდივიდუალური და კოლექტიური თამაშის ხარისხის დონითა და ფაბიო კაპელოს განსწავლულობის გამო ის ყველაზე სახიფათო მეტოქეა. მათ სწრაფ თამაშს შეუძლია, უამრავი პრობლემა შეგვიქმნას. თუმცა, თუ "რეალი" კიდევ უფრო დიდ პროგრესს მიაღწევს, მაშინ ყველა მეტოქეს შიშის ზარს დასცემს".

**ფაბიო კაპელო**

"მას მუშაობის საკუთარი სტილი აქვს. გუნდის თამაშის განსაკუთრებული მანერა, რომელიც პატივისცემას იმსახურებს. თუმცა, ეს ის ფეხბურთი არ არის, რომლის თამაშიც ჩვენ გვსურს".

**მარიანო გარსია რემონის გათავისუფლება**

"სიმართლე გითხრათ, გარსია რემონი ჩემთვის მწვრთნელის ოპტიმალური ვარიანტი იყო. მან იცის ფიქრი და იცის რწმენა. მაგრამ შემდეგ "სევილიასთან" დავმარცხდით და "ბარსელონასთან" ქულების დეფიციტმა 13 შეადგინა. 11 თვის განმავლობაში ჩვენ მატჩების თითქმის ნახევარი მოვიგეთ. ამიტომ აუცილებელი იყო რადიკალური ცვლილებები".

**ვანდერლეი ლუშემბურგოს მოსვლა**

"როცა ახალი მწვრთნელის მოწვევის საკითხი დადგა, ფლორენტინო პერესმა მითხრა: "თქვენ თვითონ გადაწყვიტეთ". მანამდე, რამდენიმე დღით ადრე ბრაზილიაში ვიყავი და ლუშემბურგოს შესახებ ოპტიმალურ ინფორმაციას მოვუყარე თავი. ჩემში თითქოს ნათურა აინთო და საკუთარ თავს ვკითხე: "ის? რატომაც არა?" ითქვა და გაკეთდა. მე მომწონს მისი მუშაობის სტილი. მისი გვარი პირველი იყო იმ ნუსხაში, რომელიც პრეზიდენტს წარვუდგინე. და ჩვენ ამჟამად მისით უაღრესად კმაყოფილნი გახლავართ. ის ერთ-ერთი საუკეთესოა იმ მწვრთნელთა შორის, რომელიც ოდესმე მინახავს. ფეხბურთელებმა მწვრთნელს მიანიშნეს, რომ მთლიანად მის განკარგულებაში არიან. ისინი კარგი ადამიანები არიან. მათ გაიგეს მწვრთნელის თხოვნა და ახლა ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ჯერჯერობით კვლავ გამარჯვებულებად რჩებიან".

**ახალი შენაძენები**

"ამჟამად აწმყოზე ვართ კონცენტრირებულნი. ჩვენ საშინელი თვე გველოდება. წინ ექვსი ურთულესი მატჩი გვაქვს გასამართი. ამ მინი-ციკლის ბოლოს ჩვენ მადრიდის "რეალის" შესახებ ცოტათი მეტს შევიტყობთ და მომავალზეც ამის შემდეგ დავიწყებთ ფიქრს".

# მორწმუნე მაკელელე



მადრიდის "რეალის" შემადგენლობაში კლოდ მაკელელეს "ბარსელონას" წინააღმდეგ ხშირად უთამაშია.

ზაირში დაბადებული ინგლისური "ჩელსის" ნახევარმცველი კლოდ მაკელელე "ადამიანი გამარჯვებულის ფსიქოლოგიით" ცნების განსახიერებაა. 1994-1995 წლებში ფეხბურთელმა "ბრესტის" ახალგაზრდული აკადემია დაამთავრა და "ნანტის" შემადგენლობაში საფრანგეთის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. შემდეგ მაკელელე მარსელის "ოლიმპიკისა" და ესპანეთის "სელტას" ღირსებას იცავდა. 2001-2002 წლებში კი მადრიდის "რეალს" ჩემპიონთა ლიგის მოგებაში დაეხმარა.

თუმცა, 31 წლის მაკელელე არც მალავს, რომ გასული წლების წარმატებებმა ვერ დააკმაყოფილა გამარჯვებების უზარმაზარი ჟინი, რომელსაც ფეხბურთელი განიცდის. "ყოველ წელს საკუთარ თავს ახალ ამოცანას ვუსახავ, - განაცხადა ლონდონის "ჩელსის" ჰავბეკმა, - ჩემი მადა მუდმივად იზრდება. ამიტომ ყოველ წელს მიზანი სულ უფრო მაღალია".

მაკელელე ლონდონურ კლუბში ორი წლის წინათ გადაბარგდა და წელს მისი კლუბი ერთბაშად ოთხი ტიტულის მოგებისთვის იბრძვის. ინგლისის ჩემპიონატი, ქვეყნის თასი, ლიგის თასი და უეფას ჩემპიონთა ლიგა. ამდენი თამაში ნებისმიერი პროფესიონალისთვის მეტისმეტი იქნებოდა, მაგრამ მაკელელე აცხადებს, რომ მას არ ჰყოფნის მისი საყვარელი თამაში.

"ფეხბურთი ჩემი არსებაა, ჩემი სამუშაო და ჩემი ცხოვრება, - ამბობს აფრიკული წარმოშობის ფრანგი, - მთელი ჩემი ცხოვრება სპორტის ამ სახეობას ეძღვნება. ძილშიც კი საფეხბურთო სიზმრები მელანდება. როცა ჩემს მეგობრებთან ერთად ვსადილობ, ჩემს საყვარელ თამაშზე ფიქრები მაშინაც კი არ მასვენებს. მეტიც, როცა მეუღლესა და ბავშვებთან ვისვენებ, მაშინაც კი ფეხბურთზე ვფიქრობ".

საყვარელი საქმისადმი ერთგულება მაკელელეს ყოველ მოძრაობაში იგრძნობა, როცა ის მოედანზეა. ფრანგმა, რომელიც საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე თამაშობს, დიდი ძალისხმევის გარეშე ჩარაზა ის ვაკუუმი, რომელიც "ჩელსიდან" მარსელ დესაის წასვლის შემდეგ წარმოიშვა. ამის გამო კლოდ მაკელელე აუცილებლად იქნება წამყვანი ფეხბურთელი ჟოზე მოურინიოს გუნდში, როცა ინგლისელები ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში კატალონიურ "ბარსელონას" დაუპირისპირდებიან.

უეფას ჩემპიონთა თასი მაკელელესთვის უმთავრეს პრიორიტეტად რჩება, მაგრამ ის აღიარებს, რომ კონკურენცია ჩემპიონთა ლიგაში ყოველწლიურად სულ უფრო მზარდი და მკაცრია. "რაღაც პერიოდში ევროპაში მუდმივად იყო ოთხი-ხუთი კლუბი, რომელიც ყოველწლიურად ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალამდე აღწევდა და ერთმანეთს ხვდებოდა, - მიიჩნევს მაკელელე, - ბოლო დროს კი ბევრი კლუბი სერიოზულად გაძლიერდა და ტურნირიც სულ უფრო ამოუცნობი გახდა".

როცა 2001-2002 წლების სეზონის ჩემპიონთა ლიგის ფინალში მაკელელე "რეალის" შემადგენლობაში ლევერკუზენის "ბაიერის" წინააღმდეგ სათამაშოდ გავიდა, ის თავისი გუნდის გამარჯვებაში დარწმუნებული იყო. "როგორც კი გლაზგოს სტადიონის გაზონზე გავედით, მე ზინედინ ზიდანს გადავხედე, - იხსენებს ნახევარმცველი, - ჩვენ ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებისთვის განკუთვნილი ჯილდო შევნიშნეთ და ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად ერთმანეთს ვუთხარით: "ო, ეს ჩვენთვისაა!" ჩვენი პირით ზედმეტი ახირება და თავდაჯერებულობა კი არა, საკუთარი ძალების დიდი რწმენა ლაპარაკობდა. სხვაგვარად არც შეიძლება ყოფილიყო. "რეალი" ვალდებული იყო, ფინალი მოეგო. ჩვენ იმის წარმოდგენაც კი გვიჭირდა, რომ ჩემპიონთა ლიგის თასი შეიძლებოდა ლევერკუზენელების საკუთრება გამხდარიყო," - ამბობს ლონდონის "ჩელსის" ფეხბურთელი.

მას შემდეგ მაკელელეს ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა. თუმცა, ფრანგი ამტკიცებს, რომ "ჩელსის" გასახდელშიც იგივე ატმოსფეროა, რაც მადრიდის "რეალში". "ჩვენი გუნდი ერთი მთლიანი ორგანიზმია, - ამბობს საფრანგეთის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი, - ყველა შეტევაში ერთვება და პირიქით, ყველა მონაწილეობს კარის დაცვისას. ამით ყველა დიდ სიამოვნებას იღებს".

ნიშნავს თუ არა ეს, რომ ივნისისთვის "ჩელსის" ყულაბაში ერთბაშად ოთხი ახალი ტიტული იქნება? მაკელელე შეეცადა, თავმდაბლობა გამოეჩინა, მაგრამ მაინც აღნიშნა: "გულის სიღრმეში დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ ამ სეზონში ერთი ტიტულის მოგება მაინც შეგვიძლია, თუმცა, შეიძლება უფრო მეტისაც..."

# მოგონებები ინგლისზე



კლაუს აუგენტალერი: "ინგლისურ მოედნებზე ყოველთვის საოცარი ატმოსფერო სუფევს".

ჩემპიონთა ლიგის წლევანდელ გათამაშებაში ლევერკუზენის "ბაიერმა" შეიძლება შთამბეჭდავი შედეგებით იტრაბახოს. 2001-2002 წლების ტურნირის ფინალისტი ჯგუფურ ეტაპზე პირველ ადგილზე გავიდა, თანაც, იმის მიუხედავად, რომ გერმანელებს კონკურენციას უწევდნენ ისეთი სერიოზული კლუბები, როგორებიც არიან მადრიდის "რეალი", "რომა" და კიევის "დინამო". მერვედფინალურ ეტაპზე წინ "ლივერპულთან" ორრაუნდიანი ბრძოლაა და, შეიძლება ითქვას, გერმანელებისთვის მთავარი გამოცდა ჯერ კიდევ წინ არის.

ფეხბურთელობის პერიოდში "ბაიერის" მწვრთნელს კლაუს აუგენტალერს მიუნხენის "ბაიერნის" შემადგენლობაში "ენფილდზე" უთამაშია. ის ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში "ლივერპულის" წინააღმდეგ გაისარჯა. მან იცის, თუ რა მოელის მის კლუბს მერვედფინალის პირველ მატჩში, რომელიც ინგლისში, სწორედ "ენფილდ როუდზე" გაიმართება. თუმცა, აღიარებს, რომ "ბაიერისთვის" საშიში არაფერია.

**- ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირის შედეგები იმაზე მეტყველებს, რომ "ლივერპულთან" მატჩში ფავორიტები გერმანელები უნდა იყვნენ. ეთანხმებით თუ არა ამ მოსაზრებას?**

- აბსოლუტურად არ ვეთანხმები. "ლივერპული" ხომ ევროპის კონტინენტის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბია. თუმცა, უნდა ვაღიარო, რომ მერვედფინალების კენჭისყრა ჩვენთვის იღბლიანი გამოდგა. იქ ხომ ჩვენზე გაცილებით ძლიერი წყვილები შეიქმნა. მიმაჩნია, რომ თუ კლუბმა პირველობა მოიპოვა ჯგუფში, სადაც მადრიდის "რეალი", კიევის "დინამო" და "რომა" გამოდიოდნენ, მას ყველა საფუძველი აქვს იფიქროს, რომ მომდევნო წრეში გასვლის შანსი აქვს.

**- რას ფიქრობთ მერსისაიდელთა ძლიერ და სუსტ მხარეებზე?**

- მე "ენფილდზე" მითამაშია და უნდა ვთქვა, რომ ეს სულაც არ არის იოლი საქმე. "ლივერპული" საკუთარ კედლებში უაღრესად ძლიერია და ჩვენ მინდორზე მთელი 100 პროცენტით დახარჯვა გვმართებს. საკმარისია, მხოლოდ შემადგენლობას გადავხედოთ და მაშინვე მივხვდებით, თუ რაოდენ ძლიერია მათი გუნდი.

**- წლევანდელ სეზონში "ბაიერი" შინ დიდი წარმატებით თამაშობს. შეიძლება თუ არა მივიჩნიოთ უპირატესობად ის, რომ განმეორებით შეხვედრას თქვენი გუნდი საკუთარ "ბაიარენაზე" გამართავს?**

- ვფიქრობ, ეს ჩვენ მცირე ფორას მოგვცემს. თუმცა, ჯგუფურ ტურნირსა და პლეი-ოფს შორის მთავარი განსხვავება ის არის, რომ პლეი-ოფში დამარცხების უფლება არ გაქვს. ასე რომ, ყველაფერი იმ ორი მატჩის შედეგებზე იქნება დამოკიდებული.

**- ზამთარში "ლივერპულმა" კონტრაქტი გააფორმა ესპანელ ფერნანდო მორიენტესთან. გიხარიათ, რომ მორიენტესი "ბაიერის" წინააღმდეგ ვერ ითამაშებს?**

- "ლივერპული" არ შემცდარა, რომ მორიენტესი მიიწვია. ის მსოფლიო კლასის ფორვარდია. მე, რა თქმა უნდა, მიხარია, რომ მორიენტესი ჩვენს წინააღმდეგ არ ითამაშებს.

**- თქვენ თქვით, რომ "ენფილდზე" გითამაშიათ. გაგვიზიარეთ თქვენი მოგონებები იმ მატჩის შესახებ.**

- ეს შესანიშნავი ორთაბრძოლა იყო. ინგლისურ მოედნებზე ყოველთვის საოცარი ატმოსფერო სუფევს. მარტო მინდვრამდე მიმავალ გვირაბში გასეირნებაც კი ჟრუანტელის მომგვრელია. "ლივერპულის" ფეხბურთელები მუდამ ცდილობენ, ერთმანეთი გაამხნევონ და ამით მეტოქე დათრგუნონ. ეს დაუვიწყარი ნახევარფინალური მატჩი იყო, რომელიც ნულოვანი ფრით დასრულდა. სამწუხაროდ, განმეორებითი შეხვედრაც ფრედ - 0:0 დასრულდა და ჩვენ ასპარეზობას გამოვეთიშეთ.

**- ბოლო 12 წლის განმავლობაში "ბაიერი" ვერ ახერხებს მსხვილი ტურნირის მოგებას. რამდენად მნიშვნელოვანია გამარჯვება კლუბის მომავალი განვითარების თვალსაზრისით?**

- უაღრესად მნიშვნელოვანია. მე მაშინებს საუბარი იმაზე, რომ "ბაიერს" წარსულში იმდენი ფინალი დაუთმია, ახლაც მზად არის, მეორე ადგილით დაკმაყოფილდეს. საჭიროა, დროის დაკარგვის გარეშე წარსულის შეცდომებზე ვისწავლოთ. ჩვენ ნებისმიერი მეტოქისთვის ღირსეული წინააღმდეგობის გაწევა შეგვიძლია. მინდა, ისეთი გუნდი შევქმნა, რომელიც ორსამ წელიწადში ყველა შესაძლო ტიტულისთვის ბრძოლას შეძლებს. რეალურად კი შეგვიძლია, "ბაიერის" კოლექცია წელსვე შევავსოთ.

ინფოთეკა

## მოურინიო ინგლისის კლუბების წარუმატებლობის მიზეზებზე ალაპარაკდა

ლონდონის "ჩელსის" მთავარმა მწვრთნელმა ჟოზე მოურინიომ ჩამოთვალა ის მიზეზები, რომელთა გამოც ინგლისური კლუბები ჩემპიონთა ლიგაში წარმატებას ვერ აღწევენ. ლონდონის კლუბის ოფიციალური საიტის ცნობით, მწვრთნელმა ეს განცხადება გააკეთა ერთხელ "ნიუკასლის", შემდეგ კი "ბარსელონასთან" შეხვედრის წინ გამართულ პრესკონფერენციაზე.

მოურინიომ ერთ-ერთ მიზეზად გადატვირთული გრაფიკი დაასახელა. "მოგება ძნელია. შეგიძლიათ მოემზადოთ, კარგი გუნდიც გყავდეთ, ამბიციებიც გქონდეთ. და მაინც, შეცდომას უშვებთ და ტურნირსაც ეთიშებით, თუნდაც, ამას არ იმსახურებდეთ.

მეორე მიზეზი ის გახლავთ, რომ ინგლისურმა კლუბებმა საერთაშორისო ტურნირებზე იმ ტაქტიკით არ უნდა ითამაშონ, რომელსაც ქვეყნის შიგნით მატჩებზე იყენებენ. ნაკლები გრძნობა და მეტი გონება - აი, რაა საჭირო. როცა, მაგალითად, ესპანელებს ან იტალიელებს ეთამაშები, გონება თუ არ ჩართე საქმეში, არა მგონია, ბევრს მიაღწიო" - განაცხადა მწვრთნელმა

## "ბარსას" რონალდინიოს გაშვება არ უნდა

ესპანური კლუბი "ბარსელონა" აპირებს, თავის წამყვან ფეხბურთელს რონალდინიოს კონტრაქტის ვადის კიდევ ხუთი წლით გაგრძელება შესთავაზოს. მიმდინარე კონტრაქტით, ბრაზილიელ ლეგიონერს კლუბში თამაში 2008 წლამდე შეუძლია.

გარდა ამისა, კატალონიელთა დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილი აქვს, მსგავსი წინადადებით მიმართოს გუნდის სხვა ახალგაზრდა ფეხბურთელებსაც: დეკუს, ეტო`ოს, ვიქტორ ვალდესს, ხავისა და კარლეს პუიოლს.

## აბრამოვიჩმა შევჩენკოს 60 მილიონი გირვანქა სტერლინგი შესთავაზა

ბრიტანული პრესის ინფორმაციით, ინგლისური კლუბის "ჩელსის" მფლობელმა რომან აბრამოვიჩმა განაცხადა, რომ მზადაა "მილანის" ვარსკვლავს ანდრეი შევჩენკოს შესაძენად 60 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაიხდოს. თუმცა, უკრაინელმა ფეხბურთელმა ყველა დაინტერესებულ კლუბს, მათ შორის "ჩელსისაც", გარკვევით უთხრა, რომ ამჟამინდელი გუნდის დატოვებას არ აპირებს.

"მეამაყება, რომ აბრამოვიჩმა ასეთი წინადადებით მომმართა. ის ნამდვილი ინტელიგენტია, რომელიც ძალიან ბევრს აკეთებს ფეხბურთისთვის. და მაინც, "მილანი" ჩემი ოჯახია. მასთან ერთად ბევრს მივაღწიე და კიდევ ბევრს მივაღწევ," - განაცხადა შევჩენკომ.

## ფიფამ შეცდომა აღიარა

ფეხბურთის საერთაშორისო ასოციაციათა ფედერაციამ ინგლისური კლუბის "მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარ მწვრთნელს სერ ალექს ფერგიუსონს საჯაროდ მოუხადა ბოდიში ფიფას ოფიციალურ საიტზე შარშან გამოქვეყნებული პუბლიკაციის გამო. სტატიაში საუბარი იყო იმაზე, რომ "მანჩესტერ იუნაიტედის" თავკაცი "საკუთარ თავს ფეხბურთის კანონებზე მაღლა აყენებს". გარდა ამისა, ავტორი კრიტიკულად აფასებდა ფერგიუსონის წვრთნის მანერასა და მეთოდებს, აკრიტიკებდა ასევე ფეხბურთელებსაც.

ფიფას ჟურნალის ბოლო ნომერში გამოქვეყნებულ განცხადებაში ვკითხულობთ: "ფედერაციას სურს, ბოდიში მოუხადოს კლუბის "მანჩესტერ იუნაიტედის" მთელ შემადგენლობას, განსაკუთრებით კი მთავარ მწვრთნელს სერ ალექს ფერგიუსონს უსაფუძვლო ბრალდებების გამო".

## ბექჰემებს მესამე ვაჟი გაუჩნდათ

მადრიდში ცნობილი ინგლისელი ფეხბურთელის დევიდ ბექჰემის მეუღლემ ვიქტორიამ მესამე შვილი, ამჯერადაც ბიჭი გააჩინა. როიტერსის ცნობით, ამის შესახებ ბექჰემების წარმომადგენელმა განაცხადა.

**მოამზადა ნინო ტიკარაძემ**

სათხილამურო სპორტი

# ეტაპები ჩქაროსნულად დაიწყო

გიგა გურასაშვილი

*ბორმიოსა და სანტა კატერინაში ერთი კვირის წინათ დამთავრებული სამთომოთხილამურეთა მსოფლიო ჩემპიონატისგან ესტაფეტა მსოფლიო თასის ეტაპებმა ჩაიბარეს. გერმანიის საკურორტო ზონა გარმიშში ვაჟებმა სამი ეტაპი გაითამაშეს, სამივე ჩქაროსნულ დისციპლინებში. ქალებს კი შვეიცარიაში მოუხდათ სრიალი.*



*ესპანელმა რიენდამ მსოფლიო თასზე ნავსი გატეხა.*

რაკი მსოფლიო ჩემპიონატი ახალი დამთავრებულია, კარგი იქნება, კიდევ ერთხელ თვალი გადავავლოთ მის შედეგებს, მით უმეტეს, რომ მონაწილეთა კონტინგენტი არ შეცვლილა.

მსოფლიო ჩემპიონატზე ავსტრიელმა ბენიამინ რაიხმა და ამერიკელმა ბოდე მილერმა ინდივიდუალურ დისციპლინათა ხუთი ოქროს მედლიდან ოთხი დაისაკუთრეს, თუმცა, არც მეხუთე "ოქროს" აკლია ბრწყინვალება. ავსტრიელისა და ამერიკელის სათხილამურო წარმოდგენას ერთადერთ ხელშემშლელად ავსტრიელი ჰერმან მაიერი მოევლინა. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ მან მსოფლიო ჩემპიონობა გაიხსენა, ჩემპიონობა, რომლისაც თავადაც არ სჯეროდა. წარმატებას გიგანტურ სლალომში მიაღწია.

ჩემპიონატის დასაწყისშივე ფიქრობდნენ, რომ პირველობა ერთი ადამიანის წარმოდგენას დაემსგავსებოდა. ეჭვი მას შემდეგ უფრო გაძლიერდა, რაც ბოდე მილერმა პირველივე დისციპლინაში - სუპერგიგანტში გამარჯვებას დაშვებაში ტრიუმფიც დაურთო. თანაც, მეტად პრესტიჟულ სახეობაში - დაშვებაში. ამერიკელისთვის გამარჯვება იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ ის აღმოჩნდა პირველი ამერიკელი, რომელმაც უსწრაფეს სახეობაში სამშობლოს ჩემპიონობა მოუტანა. როდესაც მსოფლიო ჩემპიონატზე კომბინაციის ჯერი დადგა, 27 წლის ამერიკელისადმი ზოგში ინტერესმა, ზოგში კი შიშმა იმძლავრა, რისი საფუძველიც აშკარად ჰქონდათ, თუმცა, მილერს აღარ გაუმართლა. მით უმეტეს, კომბინაციაში - სტარტიდან 15 წამში თხილამური მოსძვრა. ესტაფეტა კი რაიხმა ჩაიბარა. მოიგო კომბინაცია და ბოლოს სლალომი, მაგრამ ავსტრიელის ყულაბაში სხვა სინჯის მედლებიც ჩაჩხრიალდა: ვერცხლი გიგანტურ სლალომში და ბრინჯაო სუპერგიგანტში. მან ინდივიდუალურ სახეობათა ოთხ მედალს მოუყარა თავი. თუმცა, არც აქ შეჩერებულა და მსოფლიო ჩემპიონატებისთვის საინაუგურაციო ასპარეზობაში - გუნდურში თანაგუნდელებთან ერთად ვერცხლით გაიმდიდრა მონაგარი.

ეს მაჩვენებელი იმითაა მნიშვნელოვანი, რომ დღემდე მსოფლიო ჩემპიონატებზე ერთბაშად ხუთი მედლის მოპოვება მხოლოდ ძველ გვარდიელს ნორვეგიელ ლასე ჩიუსს მოეხერხებინა. ნორვეგიელებზე კი იმის თქმა შეიძლება, რომ სკანდინავიელთა ბანაკში თაობათა ცვლა მიმდინარეობს. ძველები - ლასე ჩიუსი და ჩედილ ანდრე ომოდტი, პირველად ბოლო რვა მსოფლიო ჩემპიონატის მანძილზე, შინ ხელცარიელნი დაბრუნდნენ. ამბობენ, დიდი ნორვეგიელებისგან ესტაფეტის ჩაბარების ყველაზე რეალურ კანდიდატად, შესაძლოა, 22 წლის აქსელ ლუნდ სვინდალი მოგვევლინოსო, რომელმაც ბორმიოში კომბინაციაში ვერცხლი მოიპოვა.

თქვა კიდეც ომოდტმა: ახლა მე და ლასე ჩიუსს შეგვიძლია მშვიდად გავიდეთ პენსიაზე, ოღონდ გაისად, ოლიმპიური თამაშების შემდეგო.

სხვებსაც გაუცრუვდათ იმედები. კანადა და გერმანია, რომლებიც ინდივიდუალურ სახეობებში თითო მედალს მაინც ვარაუდობდნენ, რის საფუძველსაც მსოფლიო თასის ეტაპებზე მიღწეული შედეგებიც აძლევდათ, უმედლოდ დარჩნენ. გერმანელებს იმით შეუძლიათ ინუგეშონ თავი, რომ საინაუგურაციო გუნდურ სახეობაში გახდნენ ჩემპიონები.

არც შვეიცარიულ სკოლას დაადგა კარგი დღე. ჩემპიონატი ისე დასრულდა, რომ მედალი არ ღირსებიათ. ასეთი რამ კი 1966 წლის შემდეგ არ მომხდარა. ასე რომ, მათ, ვისაც მსოფლიო ჩემპიონატზე მოეცარათ ხელი, მდგომარეობის გამოსასწორებლად მსოფლიო თასი დარჩათ, თუმცა, წარმატებები მაინც იმათგან იყო მოსალოდნელი, ვინც იტალიაში გამოიდო თავი. ესეც დასტური: პარასკევს დაშვებაში იმავე მსოფლიო ჩემპიონატზე სუპერგიგანტსა და დაშვებაში, შესაბამისად, "ვერცხლისა" და "ბრინჯაოს" მომპოვებელმა ავსტრიელმა მიხაელ ვალშოფერმა გაიმარჯვა. მსოფლიო ჩემპიონატამდე ფავორიტად შერაცხულ ვალშოფერს ფეხდაფეხ მიჰყვნენ ჰერმან მაიერი და ბოდე მილერი.

შაბათის დაშვებაშიც საუკეთესო შედეგი ვალშოფერს აღმოაჩნდა. თუმცა, წინა დღის სამეულის ორმა წევრმა - მაიერმა და მილერმა მეშვიდე და მეოთხე შედეგებით დაამთავრეს რბოლა. მათი ადგილები კი გამარჯვებულის თანამემამულეებმა მარიო სხეიბერმა და ფრიც შტრობლმა დაიკავეს. შედეგების მხრივ განსხვავებული გამოდგა გუშინდელი სუპერგიგანტი. თუმცა, პირველობა აქაც ავსტრიელ კრისტოფ გრუბერს დარჩა. მეორე და მესამე ადგილები ბორმიოში ხელმოცარული შვეიცარიული და კანადური სკოლის წარმომადგენლებმა დიდიე დეფაგომ და ახალგაზრდა ფრანსუა ბორკემ დაიკავეს. მილერი ისევ მეოთხე იყო.

ქალებში ბევრად განსხვავებული სურათი მივიღეთ. შვეიცარიაში მოასპარეზე ქალთაგან მსოფლიო ჩემპიონატის შედეგების გათვალისწინებით ხორვატი იანიცა კოსტელიჩი და შვედი ანია პერსონი უნდა ყოფილიყვნენ უკეთესები, მაგრამ ტრიუმფატორთაგან (ხორვატმა და შვედმა ჩემპიონატის ხუთივე "ოქრო" გაინაწილეს. აქედან სამი კოსტელიჩმა დაისაკუთრა.-რედ.) კვარცხლბეკზე ასვლის პატივი გუშინ გიგანტურ სლალომში მხოლოდ პერსონმა დაიმსახურა, ამასთან, მესამე ადგილი. მას ავსტრიელმა ნიკოლ ჰოსპმა და ესპანელმა მარია ჟოზე რიენდამ გაასწრეს. ესპანელის პირველობა კი მართლაც მოულოდნელობა იყო, რადგან ესპანელებს, 1991 წლიდან მოყოლებული, მსოფლიო თასის ერთი ეტაპის მოგებაც კი სანატრელი ჰქონდათ.

რაც შეეხება წინა დღის სუპერგიგანტს, მასში პირველ-მეორე-მესამე ადგილები ავსტრიელებმა მიხაელა დორფმაისტერმა, ალექსანდრა მაისნიცერმა და იტალიელმა ლუცია ლეჩიამ დაიკავეს.

TV-სპორტი

## ორშაბათი. 21 თებერვალი

**НТВ+ФУТБОЛ**

12:00 თავისუფალი დარტყმა
12:25 გერმანიის ჩემპიონატი. "შტუტგარტი" - "ჰერტა"
14:10 იტალიის ჩემპიონატი. "სიენა" - "ფიორენტინა"
16:00 თავისუფალი დარტყმა
16:15 ესპანეთის ჩემპიონატი. "ვილიარეალი" - "ატლეტიკო"
18:00 შოტლანდიის ჩემპიონატი. "სელტიკი" - "გლაზგო რეინჯერსი"
19:45 საფეხბურთო უიკ-ენდი
20:30 სახვალიო ტელეპროგრამა
20:35 საფრანგეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
21:30 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
22:30 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
23:30 იტალიის ჩემპიონატი. "უდინეზე" - "ინტერი"

**НТВ+ПЛЮС**

10:00, 13:00, 16:00, 18:30 პრესცენტრი
10:20, 22:15 "ქრონიკა"
10:25, 13:15 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 საჭადრაკო მიმოხილვა
11:15 ჩოგბურთი. ATP ტურნირი ჰოლანდიაში. ფინალი
13:35 მძლეოსნობა. საბერძნეთის თასი
16:15 ბილიარდი "US Open". მე-6 ნაწილი
17:00 "რკინის ფაქტორი" - ტელეჟურნალი
17:30 ფიგურული სრიალი. შოუ "Holiday Festival on Ice"
18:45 კალათბურთი. NBA-ს ყველა ვარსკვლავთა მატჩი
21:45 "მოტოვებული კვირა"
22:20 სახვალიო ტელეპროგრამა
22:25 პროფესიული კრივი. ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის. ბერნარდ ჰოპკინსი - ჰოვარდ ისტმანი
00:25 ახალი ამბები
00:40 "რკინის ფაქტორი" - ტელეჟურნალი

**EUROSPORT**

10:30 ციგები. მსოფლიო თასის ეტაპი გერმანიაში
11:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
12:00 სათხილამურო რბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში
13:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში
14:15 სათხილამურო რბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში. ესტაფეტა 4X5 კმ. ქალები. პირდაპირი ტრანსლაცია
15:30 სკელეტონი. მსოფლიო ჩემპიონატი კანადაში. ქალები
16:30 ველოსპორტი. ტრეკი. მსოფლიო თასი ავსტრალიაში
18:00 სნუკერი. მასტერსის ტურნირი დიდ ბრიტანეთში. ფინალი
19:30 ფეხბურთი - ევროგოლები
20:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა. ვარსკვლავური საათი
21:00 სკელეტონი. მსოფლიო ჩემპიონატი კანადაში. ქალები. პირდაპირი ტრანსლაცია
21:45 სკელეტონი. მსოფლიო ჩემპიონატი კანადაში. ვაჟები. პირდაპირი ტრანსლაცია
22:30 მებრძოლთა კლუბი
00:30 ფეხბურთი - ევროგოლები
01:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა. ვარსკვლავური სამშაბათი
02:00 ახალი ამბები
02:15 მულტისპორტი - აი, მესმის!
02:45 სათხილამურო რბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში


სახელი
გვარი
ასაკი
სიმაღლე
მისამართი
საკონტაქტო ტელეფონის ნომერი

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაქორწინებული
დაუქორწინებელი
გაყრილი
ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დავხარჯავ არ მიიღება)

12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

13 როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ში.

ხელმოწერა____________ თარიღი__________

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !



გადაცემა
სუსტი რგოლი

მოთამაშის ანკეტა

გიხერხებათ კროსვორდების ამოხსნა?

გიყვართ ინტელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

დაგვიკავშირდით, "რუსთავი 2" ეძებს ერუდირებულ, თამამ, გონებამახვილ კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საკმარისია გქონდეთ მხოლოდ ზოგადი განათლება, იუმორის გრძნობა და მოგების სურვილი.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

თქვენი ფოტოსურათი

გთხოვთ, დაამაგრეთ ნებისმიერი ზომის ფოტოსურათი, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გამოსახული, მასზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწერეთ თქვენი სახელი და გვარი. ფოტოსურათი გადაღებული უნდა იყოს ბოლო ორი წლის განმავლობაში.

## პრომეთეოსი სატურნს რგოლებს ჰპარავს

კოსმოსურმა ხომალდმა "კასინიმ" აღმოაჩინა, რომ სატურნის ერთ-ერთი თანამგზავრი, სახელად პრომეთეოსი (ან პრომეთე), მზის სისტემის სიდიდით მეორე პლანეტის ერთ-ერთი (F) რგოლიდან მტვერსა და ქვების გროვას თავისკენ ქაჩავს.

მეცნიერები ადრეც მიიჩნევდნენ, რომ სწორედ პრომეთეოსია იმის მიზეზი, რომ F რგოლზე ტალღები და ერთგვარი მარყუჟები წარმოიქმნება. "კასინის" მიერ გადაღებულმა ფოტოებმა კი ეს სატელიტი რგოლიდან ნივთიერებათა მოპარვაშიც "ამხილა" - სურათებზე კარგად ჩანს, თუ როგორ მიემართება ნივითერებათა ნაკადი რკალიდან სატელიტისაკენ.

ფოტოებმა გამოავლინა, რომ რკალზე წარმოქმნილი ტალღები და მარყუჟები დინამიკური წარმონაქმნებია, თუმცა ჯერჯერობით არც ამ წარმონაქმნებისა და პრომეთეოსის ურთიერთქმედებათა ზუსტი მექანიკაა დადგენილი. ამასთან, ერთი რამ ცხადია, სატელიტი თავისი გრავიტაციის მეშვეობით ახერხებს რგოლიდან მტვრისა და ყინულის გროვების მიზდვას და ასე ზრდის საკუთარ მასას.

სხვათა შორის, ბერძნულ მითოლოგიაში პრომეთე იმითაა ცნობილი, რომ ღმერთებს ცეცხლი მოპარა და ის ადამიანებს გადასცა.

## ნანონემსმა ადამიანის უჯრედის ბირთვში შეაღწია

იაპონიის მეცნიერებისა და ტექნიკის ეროვნული ინსტიტუტის მკვლევარებმა ატომური ძალური მიკროსკოპი ქირურგიულ ინსტრუმენტად გადააკეთეს, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდა ოპერაციის ჩატარება ერთადერთ უჯრედზე და თანაც ისე, რომ ის არანაირად არ ზიანდება.

განაყოფიერებული კვერცხუჯრედიდან მიკროსკოპული ლანცეტებით ნივთიერების ამოღება დღეს ტექნიკისთვის ჩვეულებრივი საქმეა. თუმცა, ამ შემთხვევაში ლანცეტად გამოიყენება მიკროკაპილარები, რომლებიც უჯრედს აზიანებენ, რის შედეგადაც, ეს უკანასკნელი ხშირად იღუპება კიდეც.

იაპონელებმა კი გამოიყენეს იონების სხივი, რითაც წაამახვილეს ძალური მიკროსკოპის სტანდარტული წვეტი, რომელიც კრემნიუმისგან მზადდება. შედეგად, ეს წვეტი გარდაიქმნა 8 მიკრომეტრის სიგრძისა და 200 ნანომეტრის სიგანის (მიკრომეტრი მეტრის მემილიონე ნაწილია, ნანომეტრი კი - მემილიარდე) ნემსად. მიკროსკოპს შეუძლია უჯრედზე ნემსით გამოწვეული ზეწოლის განსაზღვრა, რისი გამოც ის მეტად ზუსტი და მგრძნობიარე ინსტრუმენტია.

მას შემდეგ, რაც ექსპერიმენტის დროს, მკვლევარებმა ნემსი ადამიანის ემბრიონულ უჯრედში შეიყვანეს, იქ სულ 1 მიკრომეტრის სისქის ნახვრეტი დარჩა. უჯრედის მემბრანა სწრაფად დაუბრუნდა პირვანდელ მდგომარეობას, ნემსი კი უჯრედის ბირთვში შევიდა.

მეცნიერები ამტკიცებენ, რომ მათ მიერ შემუშავებული მეთოდით, მყარი ნივთიერებით დამზადებული საგანი ასეთი სიზუსტით, პირველად მოხვდა ცოცხალი უჯრედის შიგთავსში. ამ მეთოდით, უჯრედის წინასწარ განსაზღვრულ ნაწილში მოლეკულების შეყვანა გახდება შესაძლებელი. მაგალითად, ასე შესაძლებელია დნმ-ს ჯაჭვის უჯრედის ბირთვში მოთავსება, რათა შემოწმდეს გენის თერაპიის ახალი მეთოდები. ასევე შესაძლებელი გახდება რეალურ დროში უჯრედთა ქიმიური შემაგენლობის გაკონტროლება.

## ჩრდილოეთის ოკეანე ადრე უყინულო ყოფილა

ის დღესაა ყინულოვანი და ცივი, თორემ თუ ოქსფორდელ მეცნიერებს დავუჯერებთ, ჩრდილოთის ოკეანე დაახლოებით 70 მილიონი წლის წინ ისეთივე თბილი ყოფილა, როგორიც დღეს ხმელთაშუა ზღვაა.

ოქსფორდის უნივერსიტეტის მეცნიერმა ჰიუ ჯენკინსმა და მისმა კოლეგებმა ჰოლნდიის სამეფო ინსტიტუტის ზღვის კვლევის კათედრიდან, შეისწავლეს ჩრდილოეთის ოკეანეში არსებულ ერთ-ერთ კუნძულზე გაკეთებული ჭაბურღილიდან ამოღებული გრუნტის სინჯი. შედეგად, დადგინდა, რომ დაახლოებით 70 მილიონი წლის წინ, არქტიკული ოკეანის საშუალო ტემპერატურა ფარენჰეიტის შკალით 59 გრადუსი უნდა ყოფილიყო.

"უფრო ადრე ის კიდევ უფრო თბილიც იქნებოდა, იმდენად თბილი, რომ მასში ბანაობაც იქნებოდა შესაძლებელი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ ადგილებში სუბტროპიკული სარტყელი უნდა ყოფილიყო", - ამბობს ჯენკინსი, რომლის ნაშრომიც ჟურნალ "ნეჩურში" (ეს ნებისმიერი მეცნიერისთვის დიდი აღიარების ტოლფასია) გამოქვეყნდა.

ჯერ მეცნიერებს არ გააჩნიათ პასუხი კითხვაზე, თუ რატომ შეიძლებოდა ყოფილიყო ჩრდილოეთის ოკეანე ესოდენ თბილი. ერთი ვარაუდით, ამის მიზეზი შეიძლება ყოფილიყო ჰაერში ნახშირჟანგის დიდი რაოდენობით არსებობა. ეს ის გაზია, რომელსაც თანამედროვე მსოფლიოში გლობალური დათბობის და აქედნ გამომდნარე, პლანეტარული კატაკლიზმის გამოწვევა შეუძლია.

## კორეელებმა ჰუმანოიდი რობოტი შექმნეს

სამხრეთ კორეის მეცნიერებისა და ტექნიკის ინსტიტუტის თანამშრომლებმა დაამზადეს ჰუმანოიდური რობოტი "ჰუბო" (ჰუმანოიდ რობოტ), რომელიც მსოფლიოში მეორე ამგვარი ტიპის რობოტია იაპონური "ასიმოს" შემდეგ.

"რობოტ "ჰუბოს" შექმნა იმის ნიშანია, რომ რობოტების დამზადების კორეული ტექნოლოგია მსოფლიოს სტანდარტებს მიუახლოვდა" - ნათქვამია ინსტიტუტის თანამშრომელთა განცხადებაში, რომლებსაც ეჭვი არც ეპარებათ იმაში, რომ რობოტების წარმოებაში მალე უკან მოიტოვებენ ამ საქმის ახლანდელ ლიდერ იაპონელებს.

"ჰუბოს" ოფიციალური პრეზენტაცია მოგვიანებით, 6 ივნისისთვისაა დანიშნული. ინსტიტუტის მეცნიერებმა ჰუმანოიდური რობოტის შესაქმნელად ჯერ კიდევ 2002 წელს დაიწყეს მუშაობა და "ჰუბომდე" ორი მოდელი, KHR-1 და KHR-2 დაამზადეს (KHR ნიშნავს კორეან ჰუმანოიდ რობოტს). მიღებული გამოცდილების გამოყენებით, "ჰუბოს" დასამზადებლად მათ წელიწადზე ნაკლები დასჭირდათ.

ინსტიტუტის პროფესორის, პროექტის ხელმძღვანელ ოჰ ჯუნ-ჰოს თქმით, რობოტ "ჰუბოს" შეუძლია ხმების იდენტიფიცირება და ფრაზების წარმოთქმა. ამასთან, მას აქვს სრულყოფილი მხედველობა. სხვათა შორის, მის ორივე თვალს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად შეუძლია მოძრაობა და ფუნქციონირება.

## ჩვენს პლანეტას მცირე ასტეროიდი ემუქრება

აშშ-ის აეროკოსმოსური სააგენტოს ასტრონომების მიერ აღმოჩენილ, 400 მეტრი დიამეტრის მქონე ასტეროიდს სახელად "2004 MN4", ისეთი ტრაექტორია აქვს, რომ 2029 წლისთვის ის ჩვენი პლანეტის სიახლოვეს ჩაიქროლებს და არაა გამორიცხული, რომ მასთან შეჯახებაც მოუწიოს.

ჯერჯერობით, ამ ასტეროიდის დედამიწასთან შეჯახების ალბათობა მცირეა (1:300-თან), თუმცა ასტრონომები მოელიან, რომ ეს ალბათობა დროთა განმავლობაში შეიძლება გაიზარდოს კიდეც. ყოველ შემთხვევაში, ისინი მუდმივად აკვირდებიან "2004 MN4-ს", რათა საჭიროების შემთხვევაში, სათანადო ზომები იქნას მიღებული.

ეგრეთ წოდებული ტურინის შკალის ათბალიანი სისტემის მიხედვით, ამ ასტეროიდმა უკვე მიაღწია მეორე დონეს, რაც იმის ნიშანია, რომ ის მეცნიერთა მხრიდან დიდ ყურადღებას იმსახურებს. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ საზოგადოებამ შიშით უნდა იცხოვროს. ყოველივეს მიუხედავად, მასთან შეჯახების შესაძლებლობა მეტისმეტად მცირეა.

უფრო მეტიც, მეცნიერები მოელიან, რომ ასტეროიდის გადაადგილების დაწვრილებითი შესწავლის შემდეგ, იმავე სისტემით, ის ნულოვან დონეზე გადავა, რაც იმას ნიშნავს, რომ ის ჩვენი პლანეტისთვის სრულიად უხიფათო იქნება.

ასტრონომების გაანგარიშებით, 2029 წელს "2004 MN4" ჩვენს პლანეტას დაახლოებით 780 ათასი კილომეტრის სიშორეზე ჩაუქროლებს, ეს კი იმაზე ორჯერ მეტი მანძილია, რითაც ჩვენგანაა დაშორებული მთვარე. აღსანიშნავია, რომ ამ ზომის ობიექტები ჩვენს პლანეტას იმავე მანძილზე დაახლოებით 5 წელიწადში ერთხელ უახლოვდებიან.

## კოსმოსში არნახული ძალის აფეთქება დაფიქსირდა

ამერიკელმა ასტრონომებმა კოსმოსში არნახული სიმძლავრის აფეთქება დააფიქსირეს. ის მოხდა გიგანტური შავი ხვრელის მიერ მზის ზომის 300 მილიონამდე ვარსკვლავის შთანთქმის შედეგად. აფეთქების შემდეგ, შავი ხვრელი წარმოუდგენლად დიდი რაოდენობით გაზსა და მტვერს გამოსტყორცნის, რომელიც რაოდენობრივად ტრილიონი მზის მასის ტოლფასია.

კოსმოსური მეგა-აფეთქება დააფიქსირა ამერიკულმა ორბიტალურმა კოსმოსურმა ტელესკოპმა "ჩანდრამ". მეცნიერთა შეფასებით, აღმოჩენილი მოვლენა გვიჩვენებს, რომ შავ ხვრელებს გალაქტიკებში ვარსკვლავთა წარმოქმნის პროცესში იმაზე დიდი გავლენის მოხდენა შეუძლიათ, ვიდრე ეს აქამდე იყო მიჩნეული. მეცნიერები თვლიან, რომ შავი ხვრელის აფეთქებით გამოწვეული ამოფრქვევა უკვე 100 მილიონი წელია, მიმდინარეობს, რამაც გალაქტიკების შიგნით ორი, კოლოსალური ზომის სიცარიელე წარმოქმნა, საიდანაც თითქმის მთლიანადაა გამოდევნილი ვარსკვლავები.

თითოეული ამ სიცარიელის დიამეტრი დაახლოებით 650 ათას სინათლის წელს უდრის (სინათლის წელი არის მანძილი, რომელსაც 300 ათასი კმ/სთ სიჩქარით მოძრავი სინათლის სხივი წელიწადში გადის, ეს კი დაახლოებით 10 ტრილიონ კილომეტრს უდრის). ჰოდა, ჩვენი ბედი, რომ კატაკლიზმი ჩვენგან 2.6 მილიარდი სინათლის წლის დაშორებით მოხდა, თორემ ჩვენს გალაქტიკას ამ ჯოჯოხეთში ჩათრევა არ ასცდებოდა.

# სამოქალაქო ავიაინდუსტრიის ახალი ლიდერი

მერაბ ლორთქიფანიძე




უკვე ორი წელია, ევროპული თვითმფრინავმშენებელი კომპანია "ერბასი" უფრო მეტ თვითმფრინავს ყიდის, ვიდრე მსოფლიო ბაზრის ოდინდელი ლიდერი, ამერიკული "ბოინგი". თუმცა, ეს ჯერაც არ ნიშნავს იმას, რომ ევროპელებს თვითმფრინავების ბაზარზე ლიდერობა დიდი ხნით აქვთ გარანტირებული. ამერიკელები პოზიციების დიდი ხნით დათმობას არ აპირებენ, თუმცა არც ევროპული ავიაგიგანტი აპირებს მოპოვებულის ლიდერობის უკან დაბრუნებას.

ფარნბოროს (ბრიტანეთი, ლონდონის მახლობლად) ტრადიციულ ავიასალონზე ორივე ავიამშენებელმა თავისი სიახლეები (პროექტები და მაკეტები) წარუდგინა დამთვალიერებელს, რომელთა შორისაც, თავისი გრანდიოზულობით გამოირჩეოდა "ერბასის" A380 და "ბოინგის" "დრიმლაინერ 7E7", თვითმფრინავები, რომლებიც ამ დეკადის ბოლოს დაიწყებენ საერთაშორისო გადაყვანებს და რომლებზეც ორივე კომპანია დიდ იმედებს ამყარებს.

რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ორივე კომპანიას მომავლის სრულიად განსხვავებული ხედვა გააჩნია. მაგალითად, "ბოინგს", რომელმაც რეაქტიული თვითმფრინავების ერა მოდელ 707-ით დაიწყო, მიაჩნია, რომ მომავლის ავიაგადაყვანები არ იქნება მომთხოვნი ბილეთის ფასისადმი და მგზავრები უფრო მეტ მნიშვნელობას მიანიჭებენ იმას, რომ მათ მიერ გადახდილი ფულის სანაცვლოდ, რაც შეიძლება მცირე გადაჯდომით, ოპერატიულად მიაღწიონ დანიშნულების ადგილამდე.

სამაგიეროდ, ევროპელები, რომლებიც გამოირჩევიან თავიანთი ეკონომიური და უფრო ეკოლოგიური საფრენი აპარატებით, დარწმუნებულები არიან იმაში, რომ ავიაგადაყვანების მომავალი დიდი ზომის თვითმფრინავებს ეკუთვნით, რომლებიც იაფად მოახერხებენ მგზავრთა გადაყვანას. ამასთან, ევროპელებს არ აღელვებთ ის ფაქტი, რომ დიდი თვითმფრინავების მიღებას ყველა აეროდრომი ვერ ახერხებს. ასეთი თვითმფრინავები მეტწილად დიდ ქალაქებს შორის დაფრინავენ, საიდანაც მგზავრებს დამატებით უწევთ სხვა, ადგილობრივი რეისებით სარგებლობა.

კომპანიების ეს განსხვავებული ხედვა, მათ საწარმოო პროგრამაზე პირდაპირ ასახვას პოულობს. შედეგად, ფარნბოროში წარდგენილი თვითმფრინავებიც რადიკალურად განსხვავებული იყო. ამ ორიდან, როგორც ჩანს, უფრო ადრე საერთაშორისო გადაყვანებს ევროპული გიგანტი, A380 დაიწყებს, რომელსაც სტანდარტული ფიუზელაჟით 550 მგზავრის გადაყვანა შეეძლება, მოდიფიცირებულით კი მის მგზავრთა რაოდენობა 900-საც მიაღწევს.

ტულუზის ამწყობი ქარხანა პირველმა A380-მა შარშან დატოვა, თუმცა ის არასოდეს ჩადგება მგზავრთა სამსახურში. ეს პირველი თვითმფრინავი სტრუქტურული ტესტებისთვისაა შექმნილი და მისი წყალობით, "ერბასი" სამთავრობო სერტიფიკატების მიღებას იმედოვნებს.

სხვათა შორის, თვითმფრინავში ადგილების რაოდენობა ჯერ საბოლოოდ არაა დაზუსტებული. ათასწლეულების გასაყარზე მწარმოებელი აცხადებდა, რომ A380 ათასი მგზავრისთვის იქნებოდა განკუთვნილი. შემდეგ გამოცხადდა, რომ ეს თვითმფრინავი მხოლოდ პირველი კლასის სტანდარტით მოემსახურება მგზავრებს, რომლებისთვისაც განკუთვნილი იქნება არა ჩვეულებრივი სავარძლები, არამედ სასტუმროს ტიპის ნომრები. დამღლელი შორეული გადაფრენების დროს, მგზავრებს სავარჯიშო დარბაზში ტრენაჟორებზე ვარჯიშის საშუალება ექნებათ, ან ისინი რესტორანს და კინოთეატრს მიაშურებენ. მოკლედ, გასართობი საკმაოდ ექნებათ. ამასთან, თვითმფრინავი თავისუფალი სავაჭრო ზონის სტატუსსაც მიიღებს და მასში ძვირფასეულობის მაღაზიებიც განლაგდება.

იმ დროს, როდესაც "ერბასი" უკვე ღებულობს შეკვეთებს A380-ზე, "ბოინგს" თავისი "დრიმლაინერით" ჯერ არცერთი ავიაგადამყვანი კომპანია არ დაუინტერესებია. ეს არცაა გასაკვირი - 7E7-ის ფრენების დაწყება 2008 წლისთვისაა დაგეგმილი, მანამდე კი დიდი დროა.

"7E7 დრიმლაინერი" შედარებით მცირე ზომის თვითმფრინავია, თუმცა დღევანდელი საზომით არცთუ მცირე რაოდენობით (200-300) მგზავრის გადაყვანას შეძლებს. როგორც მწარმოებელი ირწმუნება, ეს იქნება საჰაერო ოცნება და არა ავიალაინერი. თუ ევროპული გიგანტით დაინტერესებას მეტწილად აზიური კომპანიები ავლენენ, "ბოინგის" ლაინერი უფრო ევროპელებისთვის იქნება საინტერესო, რადგან ევროპის ქვეყნებში მაღალი დონის აეროპორტების რაოდენობა გაცილებით მეტია აზიისაზე და შესაბამისად, აქაურ მგზავრებს დიდ ქალაქებს შორის მგზავრობაზე მეტად საშუალო და მცირე ზომის ქალაქებს შორის მგზავრობა (მეტწილად საქმიანი, ვიდრე ტურისტული) აინტერესებთ.




*ლუქსის კლასის სალონი და ბუტიკი*

პარალელურად, "ბოინგი" არც თავისი ფლაგმანი აერობუსის, მოდელ 747-ის მიტოვებას აპირებს. ამერიკელები ამ გიგანტის მოდერნიზებას გეგმავენ, რათა მან მეტი მგზავრის გადაყვანა შეძლოს და ამით ნაწილობრივი კონკურენცია გაუწიოს ევროპელ მეტოქეს, რომელზეც "ერბასს" აზიური კომპანიებისგან უკვე რამდენიმე ათეული წინასწარი შეკვეთა აქვს მიღებული.

ჩვენმა რუბრიკამ მკითხველს უკვე გააცნო "ბოინგის" მომავალი შედევრი სახელად "7E7 დრიმლაინერი", რომლის წარმოებაშიც ამერიკელებს რამდენიმე ტექნოლოგიური სიახლის დანერგვა აქვთ გადაწყვეტილი. ახლა კი ევროპელთა სუპერკოლოსს, A380-ს წარმოგიდგენთ.

### A380 - ყველაზე დიდი, იაფი და კომფორტული ავიალაინერი

ზემოთაც ითქვა, რომ ბოლო ორი წელია, "ერბასმა" გაყიდვებით უკან მოიტოვა "ბოინგი" და მსოფლიო ლიდერობას დაეუფლა. პირველობას ევროპელები დიდი ხანია, უმიზნებდნენ, მაგრამ პარალელურად, მათ მიზანს ასევე მსოფლიოში ყველაზე დიდი ავიალაინერების წარმოებაც წარმოადგენდა. და აი, მათ პრაქტიკულად დაამთავრეს ასეთი თვითმფრინავის შექმნა, რომლის პირველი საფრენი გამოცდაც 31 მარტისთვისაა დაგეგმილი. თუმცა, მანამდე "ერბასმა" თავისი ქმნილება 18 იანვარს, საფრანგეთის სამხრეთის ქალაქ ტულუზაში, კომპანიის შტაბ-ბინის წინ, ათასობით სტუმრის თვალწინ, პირველად გამოაგორა და მედიასაც პირველად წარუდგინა გიგანტი სახელად A380. წარდგენას ევროგაერთიანების ქვეყნების ლიდერები (მათ შორის: საფრანგეთის პრეზიდენტი ჟაკ შირაკი, გერმანიის კანცლერი გერჰარდ შროიდერი და ესპანეთის პრემიერ მინისტრი ხოსე ლუის როდრიგეს საპატერო) და სხვა მაღალჩინოსნებიც ესწრებოდნენ.

ორსართულიანი ავიალაინერი, რომელსაც ოთხი ძრავი აქვს, ჯერ არ დაფრინავს, მაგრამ მასზე კომპანიას უკვე არაერთი შეკვეთა აქვს მიღებული. "ერბასი" უკვე აქვეყნებს მის ტექნიკურ პარამეტრებს, თუმცა მხოლოდ პირველი საგამოცდო ფრენის დროს გამოჩნდება, რამდენად შეესაბამება გამოცხადებული მონაცემები რეალურს.

მაშ ასე, სტანდარტული კონფიგურაციით, A380-ს 550 მგზავრის გადაყვანა შეუძლია, რაც მესამედით სჭარბობს დღეისათვის ყველაზე დიდი ლაინერის, "ბოინგ 747-ის" ტევადობას. გარდა ამისა, სრულად შევსებული ავზებით, A380-ს თავის კონკურენტზე 5 პროცენტით უფრო შორს ფრენაც შეუძლია. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, "ერბასის" სუპერკოლოსს თითოეული მგზავრის გადაყვანა იმაზე 20 პროცენტით იაფი უჯდება, ვიდრე "ბოინგისას".

ესეცაა, ამ პარამეტრების მიღწევა ევროპულ კომპანიას მეტად ძვირი უჯდება. პროექტის თავდაპირველი ღირებულება თუ 10.7 მილიარდ დოლარს შეადგენდა, გადახარჯვამ ეს თანხა 2 მილიარდით გაზარდა. ამასთან, თვითმფრინავი საპროექტოზე 1 პროცენტით მძიმეცაა, თუმცა "ერბასის" აღმასრულებელ დირექტორ ნოელ ფორგერდის განცხადებით, მომეტებული წონა თვითმფრინავის ტექნიკურ მაჩვენებლებზე დიდ გავლენას ვერ მოახდენს, რადგან მისი კომპენსირება საწვავის ეკონომიური მოხმარების ხარჯზე მოხდება.

100 კილომეტრზე ერთი მგზავრის გადასაყვანად თვითმფრინავი 3 ლიტრზე მცირე საწვავს ხარჯავს, ეს კი ტურბო-დიზელის აგრეგატებით აღჭურვილი კომპაქტური ავტომობილების საწვავის ხარჯის ტოლფასია. ახალი სამგზავრო კოლოსის საბაზო მოდელის სახელწოდებაა A380-800 და მას 550 მგზავრისთვის სამი კლასით მგზავრობის შეთავაზება შეუძლია. თვითმფრინავის ფრენის მაქსიმალური სიშორეა 14 800 კილომეტრი. მისი საბაზო სატვირთო მოდიფიაციის აღნიშვნაა A380-800F. მას 150 ტონა ტვირთის გადატანუ შეუძლია მაქსიმუმ 10 400 კილომეტრზე. ლაინერი აღჭურვილია "როლს როისის", ან "ინჯაინ ალიანსის" (ჯენერალ ელექტრიკისა და პრატ ენდ უიტნის ერთობლივი კომპანია) ოთხი ძრავით.

თვითმფრინავის სიგრძეა 73 მეტრი, სამგზავრო კაბინისა - 50.68 მეტრი, ფიუზელაჟის დიმეტრი - 7.14 მეტრი, სიმაღლე - 24.1 მეტრი, შასის თვლებს შორის ბაზა - 30.4 მეტრი, თვლების კვალი - 14.3 მეტრი. ფრთების გაშლა - 79.8 მეტრი, ფრთების ფართობი - 845 კვ.მეტრი. თვითმფრინავის მაქსიმალური ასაფრენი წონაა 560 ტონა, მაქსიმალური დასაჯდომი წონა კი - 386 ტონა. მისი საწვავის ტევადობა კი 310 ათასი ლიტრია.

ისევე როგორც კონურენტი "ბოინგ 747", A380-ც ორგემბანიანი ლაინერია, რომელსაც გრძელ მანძილებზე ფრენისას მგზავრებს აქამდე წარმოუდგენელ კომფორტს სთავაზობს. ადგილის კლასის მიხედვით, მგზავრს შეუძლია ისარგებლოს დასასვენებელი ოთახებით, ბარით, საძინებლით, მინი-კინოთეატრით და მაღაზიებით (სხვათა შორის, ყველა A380 თავისუფალი სავაჭრო ზონა იქნება შესაბამისი შეღავათებით).

დღეისათვის "ერბასს" 13 ავიახაზისგან ახალ თვითმფრინავზე უკვე 139 დადასტურებული შეკვეთა აქვს მიღებული. მათი რეალიზაციიდან კომპანია 39 მილიარდ დოლარს მიიღებს. ამასთან, ამწყობი ხაზის დირექტორ ჟანკლოდ შოეპფის განცხადებით, შეკვეთების რაოდენობა გაცილებით მეტი იქნება მაშინ, როცა პირველი საგამოცდო ფრენები შესრულდება. ამიტომ, თუ დღეს ტულუზის ამწყობ ქარხანაში 1500 თანამშრომელი მუშაობს, წარმოების დაწყების მომენტისთვის მათი რაოდენობა კიდევ ათასით გაიზრდება, რაც კომპანიას საშუალებას მისცემს, კვირაში ერთი ავიალაინერი აწარმოოს.

თითოეული A380-ის ფასი 280 მილიონი დოლარია, რაც მნიშვნელოვნად სჭარბობს კონკურენტი "ბოინგ 747-ის" ფასს (211 მილიონი). კომპანია "იუროპიან აერონავტიკ დეფენს ენდ სპეისი" (EADS), რომელიც "ერბასის" აქციების 80 პროცენტს ფლობს, აცხადებს, რომ ახალი ავიალაინერის წარმოება მომგებიან საქმედ მხოლოდ მას შემდეგ იქცევა, რაც გაიყიდება პირველი 250 ლაინერი.

"ერბასი" იმედოვნებს, რომ უახლოეს 20 წელიწადში 1250 A380-ის რეალიზებას შეძლებს. ეს გიგანტები პირველ ხანებში მხოლოდ მსოფლიოს ათ უდიდეს აეროპორტს შორის იფრენენ. მათი ძირითადი მომხმარებლები კი აზიური გადამყვანი ავიაკომპანიები იქნებიან. "სინგაპურ ეარლაინზი" იქნება პირველი კომპანია, რომელიც რეგულარული რეისისთვის გამოიყენებს "ერბასის" კოლოსს. წინასწარი ვარაუდით, ეს 2006 წლის მეორე ნახევარში მოხდება.

სხვათა შორის, "ბოინგის" (მისი შტაბ-ბინა ჩიკაგოში მდებარეობს) მარკეტოლოგებიც მოელიან, რომ უახლოეს 20 წელიწადში ავიაგადაყვანების მოცულობა შესამჩნევად გაიზრდება, თუმცა ევროპელებისგან განსხვავებით, ისინი თვლიან, რომ ეს მეტწილად საშუალო და მცირე ზომის აეროპორტების ინტენსიური გამოყენების ხარჯზე მოხდება და სწორედ ამიტომ აკეთებენ აქცენტს საშუალო ზომის ლაინერების წარმოებაზე. ამასთან, ჩიკაგოში იმედოვნებენ, რომ იმავე პერიოდში "მხოლოდ" რამდენიმე ასეული "ბოინგ 747-ის" რალიზებას შეძლებენ, რადგან ასეთ გიგანტებზე მსოფლიო მოთხოვნა შემცირდება.

"ჩვენ მიერ ჩატარებული გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ მგზავრები ცდილობენ, ისარგებლონ იმ რეისებით, რომელთა საშუალებითაც დანიშნულების ადგილს მიაღწევენ და არა ისეთებით, რომლებიც მათ დიდ ქალაქამდე მიიყვანს, საიდანაც დანიშნულების ადგილამდე სხვა ტრანსპორტით, ან უფრო მცირე ზომის თვითმფრინავით მოუწევთ მგზავრობა. ამიტომ, მიგვაჩნია, რომ დიდი ზომის ლაინერებზე, როგორიცაა A380, მოთხოვნა საგრძნობლად შემცირდება. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენი ევროპელი კონკურენტები რეალობის საწინააღმდეგო მიმართულებით მიფრინავენ", - ევროპული ავიაგიგანტის პრეზენტაციასთან დაკავშირებით განაცხადა "ბოინგის" წარმომადგენელმა ტოდ ბლეჩერმა.

ასეა თუ ისე, "ბოინგს" უკვე დიდი ხნის დაწყებული აქვს თავისი გიგანტის მოდერნიზება და მისი ახალი, 450-ადგილიანი ვერსიის წარმოების დაწყების შესახებ გადაწყვეტილებას 2005 წლის ზაფხულში მიიღებს. არადა, 1991 წელს, როცა "ერბასმა" თავისი გიგანტის შექმნაზე დაიწყო მუშაობა, ამერიკულმა კომპანიამ გამოაცხადა, რომ ევროპელთა წამოწყებას არ აჰყვებოდა.

# სიყვარულის კვირეული დაიხურა

"შარდენ ბარში" გუშინ სიყვარულის კვირეულის დახურვის ცერემონიალი გაიმართა. ორგანიზატორთა ინიციატივით, ვალენტინობის დღესასწაულთან დაკავშირებული სიყვარულის კვირეულის ბოლო დღე "შარდენ ბარში" ღვინის კომპანიამ "თელიანი ველი" დახურა. კომპანიამ ბარში წითელი და თეთრი ღვინის დეგუსტაცია გამართა; მომღერლებმა: გია ხუციშვილმა, ნატო მეტონიძემ, ლიზა ბაგრატიონმა და დავით გომართელმა კი ექსპრომტად რამდენიმე სიმღერა შეასრულეს.

*ინტერ-პრესი*

# არაბული ცენზურა



ბრიტანელმა როკერებმა ჯგუფიდან The Darkness მკაცრი გაფრთხილება მიიღეს არაბეთის გაერთიანებულ ემირატებში გამგზავრების წინ. მუსიკოსებმა უნდა "გაწმინდონ" საკუთარი რეპერტუარი იმ ელემენტებისგან, რამაც, შესაძლოა, მასპინძელი მუსულმანების გაღიზიანება გამოიწვიოს.

დუბაიში მარტში დაგეგმილ Desert Rock ფესტივალზე ბრიტანული ჯგუფის ფრონტმენი ჯასტინ ჰოუკინსი ვერ ჩაიცვამს თავის საფირმო "კატის პიჯაკს"; ამას გარდა, მუსიკოსებმა ტექსტებიდან უნდა ამოიღონ უცენზურო ფრაზები. როგორც ჩანს, მუსიკოსებს ამგვარი შეზღუდვები სულაც არ აღიზიანებთ. "ეს იქნება, უბრალოდ, პატივისცემა იმ ქვეყნის კანონებისადმი, სადაც სტუმრად ვიქნებით", - მიაჩნიათ ჯგუფის წევრებს.

The Darkness-თან ერთად, ფესტივალზე დაგეგმილია "სეპულტურასა" და Machine Head-ის გამოსვლებიც. ეს იქნება პირველი კონცერტი არაბეთის გაერთიანებულ ემირატებში, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ მძიმე მუსიკის დასავლელი ვარსკვლავები. ფესტივალი 25 მარტს არის დაგეგმილი.

# სახელმწიფო ღვაწლმოსილებს აჯილდოებს



დღეს მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში მიხეილ ქვლივიძის 80 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო გაიმართება. შემოქმედებით საღამოზე პოეტი საკუთარი ლექსებით თავად წარდგება მკითხველის წინაშე. საღამოს წაიყვანს პოეტი რატი ამაღლობელი; რეჟისორია გიორგი სიხარულიძე.

მიხეილ ქვლივიძე რამდენიმე ასეული ლექსის ავტორია და მისი ლექსები გამოცემულია იტალიურ, რუსულ, პოლონურ და უნგრულ ენებზე. ამასთანავე მიხეილ ქვლივიძემ ქართულ ენაზე თარგმნა პოლონური და უნგრული თანამედროვე პოეზიის ანთოლოგია; რუსულად თარგმნა და გაახმოვანა თენგიზ აბულაძის ფილმები - "ნატვრის ხე" და "მონანიება". რუსეთის უმაღლესმა საბჭომ მიხეილ ქვლივიძე დააჯილდოვა ხალხთა მეგობრობის, ხოლო საქართველომ - ღირსების ორდენით. პოეტი არის გალაკტიონ ტაბიძისა და მაჩაბლის პრემიის ლაურეატი.

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრ გიორგი გაბაშვილისა და მინისტრის მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილებით, ღონისძიებაზე მიხეილ ქვლივიძეს სხვა ხელოვანებთან (ბაჩანა ბრეგვაძე, გოდერძი ჩოხელი, რევაზ თვარაძე, თამაზ ჩხენკელი, დავით წერედიანი, ბესიკ ხარანაული, ერლომ ახვლედიანი, ემზარ კვიტაიშვილი, გიორგი გაბილაია, ანზორ დოლენჯაშვილი, ვახტანგ ჭელიძე, ვახუშტი კოტეტიშვილი, თენგიზ მირზაშვილი, ზურაბ კიკნაძე, ზაირა არსენიშვილი) ერთად, ხელოვნებაში შეტანილი წვლილისთვის გადაეცემათ ფულადი პრემიები.









## სკანვორდი




**წინა სკანვორდის პასუხები:**

ვიკონტი; ვაშლი; ლამურა; ადიდასი; ტარანტული; ყარაზოლელი; იტილი; პომპიდუ; პროცედურა; შაია; ტიტული; ჩაჩი; იურისპრუდენცია; სიურა; პროსტრაცია; ფილოლი; მუტლუ; ტორიჩელი; პლევრა; დიოდი; აგრიკოლა; ექიმი; კარლსონი; ქოსა; ბარდი; არქიტექტურა; კალედონია; ტაქსა; არგო; ბრაკონიერი; ბასტურმა; აგრია.

## TV პროგრამა

21 თებერვალი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** ტელეღიპუცები **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** ღამის შოუ **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 01.40** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** მხ. ფილმი "წმინდა ინგლისური მკვლელობები" (გ) **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.05** პერეკრესტოკი **17.25** ტელეღიპუცები **18.30** პატრული **19.00** ქართული ფეხბურთი **19.55** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** სუსტი რგოლი **23.00** დოკ. ფილმი "თავდასხმა ციხეზე" (ბი-ბი-სი) **00.00** მხ. ფილმი "ერთი მუჭა დოლარისთვის" (გ) (კლინტ ისტვუდი) **02.00** პატრული

### TV5

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.00(შვეიცარია), 02.30(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **06.30** აკუსტიკა. 07.00. "გუდ ბაი" იალტა. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. **11.05** გადაცემა საოჯახო ფოტოები. **12.15** სამხრეთის ანარეკლი. ბურკინა ფასო. **15.35** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.30** გარუჯულები. კომედია. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.25** გადაცემა: თალასა. **23.00** გადაცემა. თვალსაზრისი. **02.55** სპორტული აფრიკა. **04.20** მაშველები. ტელესერიალი.

### [1-ლი არხი]

**08.00** "ადრე" **10.00** დოკ. ფილმი "ჰოლივუდი და დანაშაული" **11.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "რედვოლი" **12.45** ანიმაციური ფილმი "ციცქნა მოჩვენებანი" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერიალი "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" აფხაზურ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** "ბიოგრაფიული პორტრეტები" -ლენინი **16.30** დოკ. ფილმი "ჟაკ ლასელი" **17.30** "ვაკანსია" **18.00** "მთავარი" -რეგიონებიდან **18.30** სერიალი "შირლი ჰოლმსი" **19.00** "მედიატორი" **19.30** "გზაჯვარედინი" **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **22.00** დოკ. ფილმი "მკვლელი მდინარეები" **23.00** მრწამსი - შესამოსელი **23.30** მხ. ფილმი "ქარი" (15) **01.45** საინფ. გამოშვება

### კავკასია

**11.00** ტუწ-ემ **11.30** ვარსკვლავები გვამცნობენ **12.00** საბავ. გადაცემა "ინკოგნიტო" **13.30** ინდ. მხ. ფილმი "სიყვარულის აზარტი" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** ტუწ-ემ **19.20** სპექტრი **21.00** ტუწ-ემ **22.30** საქმე და ეკონომიკა **00.45** მხ. ფილმი "ღამით პარკში" (გ)

### 202

**10.00** დებატები (განმ.) **12.00** მუსიკალურ-გასართობი გადაცემა "პროპაგანდა" **13.00** სერიალი "დიდი სახლი" (გან.) **14.00** მუს. გადაცემა "პროპაგანდა" **18.00** მუსიკა **22.00** სერიალი "დიდი სახლი" **23.00** დებატები 202-ზე

### მზე

**17.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** "დიელი და პასკო" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** მუსიკა **19.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **19.05** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **20.45** სერიალი "პოლიციელი ქალები" **21.45** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** არჩევანის ზღვარზე **00.00** მხ. ფილმი "შეუმჩნეველი ადამიანი" (18) (ალბერტ ფინი)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "ცხელი ზაფხული" **19.50** "ბაბილინა" **20.05** მულტსერიალი "მარსუპილამი" **20.30** დოკ. ფილმი "დიზაინი" **20.55** დოკ. ფილმი "უკანასკნელი საფარი" **21.45** კონცერტი **22.30** კინოსეანსი "ბუქსირი"

### იმედი

**07.00** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **07.30** დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** იმედის დილა **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** დროება **11.25, 17.10, 02.20** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 01.50** ტვ-მარკეტი **13.15** ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ყველა ვარსკვლავის მატჩი **15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 01.40** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **17.10** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" **17.25** ვაკაჭინიუსი **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "ორი ბედი" **22.55** "ნიკა ქავთარაძის შოუ" **23.55** სპ. პროგრამა "გოლი" **00.25** ნადიმი ჯანრი კაშიასთან ერთად

### აჭარა

**09.00** მუსიკა **09.30** კომედია "აი, პოლიც" **10.55** მუსიკა **11.15** ბოევიკი "ბუნდოკელი წმინდანები" **13.05** მუსიკა **13.20** კომედია "ეს შეშლილი, შეშლილი, შეშლილი მსოფლიო" **16.00** მულტფილმი **17.30** საინფ. დაიჯესტი **17.50** მუსიკა **18.30** საინფ. დაიჯესტი "ნოვოსტი" **18.50** დეტექტივი "გადამზიდველი" **20.20** მუსიკა **20.30** საინფ. დაიჯესტი **21.00** ბოევიკი "მუსა 2. ლეგენდა დაწყევლილ ტბაზე" **23.00** "სტარტი" **23.30** დრამა "კარლიტოს გზა"

### ОРТ

**06.00** "Доброе утро" **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20** Дрю Бэрримор в комедии **"ИСТОРИЯ ВЕЧНОЙ ЛЮБВИ"**. **11.40** Диснейклуб: "Лило и Стич". **12.20** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ"**. **13.10** Юрий Беляев в фильме **"ЕДИНОЖДЫ СОЛГАВ..."**. **15.20** Сериал **"ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ-2"**. **16.20** "Пять вечеров". Понедельник. **17.30** Сериал **"ДВЕ СУДЬБЫ"**. **18.10** Сериал **"ДВЕ СУДЬБЫ"**. Продолжение. **18.40** Сериал **"КЛОН"**. **19.40** Жди меня. **21.00** Время. **21.30** Армен Джигарханян в сериале **"КАВАЛЕРЫ "МОРСКОЙ ЗВЕЗДЫ"**. **22.40** Спецназ. "Игра в ядерную рулетку". **23.30** Ночное "Время". **23.50** Искатели. "Летучий Голландец". **00.20** Док. фильм "Красота из-под скальпеля". **00.50** "Сканер". "Кто заказывает музыку". **01.20** Мелисса Джоан Харт в романтической комедии **"СВЕДИ МЕНЯ С УМА"**. Старшеклассница Николь Мэрис отвечает за организацию бала, посвященного столетнему юбилею школы. Миссия серьезная и очень ответственная: на праздники должны присутствовать все ученики и родители. Мероприятие должно пройти без сучка без задоринки. А у Николь настроение на нуле: она рассорилась со своим другом баскетболистом Брэдом. Чтобы заставить парня ревновать, Николь договаривается со своим соседом Чейзом Хэммондом, который тоже в ссоре со своей девушкой. Теперь для всех молодые люди делают вид, что начали встречаться. Чем же закончится этот эксперимент? **02.40** Джефф Кадьент в приключенческом фильме **"ТРИ НИНДЗЯ: КОСТЯШКИ ВВЕРХ"** **04.10** "Тайны Белого дома". **05.05** Неизвестная планета. "Мир богов Гоа".

### НТВ

**06.00** "Сегодня утром". **09.05** Сериал **"МЕРТВЫЕ НЕ ЛГУТ"**. **10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.00** "Сегодня" **10.20** Криминальная Россия. **11.15** Анатолий Солоницын в фильме **"ОДИН ШАНС ИЗ ТЫСЯЧИ"**. **13.35** Сериал **"ТАКСИСТКА"**. **15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.25** Сериал **"РОКИРОВКА"**. **18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Сериал **"ТОЛЬКО ТЫ..."**. **20.50** Игорь Лифанов в сериале **"ПАРАЛЛЕЛЬНО ЛЮБВИ"**. **1**-я с. **22.00** "Страна и мир" **22.40** Юлия Меньшова в сериале **"БАЛЬЗАКОВСКИЙ ВОЗРАСТ, ИЛИ ВСЕ МУЖИКИ СВО..."**. **1**-я с. **23.45** Чрезвычайное происшествие. **00.15, 01.45** Сериал **"СКОРАЯ ПОМОЩЬ"**. **01.15** Особо опасен! **02.30** Совершенно секретно. Информация к размышлению. **03.15** Сериал "Дикий мир. Борьба за выживание: народ великой пустыни". **04.10** Сериал **"ЗВЕЗДНЫЕ ВРАТА"**. **04.55** Сериал **"МОРСКАЯ ПОЛИЦИЯ: СПЕЦОТДЕЛ"**. **05.40** Чрезвычайное происшествие.

# ბერლინალეს ნაცისტურ-აფრიკული გატაცება

წლევანდელ ბერლინალეს უცნაურობები სტარტიდანვე დაებედა. ჯერ კინოფესტივალს პორნოგრაფიულ მიდრეკილებაში დასდეს ბრალი, შემდეგ კი - პრო-აფრიკანიზმში. საბოლოო ჯამში, თუ მოკლე რეზიუმეს გავაკეთებთ, ორივე ბრალდება გამართლდა. "ოქროს დათვი", ანუ წლის საუკეთესო ფილმის წოდება სამხრეთ აფრიკულმა სურათმა მოიპოვა, ალფრედ ბაუერის სპეციალური პრიზი კი ტაივანურ პორნომიუზიკლს "მოუხელთებელ ღრუბელს" გადაეცა.

თუმცა, ერთგვარი კინოსენსაცია მაინც აფრიკული ფილმის არჩევა იყო. ასეთი რამ ბერლინალეს ისტორიაში პირველად მოხდა. "როიტერსის" მიმომხილველი ასკვნიდა: აფრიკული ფილმის დაჯილდოებით, ნაციზმის, კამიკაძე მკვლელების და პედოფილიის თემების გაშუქებით ფესტივალმა საბოლოოდ გაიმყარა არაბურჟუაზიული სტატუსი. აქ ისე, როგორც არსად სხვაგან, კინოეკრანს მწვავე ცხოვრებისეულ რეალობას უთმობენ.

U-Carmen eKhayelitsha - ლათინური ასოებით ასე იწერება აფრიკული ფილმის სათაური, რომელიც, როგორც უკვე მიხვდებოდით, ჟორჟ ბიზეს "კარმენის" მიხედვით გადაღებული მორიგი ვერსიაა. კრიტიკოსთა ნაწილი ვერ ხვდება, რამ მოხიბლა ჟიური ასე ძალიან აფრიკულ "კარმენში". მით უფრო, რომ შაბათს - დაჯილდოების დღესვე გამოქვეყნებულ ფავორიტი ფილმების არაოფიციალურ ნუსხაში "კარმენი" მეშვიდე ადგილზე გავიდა.



*მთავარი როლის შემსრულებელი პოლინ მალეფანე და ფილმის რეჟისორი მარკ დორნფორდ-მეი.*

ფილმის რეჟისორი მარკ დორნფორდ-მეი გახლავთ. მან მოქმედება პატარა სამხრეთ აფრიკულ ქალაქში გადაიტანა და ცნობილი ოპერის პერსონაჟები ნკოსას - ადგილობრივ აფრიკულ დიალექტზე აალაპარაკა. ანუ, გარდა იმისა, რომ "კარმენი" ოქროს დათვით დაჯილდოებული პირველი აფრიკული ფილმია, ის ზოგადად პირველი მხატვრული სურათიც გახლავთ, რომელშიც მოქმედება ნკოსაზე ხდება - ენაზე, რომელიც პირის წკლაპუნისა და პლასტმასის ნივთზე კაკუნის ასოციაციას იწვევს.

"ისიც კი ცოტაა, რომ გითხრათ, ამ ახალმა ამბავმა შოკში ჩაგვაგდო-თქო. ჩვენი განცდა ამ მდგომარეობაზეც კი აღმატებულია", - აცხადებდა რეჟისორი და დასძენდა: "მსოფლიოში ყველაზე პოპულარული ოპერის ნკოსას ენაზე გადაღების იდეა თავიდან გიჟურადაც კი მეჩვენებოდა, უფრო სწორად ახლაც გიჟურად მეჩვენება, მაგრამ ეს შესანიშნავი პროცესი იყო. "კარმენი" ძალიან ექსკლუზიური ნაწარმოებია. შევეცადე, მისთვის სწორედ ეს ექსკლუზიურობა ნაწილობრივ მაინც მომეშორებინა".

ალბათ, სწორედ ამ მიზნით, დორნფორდ-მეიმ ფილმის მთავარი გმირი-ქალი სიგარეტის ქარხანაში შეუშვა სამუშაოდ. ბრიტანულმა "თაიმსმა" კი ის "არტჰაუზის გენიოსურ ნაწარმოებად" შერაცხა.

თუმცა, როგორც უკვე მიხვდებოდით, "თაიმსის" შეფასებას ბევრი არ ეთანხმება. კრიტიკოსთა ნაწილმა ხომ "კარმენი", პირველ რიგში, სწორედ მხატვრული თვალსაზრისით დაიწუნა. მიუხედავად ამისა, ჟიურის გადაწყვეტილება მყარი აღმოჩნდა და წლის საუკეთესო ფილმიც დორნფორდ-მეის ნამუშევარი გახდა.

ბევრი ფიქრობს, რომ ჟიურიმ როლანდ ემერიხის თამვჯდომარეობით "კარმენი" ნაწილობრივ პოლიტიკური მოსაზრებითაც აირჩია. ეს იყო ნამდვილი რევერანსი, რომელიც ბერლინალემ გრაციოზულად და თავმდაბლურად აფრიკული კინემატოგრაფის წინაშე გააკეთა.

თანაც, "კარმენი" ხომ კონკურსში შესული ერთადერთი აფრიკული ფილმი არ ყოფილა. პუბლიკამ ნახა სურათიც - "ერთხელ აპრილში", რომელიც 1994 წელს რუანდაში დატრიალებულ გენოციდს აღწერდა. შედგა ამერიკული "სასტუმრო რუანდას" ევროპული პრემიერაც; ფილმის, რომელიც სამ "ოსკარზეა" წარდგენილი. ფესტივალის დირექტორმა დიტერ კოსლიკმა კი ღიად და გულწრფელად თქვა:

"ძალიან გვინდოდა კინორუკაზე აფრიკაც მოგვეთავსებინა. მგონი, ჩანაფიქრი გამოგვივიდა".

და მართლაც - მიზანი მიღწეულია. ახლა კრიტიკოსებიც და უცხოელი რეჟისორებიც იძულებულნი გახდებიან, აფრიკული კინო ახლოს გაიცნონ. ბოლოს და ბოლოს, მათი პროფესიული ვალია, იცოდნენ, ღირდა თუ არა მხატვრულობის თვალსაზრისით "კარმენის" ოქროს დათვით დაჯილდოება.

რაც შეეხება პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, ასეთი რამ ბოლო დროს კინოფესტივალებს დასჩემდათ კიდეც. მაგალითისთვის კანის გახსენებაც კმარა. როცა ჟიურიმ ქუენთინ ტარანტინოს მეთაურობით მაიკლ მურის "ფარენჰეიტი 9/11" აირჩია, ყველა გაოცდა - სურათი ხომ საერთოდაც დოკუმენტური იყო. მაგრამ მაშინ ფიქრობდნენ, რომ "ფარენჰეიტი 9/11" ამერიკულ ელექტორატს სწორი არჩევანის გაკეთებაში დაეხმარებოდა და ამიტომაც კინოფესტივალი პოლიტიკური სკანდალების ავანსცენად გადააკეთეს...

დავუბრუნდეთ აფრიკას. სავარაუდოდ, კინემატოგრაფში "დაჩაგრული" კონტინენტის რეპუტაცია ჰოლივუდშიც მალე ამაღლდება. "სასტუმრო რუანდას" გარდა წლევანდელ "ოსკარზე" ხომ იქაურ თემატიკას ასევე განავრცობს უცხოენოვანი ფილმის ნომინაციაზე წარდგენილი სურათი "გუშინ".

აფრიკული კინოს ლობისტების საბოლოო მიზანი ასეთია: მსოფლიომ უნდა დაინახოს, რომ ეს კონტინენტი არა მხოლოდ იაფი გადაღებებისთვისაა ზედგამოჭრილი, არამედ მას თავისი კინოც აქვს, თანაც საკმაოდ კარგი და საკმაოდ სწრაფად განვითარებადი.

როგორც უკვე მოგახსენეთ, ბერლინალე რეალისტური თემების ნამდვილი სავანეა. ამის დასტურია ისიც, რომ ფილმი "სოფი შოლი - ბოლო დღეები" ორი პრიზით დაჯილდოვდა: რეჟისორი მარკ როტმუნდი საუკეთესო რეჟისორი გახდა, ჯულია ჯენში კი - საუკეთესო ქალი მსახიობი. ფილმი ნაცისტებისა და მეორე მსოფლიო ომის თემაზეა გადაღებული.

ვერცხლის დათვი, როგორც საუკეთესო მამაკაც მსახიობს ლუ ტეილორ პუჩის გადაეცა ფილმში "თითისმწოველი" შესრულებული როლისთვის.

ერთი სიტყვით, რეზიუმე შეიძლება ასეთიც იყოს - ბერლინალემ საკუთარი თავი მწვავე რეალიზმს შესწირა. თუმცა, ამასობაში მოხდა ერთი უსიამოვნო რამ. ბერლინალეს წითელ ხალიჩაზე მსოფლიო ვარკსვლავების დეფიციტი გაჩნდა.

წლევანდელი ბერლინალე ნამდვილად არ გამოვიდა ისეთი კაშკაშა და ელიტური, როგორც შარშანდელი იყო. ის ახლოს ვერ მივიდოდა ვერც კანის ბოლო ფესტივალთან.

ვარსკვლავების მოზიდვის მხრივ ბერლინალეს ყველაზე მეტად მაინც 2003 წელს გაუმართლა. მაშინ წითელ ხალიჩაზე კეტრინ ზეტა-ჯონსი, რენე ზელვეგერი, რიჩარდ გირი, ნიკოლ კიდმანი და ჯორჯ ქლუნი მიმოდიოდნენ. წელს კი კორეული პორნოგრაფიით, ევროპული ჰოლოკოსტითა და ნაციზმით გაჯერებულ ნაცრისფერ კინოაურას უილ სმიტი, კეანუ რივზი, კეთრინ დენევი, კეიტ ბლანშეტი, კევინ სპეისი და ჯორჯ მაიკლი ახალისებდნენ. ფესტივალზე არ ჩავიდა გლენ ქლოუზი. მისი ფილმი Heights კი კოსლიკმა პროგრამიდან მოხსნა. სავარაუდოდ მან წინასწარვე იცოდა, რომ ცნობილი მსახიობი ბერლინში თავისი ახალი ფილმის პრომოუშენისთვის მაინც არ აპირებდა ჩასვლას. ასე რომ, უილ სმიტმა, კეიტ ბლაშენტმა და დანარჩენებმა მართლაც სულზე მიუსწრეს კოსლიკს.

ათდღიანი მარათონის შემდეგ ასე გასრულდა 55-ე ბერლინალე. მიმომხილველები კი ასკვნიან, რომ პროაფრიკანიზმის გარდა, ფესტივალზე კიდევ ერთი ტენდენცია დაფიქსირდა. რეჟისორები ცდილობდნენ ადამიანური მხარეები ეპოვათ ნაციზმისა და მეორე მსოფლიო ომის იმ რეალურ გმირებში, რომლებიც ისტორიას ნამდვილი დემონების სახელით შემორჩნენ. "მინახავს ხალხი, რომელიც ამბობს, რომ ნაცისტებთან ყველაფერი არც ისე საშინლად იყო. დიდი იმედი მაქვს, ამას მაყურებელიც გაიგებს წარმოდგენილი ფილმებიდან".

# უილ სმიტი - ქალების რისხვა

უილ სმიტს იუმორი არასდროს ტოვებს, არც მშობლიურ ლოს ანჯელესში და არც ცივ ევროპაში. ბერლინის კინოფესტივალზე ის ახალი კომედიით "ჰიჩი" (Hitch) ჩავიდა, პარასკევს კი ჟურნალისტებისა და დაინტერესებული პუბლიკის წინაშე პრესკონფერენციაზე წარდგა. თავიდან თითქოს ყველაფერი ეტიკეტის მიხედვით მიდიოდა, მერე კი უილ სმიტი სცენიდან დარბაზში ჩახტა, პირველივე რიგში მდგომ ჟურნალისტ ქალს მიეჭრა, ისე გადაიწვინა მკლავზე, რომ კინაღამ ორივენი ერთად დაეცნენ და მაგრად ჩაეხუტა.

ჟურნალისტი გონს ძლივს მოვიდა. მაგრამ მალევე მიხვდა ყველა, რომ ეს ისევ ფილმის რეკლამის ნაწილი იყო. ჩვეულებრივი საპრომოუტერო ტრიუკი. "შებმაში" ხომ უილ სმიტი "პაემანების ექიმის" როლს თამაშობს. ჰოდა, ის რასაც ფილმში აკეთებს - ქალებს "აბამს", პრესკონფერენციაზეც გაითამაშა.



ალექს ჰიჩენსი მეტსახელად "ჰიჩი" (თავისი უნიკალური უნარიდან გამომდინარე) ძალიან წარმატებული ექიმია. ის ახერხებს საშუალო გარეგნობისა და საშუალო პიროვნული ღირსებების მქონე მამაკაცებსაც კი ოცნების სატრფო აპოვნინოს. ყველა საიდუმლოდ ინახავს, თორემ ფაქტია, რომ ნიუ იორკში მრავალი ოჯახი სწორედ "ჰიჩის" დამსახურებითაა შექმნილი. მაგრამ ყველაფერი თავდაყირა მაშინ დგება, როცა სცენაზე ევა მენდესის გმირი სარა გამოდის - ყვითელი გაზეთის ჟურნალისტი, რომელიც "ჰიჩს" შეხვდება და თამაშის წესებსაც შეაცვლებინებს. სხვადასხვა სასაცილო და რომანტიკულ სიტუაციებში სარა "ჰიჩს" მიახვედრებს, რომ სიყვარული მხოლოდ გრძნობა კი არა, ქმედებაა...

თუმცა, სანამ უილ სმიტი კინოეკრანზე ასწავლის მამაკაცებს ქმედებას, ჟურნალისტებთან საუბარში გულწრფელად აღიარებს, რომ წლების წინ სასურველი ქალის მოპოვება თვითონაც ძალიან უჭირდა. "მაგალითად, სკოლაში ეს ნამდვილი ჯოჯოხეთი იყო. პაემნების ექიმი თუ ვინმეს სჭირდებოდა, პირველ რიგში, მე. ერთი გოგო მომწონდა. ერთხელ დერეფანში შორიდან გავძახე: "ჰეი, ჩარლინ, როგორ ხარ?" მომიბრუნდა და მითხრა: "ისე კარგად რომ არაფერში მჭირდები!" საშინელება იყო. მხოლოდ რვა წლის მერე გავბედე ქალებთან ურთიერთობის განახლება", - ხუმრობდა უილ სმიტი და იქვე აგრძელებდა, - "პირველად ზედაც არავინ მიყურებდა. გამხდარი ვიყავი და დიდყურება.

სწორედ ამ დროს ზემოთ ხსენებული ჟურნალისტი ქალი დაინტერესდა, იწვა თუ არა სმიტი კინოპარტნიორ ევა მენდესთან ერთად. "ვიცი, შენ რისი მიღწევაც გინდა, გადასარევად ვიცი", - წამოიყვირა ამ დროს უილ სმიტმა, სცენიდან ჩახტა, და მერე ის მოხდა, რაც უკვე გითხარით. გაოგნებული, მაგრამ დანარჩენი ქალების თვალში აშკარად იღბლიანი ქალი კოსოვოელი ჟურნალისტი აღმოჩნდა.

თუმცა, მსახიობი ევა მენდესიც თვლის, რომ გაუმართლა. "ბევრი კარგი პარტნიორი მყოლია კინოში, მათ შორის ბევრი - შავკანიანი, მაგრამ უილ სმიტს ვერავის შევადარებ. ის ძალიან მგრძნობიარე კაცია და შესანიშნავი კოცნა იცის. მეტიც, ის ჩემი საუკეთესო საეკრანო კოცნის თანაავტორია. არა მგონია, ახლო მომავალში ვინმემ ამ რეკორდის მოხსნა შეძლოს", - აცხადებს მენდესი.

უილ სმიტი კი რეკორდებს არა მხოლოდ კოცნის დარგში და გადასაღებ მოედანზე ამყარებს. ის ძალიან წარმატებულია ფინანსებშიც. "ჰიჩი" პრემიერის პირველივე უიკენდზე ყველაზე შემოსავლიანი ფილმების ათეულში დაწინაურდა და 45.3 მილიონი დოლარის ბილეთის გაყიდვა შეძლო.

დღეს "ჰიჩი" ამ ათეულის თავში დგას - საკმაოდ დიდი მოგებით. "პაემნების ექიმს" პირად ცხოვრებაშიც უმართლებს - მეუღლე ჯადა პინკეტ სმიტიც კმაყოფილი ჩანს სმიტის სასიყვარულო შესაძლებლობებით.


## სწავლა ლონდონში
ხელმისაწვდომ ფასად

ლონდონის კომერციის სკოლა (LSC) გიწვევთ ხარისხის მოსაპოვებლად შემდეგი პროგრამების ფარგლებში. ლონდონის კომერციის სკოლა (LSC) ... UNIVERSITY OF WALES INSTITUTE Cardiff-თან ერთად.

MBA მარკეტინგი (ფინანსები) IT 1 წელი
2 სემესტრი LSC-ში და ფინალური ეტაპი UWIC-ში, კარდიფი, უელსი.

BA BA (Hons) 2 წელი
2 სემესტრი LSC-ში და ფინალური ეტაპი UWIC-ში, კარდიფი, უელსი.

სრული კურსის ფასი £4550 ხანგრძლივობა 1 წ.

ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად 2-წლიანი დაჩქარებული კურსის BA (Hons) მთლიანი ღირებულებაა £6950.

ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდა შესაძლებელია ეტაპობრივად.

იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც ზემოაღნიშნული პროგრამებით სწავლობენ, ერთწლიანი ინტენსიური ინგლისური ენის კურსის გავლა შესაძლებელია დამატებითი £1000 გადახდის შემდეგ.
იმ სტუდენტებისათვისაც, რომელთაც მაღალი აკადემიური მოსწრება არა აქვთ, ხელმისაწვდომია მოსამზადებელი პროგრამები.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:
ნინა მესხიშვილი / ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის მიმღები განყოფილება.
მის: თბილისი, მეჯვრის 2, სადარბაზო 1, ოფისი 1.
ტელ: 253045, 230284. მობ. 877-423569
E-maol: stmgeorgia@hotmail.com
www.stmlondon.co.uk

რესტორანი
"დაკარგული სამოთხე"
ძმები კაკაბაძეების ქ.№2 ("კინოს სახლში") ტელ: 999-207

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24

## ღია კარის დღე

**ამერიკული აკადემია თბილისში** აცხადებს 13-14 წლის მოსწავლეთა მიღებას მეცხრე კლასში 2005-2006 სასწავლო წლისათვის.

**ღია კარის დღეები ჩატარდება 23 თებერვალს, 23 მარტს, 13 აპრილსა და 4 მაისს, 17 საათზე.**

**აკადემიის მისამართია: ჭავჭავაძის გამზ. 37ა, ტელ: 22 74 41, 22 78 89.**

## წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.